WWW.SAERTOGAZETI.ORG

# საერთო გაზეთი

№07 (241) ● 13-19.III.2013 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● www.saertogazeti.org; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

3 გვ. „ვანოს უკვე ძალიან ცუდად აქვს საქმე და მან ეს ყველაფერი კარგად იცის“

2 გვ. ქვეყანა, რომელიც სახლიდან გავიდა და შინ არ დაბრუნებულა

5 გვ. სად ინახება „ნაციონალი“ მაღალჩინოსნების გაუპატიურების ამსახველი კადრები?

6 გვ. ჩვენ უნდა ვაიძულოთ კუბლაშვილი დაუყოვნებლივ გადადგეს!

8 გვ. გია ხუბუას „მეორედ მოსვლა“

4 გვ. რატომ გახდა საქართველოს უპირველესი ტელევიზია ტუღუშების, ზურიაშვილების, ანთაძეების, ქორიძეების და ძმათა მათთა საჯიჯგნი?

10 გვ. „ნაციონალების“ პარტიული აგენტურა უნდა გაიშიფროს!

9 გვ. კახა ბენდუქიძე არის ქართული ეკონომიკის მკვლელი

ISSN 2233-3983









ქუთაისელებმა ფილმის სახელწოდება — „ესკადრილია ლეტუჩიხ მიშ“ ასე თარგმნეს: „ეს ესკადრება მფრინავ მიშას?!“ 15 გვ.

საქართველო დემოგრაფიული კატასტროფის ზღვარზეა, ქართველები ფიზიკური წყვეტის გზაზე ვდგავართ! 11 გვ.

საჩივრებს შევისწავლით და ვისაც სოციალური დახმარება ნამდვილად ეკუთვნის, ყველას აღვუდგენთ 12 გვ.

რატომ არ უნდა აშშ-ს სააკაშვილის და ნაციონალების ჩამოცილება ხელისუფლებიდან? 7 გვ.

მიშას ზონდერები – ვინ არიან ისინი? 18 გვ.

ქალბატონო გიული, პრეზიდენტად რომ „უშვებდი“, არ იცოდი, რა ბედოვლათი გეჯდა სახლში?! 16 გვ.

სკანდალური ფაქტები მთელ მსოფლიოში დაფანტული აშშ-ს საიდუმლო ციხეების შესახებ 17 გვ.

რატომ იყო დაინტერესებული ჰიტლერი საქართველოთი და რა საიდუმლოება ეგულებოდა მას ჩვენი ქვეყნის მიწისქვეშეთში? 20 გვ.

საზოგადოებამ უნდა იცოდეს, ვინ არიან გასული საუკუნის ყველაზე დიდი აფიორის ავტორები 14 გვ.



ვახტანგ ხარჩილავა

# ქვეყანა, რომელის სახლიდან გავიდა და შინ არ დაბრუნებულა

**საქართველოს პარლამენტმა** ერთგულების ფიცი დადო, რომ არ გადაუხვევს ჩრდილო ატლანტიკური ალიანსისკენ და ევროკავშირისკენ მიმავალ გზას.

არ გადავუხვევთ არც მარჯვნივ, არც მარცხნივ – პირდაპირ ვივლით ნათელი მიზნისკენ და ვივლით, სანამ ამ დიად მიზანს არ მივაღწევთ.

ჩვენ თუ ვერ შევასრულებთ ამ პირობას, ჩვენს შემდგომ ჩვენმა შვილებმა, მერე შვილიშვილებმა, მერე შვილთაშვილებმა უნდა იარონ ამ ნათელი მიზნისკენ.

**საწყალი საქართველო** – რამდენი ერთგულების ფიცი აქვს დადებული თავისი არსებობის მანძილზე.

**– შემოგვფიცე, რომ ჩვენი ერთგული იქნები! – გვიკიოდნენ სპარსები და ჩვენც ვიფიცებდით.**

**– შემოგვფიცე, რომ ჩვენი ერთგული იქნები! – დაგვხაოდნენ არაბები და ჩვენც ვიფიცებდით.**

**– შემოგვფიცე, რომ ჩვენი ერთგული იქნები! – გვიყიოდნენ მონღოლები და ჩვენც ვიფიცებდით.**

ახლა ესენი გვაფიცებენ, ოღონდ თვითონ კი არ გვეუბნებიან დაიფიცეთო – აკოს, კაკოს, კიკუს, თიკოს, მზიკოს, პალიკოს, ვალიკოს, თეაკოს, ანუ ჩვენებურების პირით „გვითვლიან“.

**ფიცი კი დავდეთ,** თუმცა ქვეყანაში ჯერ კიდევ არ შემდგარა ჯანსაღი, თავისუფალი დისკუსია თემაზე რამდენად რეალურია საქართველოს ნატოში გაწევრიანება და რა სასიკეთო შედეგები შეიძლება ამან ქვეყანას მოუტანოს?

სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში ამ თემაზე გულახდილი და გულწრფელი საუბარი, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო, რადგან განსხვავებული მოსაზრების ავტორს ქვეყნის მტრის და მოღალატის იარლიყს მიაწებებდნენ მყისვე.

ახალი ხელისუფლების პირობებში ეს ფსიქოლოგიური წნეხი მოიხსნა, მაგრამ თვით ამ ხელისუფლებას არ აცალეს რიგიანად მიეხედ-მოეხედა გარშემო, ისე დაადებინეს „ხატზე“ ხელი.





ნათელ მიზანს რომ ვამბობ, რატომღაც ის ამბავი მახსენდება, 70 წლის განმავლობაში კომუნიზმისკენ რომ მივდიოდით და უცებ ტლაპოში რომ აღმოვჩნდით, რადგან გაირკვა, რომ, თურმე, კომუნიზმი არ არსებობდა.

**ის კომუნიზმი დავიწყებას მიეცა, სამაგიეროდ, ახალი „კომუნიზმი“ გაჩნდა – ნატო და ევროკავშირი.**

ერთგულების ფიცი დადებულია – ახლა ისღა დაგვრჩენია, რკინის ქალამნები ამოვიცვათ და გზას გავუდგეთ.

ჩვენებურებიო, კი ვამბობ, მაგრამ ესენი მხოლოდ გვარ-სახელით არიან ჩვენებურები, თორემ სინამდვილეში მათი დესანტია, მათი სადამსჯელო-საეგზეკუციო რაზმია ცხრა წლის განმავლობაში რომ გვამცირებდნენ, შეურაცხგვყოფდნენ, გვკლავდნენ, გვხოცავდნენ, ციხეებში გვყრიდნენ.

დაიფიცეთო, გვითხრეს და ჩვენც დავიფიცეთ, თუმცა იმაზე არ გვიფიქრია, ვინ მოგვცა უფლება სამარადისო ფიცს ვდებდეთ ჩვენი შვილების, შვილიშვილების, შვილთაშვილების მაგიერ?

**საქართველოს ნატოში** გაწევრიანების მთავარ არგუმენტად ის მოაქვთ, რომ 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების თავის ხელოვნურად მიწებებულ პლებისციტში საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს, თურმე, ნატოში გაწევრიანებისთვის მიუცია ხმა.

**როგორც დადგენილია, 2008 წლის არჩევნები პირწმინდად გაყალბდა, რაც საფუძვლიან ეჭვს იწვევს, რომ გაყალბდა პლებისციტის შედეგებიც.**

ესეც არ იყოს, ეს გამოკითხვა 5 წლის წინათ ჩატარდა, 5 წელი კი არც ისე ცოტა დროა და ამ ხნის განმავლობაში, ადვილი შესაძლებელია, რადიკალურად შეიცვალოს ადამიანების დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენისადმი.

დღეს რომ ჩატარდეს ეს გამოკითხვა, საინტერესოა, იგივე შედეგს მივიღებდით თუ მკვეთრად განსხვავებული სხვა მონაცემები დაიდებოდა?

„ნაცმოძრაობის“ მიერ ჩატარებული თითქმის ყველა გამოკვლევა გაყალბებული და ფალსიფიცირებული რომ იყო, ამაში ყველა შეთანხმებული თუ ვართ, მაშინ რაღა ეს გამოკითხვა ჩავთვალეთ შეუვალ ჭეშმარიტებად?

ნატოში გაწევრიანება-არგაწევრიანებაზე კი არ არის საუბარი, საუბარია იმაზე, თუ რატომ არა აქვს უფლება საქართველოს მოსახლეობას, ქართველ საზოგადოებას ღიად, გახსნილად, არგუმენტების შეჯერებით ისაუბროს ამ თემის გარშემო?

## რა არის თავისუფლება?

თავისუფლება, პირველ ყოვლისა, შენი სურვილის, შენი შეხედულების მიხედვით არჩევანის თავისუფლად გაკეთების უფლებაა.

თავისუფალია ის, ვისაც ამა თუ იმ სიტუაციაში იმ გადაწყვეტილების მიღება შეუძლია, რომელიც სწორად მიაჩნია.

ისინი, ვინც ისტორიის მანძილზე ერთგულების ფიცს გვადებინებდნენ, სინამდვილეში, თავისუფლებას და ჩვენი შეხედულებისამებრ არჩევანის გაკეთების საშუალებას გვართმევდნენ და გვიზღუდავდნენ.

ჩვენი ფიცი და ჩვენს მიერ ხელმოწერილი ერთგულების ფირმანები მათ სხვა არაფერში სჭირდებოდათ.

ფიცით განმტკიცებული ერთგულების ვალდებულება სხვა არაფერი იყო, თუ არა მორჩილების ვალდებულება.

**კარგია, რომ გზას ვადგავართ** და სადღაც მივდივართ, თუმცა ცუდია ის, რომ არ ვიცით, გველოდებიან თუ არა იქ, სადაც მისვლას ვაპირებთ.

**კარგია, რომ ნატოსკენ თუ ევროკავშირისკენ მივდივართ, მაგრამ ცუდია, რომ ამ უსასრულო მგზავრობაში საკუთარი სახლისკენ მიმავალი გზა თანდათან გვავიწყდება და, შეიძლება, ისე დაგვემართოს, სახლიდან გასულები უკან ვეღარ მოვტრიალდეთ...**

ქვეყანასაც, შეიძლება, ისე დაემართოს, როგორც ადამიანებს ემართებათ ზოგჯერ – შინიდან მიდიან და უკან ვეღარ ბრუნდებიან...



## საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარეს“ განცხადება!

ა.წ. 19 მარტს, სამშაბათს, 17:00 სთ-ზე, „რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში“, საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარე“ თავის გაფართოებულ შეკრებაზე ეპატიჟება ყველა ქართველს, ვისაც აწუხებს და სტკივა საქართველოში შექმნილი მდგომარეობა. შეხვედრის დასასრულს გაკეთდება მიმართვები ქართული საზოგადოებისთვის მტკივნეულ თემებზე, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის, ისე საქართველოს ხელისუფლების მისამართით. დასწრება თავისუფალია.

საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარეს“ გამგეობა.

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.



# საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მიმართვა ბიძინა ივანიშვილისადმი 6 მარტის მიმართვის ხელმომწერ ევროპარლამეტის 23 წევრს



კვირა, 10 მარტი 2013

**პატივცემულო ევროპარლამენტარებო,**

მე საქართველოს რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე ვარ. პარტიისა, რომელიც 1978 წელს შეიქმნა იატაკქვეშეთში და არალეგალური მეთოდებით ცდილობდა საბჭოთა საქართველოს მოსახლეობაში თავისუფლებისადმი და, მაშასადამე, ევროპისადმი ლტოლვის გაღვივებას. პარტიის დამფუძნებლებმა, რომლებიც დღეს კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერთა შორის არიან, მრავალი წელი გაატარეს საბჭოთა „გულაგებში“ ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ნატოში გაწევრიანების იდეების პროპაგანდისათვის. ესეც მაძლევს მორალურ უფლებას, მოგმართოთ პირდაპირ და მოურიდებლად.

თქვენი 6 მარტის წერილით კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილისადმი, რომლითაც თითქოს საქართველოს ევროპული არჩევანის გადარჩენას ცდილობთ, სინამდვილეში თავად შორდებით ევროპას. იმ ევროპას, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, რომელზეც ჩვენ ვოცნებობთ და რომლისკენაც ჩვენ მტკიცე ნაბიჯებით მივდივართ სიტყვითაც (იხილეთ „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამა და ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გაკეთებული არაერთი განცხადება და რეზოლუცია) და საქმითაც (იხილეთ ევროკომისიისა და ნატოს სათანადო თანამდებობის პირების ანგარიშები ბოლო ოთხ თვეში მიღწეული შედეგების თაობაზე).

მე რამოდენიმე თქვენგანისთვის პირადად არერთხელ მითქვამს და ახლაც ვიმეორებ - დაგვიწესეთ უმაღლესი ევროპული სტანდარტები და განგვსაჯეთ ამ სტანდარტების მიხედვით. ეს ჩვენ ძალიან გვჭირდება პოსტ-კომუნიზმისგან თავის დასაღწევად. მაგრამ ამ სტანდარტების მეტრად სააკაშვილს და მის რეჟიმს ნუ დაგვისახავთ, ეს ევროპის შეურაცხყოფაა...

თუ საქართველოს პრემიერ მინისტრის მიმართვა პრეზიდენტისადმი არ წაგიკითხავთ და ისე გააკეთეთ თქვენი განცხადება, ეს ცალკე პრობლემაა. მაგრამ თუ გაეცანით მას, მაშინ სად ნახეთ მუქარა და ბრბოს მისევა პრო-ევროპული ძალებისადმი? კონსტიტუციიდან დემოკრატიისთვის უპრეცედენტო ნორმის (პრეზიდენტის უფლება პარლამენტის თანხმობის გარეშე შექმნას ახალი მთავრობა) ამოღებისკენ მოწოდება მუქარაა თუ კონსტიტუციის ევროპულ სტანდარტებთან მიახლოების მცდელობა? ვინც ეს ნორმა ჩაწერა კონსტიტუციაში ჯერ კიდევ 2004 წელს და ეხლა მის გაუქმებას ეწინააღმდეგება, ისინი პრო-ევროპელები არიან თუ საბჭოური ავტორიტარიზმის ღირსეული გამგრძელებლები? მითითება იმაზე, რომ საზოგადოება ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე პარლამენტის თითოეული წევრის პოზიციას სათანადოდ დააფასებს და შეაფასებს, ხალხის ბრბოდ ქცევას ემსახურება თუ პოლიტიკური ძალების ხალხისადმი ანგარიშვალდებულებას?

თუ ესაა დემოკრატიის თქვენეული სტანდარტები და ამგვარ სტანდარტებზე დაფუძნებულ ევროპაზე გვესაუბრებით, ჩვენ ასეთ ევროპას ნამდვილად არ ვიცნობთ და არც ასეთი ევროპისკენ მივდივართ. თქვენი წერილი კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ევროპული ღირებულებების ერთგულებისთვის ევროპაში ცხოვრების ფაქტი არ კმარა. თქვენ ევროპაში ცხოვრობთ, მაგრამ სააკაშვილის პოლიციური რეჟიმისთვის მხარდაჭერით, თავად ემიჯნებით ევროპას. ამით თავად ევროპას ალბათ ბევრს ვერაფერს დააკლებთ, მაგრამ



საქართველოს მოქალაქეების უდიდესი უმრავლესობა, რომელმაც წინასაარჩევნო კამპანიის დროს ასეულათასიანი რამდენიმე დემონსტრაცია ისე ჩაატარა, რომ ერთი ფანჯარა არსად ჩამტვრეულა და რომელიც ძალადობის, წამების და ელიტური კორუფციის სახელმწიფო სისტემის შემქმნელების დასჯას ითხოვს, თქვენი შეფასებით ბრბოა? შეგიძლიათ მიგვითითოთ ერთი შემთხვევა მაინც, როდესაც საქართველოს პრემიერ მინისტრმა ვინმეს ძალადობისკენ მოუწოდა ან უმცირესობების მიმართ სიძულვილის ენა გამოიყენა? სინამდვილეში ბატონი მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი ხომ არ არის ავტორი საზოგადოების შეურაცხმყოფელი და გამთიშველი გამონათქვამებისა, როგორიცაა „მუმიები“, „ჩასარეცხები“, „კრემლის აგენტები“, „გასანადგურებელი კლასი“, „სახელმწიფოს მტრები“ და სხვა? ურჩი პარალმენტის წევრების (გელაშვილი 2005 წელს, დავითაშვილი 2007 წელს) სასიკვდილოდ გამეტებით სააკაშვილი ევროპისკენ მიმავალ კარს ფართოდ აღებდა და ამ საქმეების გამოძიების დაწყებით ახალი მთავრობა ამ კარებს ხურავს?

ჩემი პატარა ქვეყანა კი შესაძლოა ამგვარი „ევროპელების“ მორიგი მსხვერპლი გახდეს...

ამიტომ, ბატონო ევროპარლამენტარებო ევროპის სახალხო პარტიიდან, მოგიწოდებთ, თავი შეიკავოთ სიცრუეზე დაფუძნებულ მსგავს განცხადებებზე ხელმოწერისგან. ამის გამო მალე თავადვე შეგრცხვებათ. ისევე, როგორც ალბათ უკვე რცხვენიათ თქვენს თანაპარტიელებს, ვინც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას „შეშფოთება“ გამოათქმევინა საქართველოში არჩევნების შემდეგ ტელეკომპანიის მესაკუთრის ცვლილების გამო და მხოლოდ შემდეგ გაარკვიეს, რომ თურმე სააკაშვილის მიერ 2007 წელს დარბეული, მესაკუთრისთვის წართმეული და მისი ადმინისტრაციის უფროსისთვის გადაცემული ტელეკომპანია „იმედი“ დაუბრუნებია კანონიერ მესაკუთრეს.

მიხეილ სააკაშვილმა უკვე მოახერხა ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ ბევრის დაშანტაჟება და მათი პოლიტიკური მომავლის საკუთარ საეჭვო პოლიტიკურ მომავალთან სრულად დაკავშირება. უფრთხილდით მას, ნუ დარჩებით სტერეოტიპების ტყვეობაში, დარჩით ევროპელები!..

**P.S. შესაძლოა ჩემმა სიტყვებმა გაგაღიზიანათ. მაგრამ მერწმუნეთ, თქვენი თუ ჩემი გაღიზიანება მოსატანიც არ არის „ქართული ოცნების“ იმ ათასობით აქტივისტი ახალგაზრდის ტკივილთან, რომლებსაც შეცდომაში შეყვანილმა თქვენმა ლიდერმა ბატონმა მარტენზმა წინასაარჩევნო კამპანიის დროს ამომრჩევლებისთვის მტვერსასრუტებისა და მაცივრების დარიგება დააბრალა ბრიუსელიდან... მოდით, ყველამ როგორმე ისე მივაღწიოთ ჩვენს პარტიულ ამოცანებს, რომ ამ ახალგაზრდებს სიმართლესა და სამართლიანობაზე დაფუძნებული ევროპის რწმენა არ შევურყიოთ.**

**დავით უსუფაშვილი**

## ბიძინა ივანიშვილი: „ვანოს უკვე ძალიან ცუდად აქვს საქმე“

**პრემიერ-მინისტრმა 19 აპრილს ნაციონალური მოძრაობის მიერ დაგეგმილ აქციასთან დაკავშირებით განაცხადა:**

**„ეს მოწოდებები იუმორისტულია. მე კი მესმის, რა უნდა ვანოს, მაგრამ არ ვერევი ამ პროცესებში. გირგვლიანის ირგვლივ გამოძიება ჩქარდება და, რამდენადაც ვიცი, დასასრულს უახლოვდება კიდეც. მან რაღაც უნდა მოიფიქროს და თურმე მისთვის სულ ერთი არ არის ჩვენი სტრატეგია და ამბობს, თითქოს ევროპაზე უარს ვამბობთ. ვანოს უკვე ძალიან ცუდად აქვს საქმე და მან ეს ყველაფერი კარგად იცის. მასთან პროკურატურას ძალიან ბევრი კითხვები აქვს და იგი არაფრისგან რაღაც მითების შექმნას ცდილობს“.**

**www.newposts.ge**

# რატომ გახდა საქართველოს უპირველესი ტელევიზია ტულუშების, ზურიაშვილების, ანთაძეების, ქორიძეების და ძმათა მათთა საჯიჯგნი?



ყოველთვის ამაყი ვიყავი, როცა ვამბობდი: „მე საქართველოს ტელევიზიაში ვმუშაობდითქო", მაგრამ უფრო ამაყი ვიყავი იმით, რომ ამ შენობაში ქართველი კაცის გემოვნებაზე, უკიდეგანო პატრიოტიზმზე და ეროვნულ თვითშეგნებაზე ამ ტელევიზიის ნებისმიერი თანამშრომელი ზრუნავდა, დაწყებული არქივიდან, დამთავრებული ბოლო კარისკაცამდე...

გახსოვთ სატელევიზიო სპექტაკლები? გახსოვთ „პოეზიის ხუთი წუთი"? გახსოვთ საბავშვო გადაცემები და სიკეთით სავსე მულტფილმები? გახსოვთ, ჩვენი შეუდარებელი დიქტორების გარანდული ქართული? ანდა გახსოვთ ის მშვენიერი კინოკლასიკა, რომლითაც მომავალ თაობას ზნეობის, პატრიოტიზმის და ღირსების მაგალითისთვის უჩვენებდნენ? ახლა მუსიკა, მხატვრობა, მწერლობა, განათლება და ა.შ. რა რანგში იყო წარმოდგენილი? გინდოდა თუ არ გინდოდა, მაშინდელი ტელევიზიის მეშვეობით, ბევრ რამეს ისმენდი, სწავლობდი და რაც მთავარია, ყოველივე ეს წლობით ილექებოდა ტვინის უჯრედებში. დღეს? ჩართავ ე.წ. „საზოგადოებრივ მაუწყებელს" (ისემც თავები გაგისკდათ, ეგ მარაზმი საზოგადოებას ემსახურებოდეს) და ეგრევე დაგიბღვერს წამყვანი, თვალებში კი აწერია: „არ მომეკარო, თორემ გესვრიო". არადა, ყოველ ფრაზაში თვითონ ისე ბომბავს მაყურებელს, თვალსაც არ ახამხამებს! პირდაპირ ჩართვებში ხომ საერთოდ იგნორირებულია ქართული ენის გრამატიკა, მაგრამ გრამატიკას ვინ ჩივის მაშინ, როცა ჯერ წამყვანი გიყვება ამა თუ იმ სიუჟეტის ტექსტს, მერე სიუჟეტის ავტორი და ბოლოს ისევ წამყვანი, ანუ ერთი და იგივე ტექსტს ერთ სიუჟეტში სამჯერ გასმენინებენ და ამ ყველაფრის შემდეგ გამოდგება ვიღაც „საინფორმაციოს უფროსი" და აქეთ დაგიწყებს ლაი-ლაის, პროფესიონალიზმის შესახებ არ მეკამათოთო.

2003 წელს, როცა „ვარდები" მოეთრივნენ ხელისუფლებაში და ქართული ცნობიერების შერყვნა დაიწყეს, ის ადამიანები, ვინც ტელევიზიის მეციხოვნეებად გვევლინებოდნენ — ბოდიშის მოხდის გარეშე გამოაპანღურეს იქედან და მეტიც, მაშინდელმა დირექტორმა ზაზა შენგელიამ ისინი „მინაზე მიმხმარ ბუზებადაც" კი შერაცხა. (მინაზე იმიტომ, რომ საქართველოს ტელევიზია პირველი შუშის შენობა იყო საქართველოში, ხოლო ძველი თანამშრომლები ახალი „ეპოქისთვის" უსარგებლონი) სამაგიეროდ, თვითონ შემოლალა ქერა თუ შავ-შავი ახალი ბუზები (თუ ბოზები) და ამით ისე ამაყობდა, ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად. ძვლამდე გამოხრა ტელევიზია ამ არაკაცმა და ამის შესახებ „საერთო გაზეთი" (დეკემბრის თვეში) მაშინდელი კონტროლის პალატის დასკვნასაც იშველიებდა. სწორედ შენგელიას მაგალითზე დაყრდნობით მოქმედებდა ყველა ის მომდევნო ხელმძღვანელიც და ჩვენი ჯიბიდან ამოღებულ მილიონებს ისე ფლანგავდნენ, იმოდენა ხელფასებს ინიშნავდნენ, ისე „აგულავებდნენ" თავიანთ „სასტავებს" — შენი პატრიოტიზმი, სამშობლო და სახელმწიფოებრივი იდეოლოგია ფეხებზე ეკიდათ. თამარა კინწურაშვილი ტელევიზიის დირექტორად ცალი კალოშით და მაზალო „პრიჩოსკით" მოვიდა, მაგრამ 16 000 ლარი ხელფასი დაუნიშნეს და ისე აგულავეს, არც კი მოუკითხავთ ქალბატონ ივლიტა მესხიშვილს (საქართველოს ტელევიზიის ამაგდარი ხელმძღვანელი) უჭირდა თუ ულხინდა?! ცინიკოსი გია ჭანტურიაც მაგ კატეგორიისა იყო, მაგრამ „ფხა" მაგანაც მოიფხანა და 23 მილიონი დავალიანება ისე აპატიეს, თითქოს ბაბუამისის დანატოვარი შეჭამა! ზაზა შენგელიას, თამარა კინწურაშვილს და გია ჭანტურიას, ზოგადად, ბევრი რამ აპატიეს, მაგრამ სააკაშვილმა სამივე მათგანს, იცით, მადლობა რაში გადაუხადა? სამივე მათგანმა მოკლა და გული ამოჰგლიჯა იმ ცოცხალ ორგანიზმს, რომელიც ქართული სულის, ჯიშის და ზნეობის სადარაჯოზე გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან იდგა და უამრავი ქარტეხილებიდან გამარჯვებული გამოდიოდა.

მოკლედ, მთელი ამ „საზოგადოებრივი" სკანდალიდან აშკარად გამოიკვეთა ერთი რამ, კერძოდ კი ის, რომ მედია-საბოტაჟი დღითიდღე იკრებს ძალებს და ნაც.მოძრაობამ ეს პროცესი გასული წლის დეკემბრიდან ჯერ მე-9 არხიდან დაიწყო, ახლა კი უკვე I არხზე აგრძელებს.

ხათუნა ბერძენიშვილი დიდი თავგამოდებით რომ იტყლარჭება, მე ვიყავი მიშისტი თუ ეგ? ეგ კიდევ არაფერი... ეს „ბორდია" თუ ბორდელი, განა სულ მიშისტებით და ყოფილი მიშისტებით არ იყო დაკომპლექტებული? ანდა თუ ამდენი პრობლემები არსებობდა არხზე, აქამდე სად იყვნენ ეს „საინიციატივო ჯგუფი და რატომ ახმაურდნენ ახლა, როცა 1 ოქტომბრიდან უკვე საკმაოდ დიდი დროა გასული?

ახლა ერთმა მიშისტმა სკანდალი რომ ააგორა, დახეთ, ეგრევე რა ძალამ გამოყო ფეხი და ვისი დაწერილი კანონით უნდა შეიცვალოს ე.წ. „საზოგადოებრივი მაუწყებლის" სტრუქტურა? ვისი და ძალადმაცხონე მედია-ექსპერტების, ყველაფრის ექსპერტების და საერთოდ, თავისუფლების ინსტიტუტის დამფუძნებელ-დამქაშებით, ხომ? კი, მაგრამ, რა იციან ამ ადამიანებმა ტელევიზიის შესახებ კანონის — ეს შეკითხვა არავის არ უნდა გაუჩნდეს? ნინო ზურიაშვილის, ია ანთაძის, ვინმე კორძაიას, ლაშა ტულუშის და ზვიად ქორიძის გადასაწყვეტი უნდა იყოს ხალხის ფულით დაფინანსებული უპირველესი არხის ბედი? განა რა ისეთი გმირობით დაგვამახსოვრეს თავი ამ ადამიანებმა, განა რა ისეთი ღვაწლი აქვთ მედიის განვითარებაში, რომ მხოლოდ მათი და მათნაირი არასამთავრობო ორგანიზაციების ჭკუაზე უნდა იაროს აწ და მარადის 1 არხმაც და მთელმა ქართულმა მედიამ?

მართალი გითხრათ, ძალიან გამკვირვებია იმ „საინიციატივო ჯგუფისაც", რომელშიც ტელევიზიის თანამშრომლები გაერთიანდნენ და რომლებიც ქუთაისშიც კი ჩავიდნენ, რათა „ყველა დროის პოლიტიკოსის" — დათო უსუფაშვილის ბრძნული მოსაზრებები მოესმინათ. „ბორდის" ერთ-ერთმა წევრმა ემზარ გოგუაძემ ასეთი ფრაზა თქვა: „ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს „ესენი" (იგულისხმა თავისუფლების ინსტიტუტის და სოროსის ფონდის წევრი უსუფაშვილი და ახალი კანონპროექტის ავტორები) დიდი ხნის განმავლობაში თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან"-ო, და მართალიც იყო, რადგან „ესენი" არათუ ტელევიზიაში, არამედ ყველა სფეროში გეგმავენ საკუთარი გავლენების გაზრდას და ამაში მათ ხელი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც „ნაც.მოძრაობამ" შეუწყო. დიახ, „სატოპკე" მიშისტმა ხათუნა ბერძენიშვილმა აუწია „თავისუფლების ინსტიტუტს" და უკვე მერამდენედ ამ არარაობებისგან შემდგარი „მედიაექსპერტთა" ჯგუფი ანგრევს და აცამტვერებს ყველაფერს, რაც კი გზად გადაეღობება — იქნება ეს რელიგია, განათლება თუ, ზოგადად ჩვენი ქართული მენტალიტეტი.

**აბა, ერთი გაიხსენეთ — აქუბარდიას „კავკასიაში" ვინ მიუძღოდა წინ 8 დასაპატიმრებელ მართლმადიდებლებს? ვინ მოძღვრავდა და ექომაგებოდა პროვოკატორ ნინო ჯანგირაშვილს და ცილისმწამებელ „აქუს"? ვისაც არ ახსოვს, მათთვის ვამბობ — ვინ და, ნინო ზურიაშვილი, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ია ანთაძე და კიდევ რამდენიმე არაკაცი! ახლა გლდანის ეკლესიის დანგრევაზე თუ არატრადიციულ სექსუალურ გადახრებზე რა აზრის ბრძანდებიან ეს ვითომ ექსპერტები — არაფერს ვამბობ და არც იმის დაკონკრეტება მსურს, ამგვარ „ვნებებში" რამდენ ათას ევროს იღებენ გასამრჯელოდ ევროპისა თუ ამერიკისგან?**

მე ისიც მახსოვს, „დიდი დეპრესიის" შემდეგ რა კატეგორიის თანამშრომლები დატოვა სააკაშვილის ხელისუფლებამ ტელევიზიაში, მაგრამ იცით, კიდევ რა მახსოვს? ამ ტიპის კადრები ტელევიზორ-ტელევიზორ რომ იმოძღვრებოდნენ „მიშა მაგარიაო" და ისიც კარგად მახსოვს, მიშა ამ დითირამბებისთვის რა პოსტებზეც უშვებდა მათ და რა რაოდენობის ხელფასებს გასცემდა ამ ერთგულებისთვის!!!

თავშიც ვთქვი და ახლაც ვამბობ — დღევანდელი I არხის პროდუქცია, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, მართლაც, მაგრამ ის, ვინც ამ ჭაობშიც ახერხებდა საერო გადაცემის კეთებას და ვინც ამ პატრიოტიზმისთვის ძალიან გაუწამებიათ, ვგულისხმობ, „გააგრძელე საქართველოს ისტორია"-ს ავტორ გიორგი ქართველიშვილს, „საინიციატივო ჯგუფში" ანტურაჟისთვის უზით, საკუთარი ჭეშმარიტი ზრახვების შესანიღბად სჭირდებოდათ თუ რაშია საქმე? პარლამენტში სტუმრობისას ამ ადამიანს სიტყვა რამდენჯერმე, რომ შეაწყვეტინეს, შეურაცხყოფა რომ მიაყენეს, იგივე ნინო ზურიაშვილი რატომ არ წამოხტა და ჩვეულად რატომ არ აწიკვინდა — მოუსმინეთ ამ პატრიოტ კაცსო?

ახლა, როცა „ბორდმა" თუ ბორდელმა, ე.წ. საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორის ვაკანსია ოფიციალურად გამოაცხადა — ხომ საინტერესოა, ვინ ჩაიბარებს ამ არხს და რა კვალიფიკაცია ექნება თუნდაც ტელევიზიასთან მიმართებით?

როგორც კულუარულად შევიტყვე — ისევ ძალაშია გაზეთ „რეზონანსის" რედაქტორის ლაშა ტულუშის კანდიდატურა. „რეზონანსი" კი, დაარსების დღიდან, „რესპუბლიკური პარტიის" გაზეთია და ახლა თავად განსაჯეთ, რა „ძვირფასი" პერსპექტივები აქვს საქართველოს

იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ტელევიზიის პირველ არხს, ნებისმიერი მიმართულებით. არც ის არის გამორიცხული, რომ „ბორდში“ ზურიაშვილი-ანთაძე-ტუღუშის ახალი კანონპროექტის მიხედვით, 3 კანდიდატიდან სამივე პიროვნება სწორედ ამ ნიშნით შეირჩეს და თუ იმასაც დავუმატებთ, რომ სახალხო დამცველად უჩა ნანუაშვილის კანდიდატურას სწორედ „რესპუბლიკური“ ფრთა ლობირებდა, 2 კანდიდატის შერჩევისას მხოლოდ „რესპუბლიკური“ ინტერესები იქნება გათვალისწინებული. ხოლო, რაც შეეხება „ნაც. მოძრაობის“ კანდიდატებს, ამას დიდი მნიშვნელობა აღარც აქვს, რადგან „ნაც.დამქაშებმა“ გააგრძელეს და გამარჯვებულიც ის ძალა დარჩება, ვისაც აგრერიგად ეხერხება ჩვენი სამშობლოს იდეოლოგიური ნგრევა, ანუ თავისუფლების ინსტიტუტს, რასაც წინასწარ „გილოცავთ“ კიდეც!

რა არის გამოსავალი ამ სიტუაციიდან? ჩემი ღრმა რწმენით, ერთადერთი გამოსავალი სახალხო პროტესტია, რომლის უმთავრესი საზრუნავი არა მხოლოდ ტელევიზიის დირექტორის, ანდა „ბორდის“ წევრთა „კვოტური“ შეფარდება უნდა გახდეს, არამედ ის მკაცრი კონტროლი, რომლის შედეგიც ღირსეული ფინალი იქნება და ტელევიზიის I არხის შემდგომი იდეოლოგია კი მართლაც საზოგადოების დაკვეთით იქნება აღსრულებული. მოვუწოდებ საზოგადოებას, რომ არავითარი პარტიული კვოტური გადანაწილება არ უნდა იქნას დაშვებული. „სამეურვეო საბჭო“ მხოლოდ პროფესიონალიზმის მიხედვით უნდა დაკომპლექტდეს (თუ ეს საბჭო მაინცდამაინც აუცილებელია) და დირექტორად კი ის ადამიანი უნდა შეირჩეს, ვისაც ამ ქვეყნის ნგრევაში არათუ მონაწილეობა არა აქვს მიღებული, არამედ ფიქრადაც არ მოსვლია ღალატი ერისა, სამშობლოსი და სარწმუნოების.

მოვუწოდებ, საქართველოს ტელევიზიიდან უცერემონიოდ გაყრილ ადამიანებს, შევიკრიბოთ, ვიმსჯელოთ, ერთი კანდიდატურა ჩვენც შევარჩიოთ და ვიბრძოლოთ, იმისთვის, რომ სწორედ ჩვენი შერჩეული პროფესიონალი ჩაუდგეს სათავეში ჩვენს დედა-ტელევიზიას, ჩვენს სახლს და არავინ სხვა.

**კმარა „კმარელების“, „თავისუფლების ინსტიტუტის“ თუ სოროსის ფონდიდან დაფინანსებული არასამთავრობოების და მათი უსახური ჯოჯოების პარპაში საქართველოში და კერძოდ, საზოგადოებრივ მაუწყებელში! (ფუი, ეშმაკს და აარული კუდიანებს!).**

თუ 1 ოქტომბერს ხალხმა ხმა ცვლილებას და სამართლიანობის აღდგენას მისცა, ვფიქრობ, სწორედაც

GEORGIAN
PUBLIC
BROADCASTER
საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი
GPB.GE

რომ დროულია, ძალადმაცხონე „ექსპერტების“ ეპოქაც დავასრულოთ, რადგან მათ მიერ დაწერილმა კანონებმა და მათმა „პროფესიულმა ექსპერტიზამ“ რა დღეშიც ჩაგვაგდო, ყველაფერი ზედაპირზეა ამოტანილი.

**რატომ გახდა საქართველოს უპირველესი ტელევიზია ლაშა ტუღუშის, ნინო ზურიაშვილის, ია ანთაძის, ზვიად ქორიძის და ძმათა მათთა საჯიჯგნი?**

მათ იქ არაფერი ესაქმებათ და არც არაფერი ესაქმებოდათ არასოდეს.

**ირინე გოგოსაშვილი**
555 25 43 35

# საად ინახება „ნაციონალი“ მაღალჩინოსნების გაუპატიურების თუ ნებაყოფლობითი ჰომოსექსუალური აქტების ამსახველი კადრები?



უფრო განსაცვიფრებელი რა უნდა ვთქვა იმის შემყურემ, რაც ჩვენს გარშემო ბოლო ხანებში ხდება — ნაციონალების დაჭერა-დაკითხვა-გამოშვების სპექტაკლები უკვე საინტერესო აღარაა, კუბლაშვილის „დაჭკვიანებისაც“ არ გვჯერა, მაგრამ შაშკინის უტიფარმა ჩამოსვლამ და ყველაფრისთვის მზად ვარო, განცხადებამ კიდევ ერთხელ ჩააქნევინა ხელი მოსახლეობას და უმძიმესი დემოგრაფიული კატასტროფის ზღვარზე მყოფ საქართველოს კიდევ უფრო მეტად გაუმძაფრა მისტიური განცდა — სააქაოში სამართალი თუ არაა, ზეცაში მაინც მიეზღვება დამნაშავეს დამსახურებული განაჩენიო...

როგორც ფეისბუკში ეძახიან, „ნაცულიკებს“, 19 აპრილს, დიდი მიტინგი აქვთ დაგეგმილი, სადაც თურმე გასაჯაროებული იქნება პატრიოტული მოტივები ვანო მერაბიშვილის, გოკა გაბაშვილის, გიგა ბოკერიას, გიგი თევზაძის, ლევან რამიშვილის, დავით დარჩიაშვლის და დათა და ძმათა მათთა მოღვაწეობაში... ავი ენები ამბობენ, მიტინგზე სექსუალური უმცირესობებიც გამოვლენ იგივე პატრიოტული მოტივებითო... ნახევარი დასავლეთი და ნახევარზე მეტი ამერიკა სავსეა გეებით და ლესბოსელებით, მაგრამ ქართველ სექსუმცირესობებს არსად არ მიუწევთ გული. აქ უნდათ ყოფნა, რომ ნაციონალებთან ერთად „ეტკინოთ“ საქართველო...

მაგრამ ორიოდე კვირის წინ ისეთი ამბავი შევიტყვე, ჩემო მეგობრებო, რომ გაოცებისაგან ყბა კინაღამ ჩამომივარდა.

რაც ბოლო თვეებში, გასული წლის სექტემბრიდან ვიხილეთ და მოვისმინეთ, კიდევ უარესს თუ გავიგონებდი, ვერ წარმომედგინა.

მოკლედ, როგორც მითხრეს, ახალი ხელისუფლების ხელში გამაოგნებელი ვიდეო-კადრები მოხვედრილა, სადაც 2012 წლის 1 ოქტომბრამდე თითქმის ყველა მინისტრის ძალით გაკუზვის და გაუპატიურების სცენები ყოფილა გადაღებული. ნაცხელისუფლება არა მხოლოდ ციხეებში პატიმრებზე ატარებდა მამაკაცთა ნამუსის ახდის სატანურ და ღვთის საწინააღმდეგო ქმედებებს, არამედ ამ მეთოდს მაღალი რანგის თანამდებობის პირ მამაკაცებზეც იყენებდნენ თურმე. ამით ადამიანებს მორალურად ტეხდნენ, უფრო მორჩილს და დამყოლს ხდიდნენ; ფაქტი კი, ვიდეოკადრების სახით, მავანის საიდუმლო სეიფში ინახებოდაო...



ამიტომაც, აღარაა გასაკვირი, 19 აპრილს მიტინგზე „ნაციონალები“ გეებთან ერთად რომ აპირებენ მიტინგობას...

საყოველთაოდ ცნობილია, ადამიანი, რაც მეტად თავისუფალია სინდისისა და მორალისგან, ანუ, როგორც იტყვიან, შუბლის ძარღვი რაც მეტად აქვს გაწყვეტილი, უფრო მეტად ურცხვია და უტიფარი, თორემ, რაც ყოფილი ხელისუფლების სახელი აბრუნა წაღმა-უკუღმა საქართველოს მოსახლეობამ და რაც ნაცების შავბნელმა საქმეებმა იხილა მზე და მთვარე, მით უფრო, თუ გაბახებულიც არიან, სირცხვილისგან ხმას როგორ უნდა იღებდნენ, მაგრამ მაინც ხშირად ვხედავთ ჩვენს „ტელე და რადიოყუთებში“ გუგულებივით გამოსკუპებულ „ნაცულიკებს“...

გახსოვთ, რა განგაში მოჰყვა საქართველოს მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის მიერ სამზეოზე გამოტანილ კადრებს, სადაც საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ადამიანების ინტიმური ურთიერთობები იყო ასახული ასევე ცნობილ ჰომოსექსუალებთან?!

მიუხედავად იმისა, რომ კადრებში მონაწილე პერსონაჟების სახეები ისე იყო დაფარული, მათი ცნობა შეუძლებელი გახლდათ, ამ ამბავმა მაინც დიდი ხმაური და პროტესტი გამოიწვია, როგორც არასამთავრობო, ასევე „ლგბტ“ საზოგადოების წარმომადგენლებში — ეს ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევა და უფლებათა უხეში დარღვევააო.

ბატონი კბილაშვილის ინფორმაციით, კონფიდენციალურ კადრებზე ერთი და ორი კი არა 80-მდე შემთხვევაა დაფიქსირებული.

არსებობს ეჭვი, რომ სხვა „ცნობადი სახეების“ გვერდით, ფირებზე „ნაციონალური მოძრაობის“ მაღალჩინოსანთა ჰომოსექსუალური თავგადასავლებიც არის ასახული.

ძნელია იმის გარკვევა, ამათგან ვის აუპატიურებდნენ და ვინ საკუთარი ნებით იძლეოდა ერთ ადგილს...

საზოგადოება რომ დაარწმუნონ, იქნებ იმიტომაც დაყარეს ხმები ვილაც-ვილაცებმა — ნებით კი არ ვიძლეოდით, გვაუპატიურებდნენ, ბატონოო.

— როცა გაუპატიურებენ, მოდუნდით და ეცადეთ სიამოვნება მიიღოთ, — „გვირჩევენ“ შავი იუმორით განთქმული ინგლისელები.

ჩემი ვარაუდით, გაითვალისწინებდნენ ნაციონალები დასავლეთელი მეგობრების კიდევ ერთ კარგ რჩევას და თავს არ დაზოგავდნენ სიამოვნების მისაღებად, ჩვენ ვიკითხოთ ძალად თუ ნებით „მოხნული“ მინისტრები რომ გვყავდა, თორემ...



**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ნინო გვენეტაძე:
# ჩვენ უნდა ვაიძულოთ კუბლაშვილი დაუყოვნებლივ გადადგეს!

**უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კოტე კუბლაშვლის იმპიჩმენტის საკითხს აქტუალობა არ დაუკარგავს. ხელისუფლებას თუ მისი გადაყენების სურვილი ნამდვილად აქვს, საიმპიჩმენტოდ იმდენი მიზეზია მარტო კუბლაშვილს კი არა, კიდევ ბევრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ეყოფა. უზენაესი სასამართლოს ექსმოსამართლის, ნაცხელისუფლების მიერ რეპრესირებული ნინო გვენეტაძის განცხადებით, აუცილებლად უნდა დადგეს კოტე კუბლაშვილის იმპიჩმენტის საკითხი, რისთვისაც არსებობს საფუძვლები. თუ რას გულისხმობდა ამ საფუძვლებში, ამის შესახებ „საერთო გაზეთს“ ნინო გვენეტაძე ესაუბრა.**

- ჩემი და ჩემი ოთხი კოლეგის (ტურავა, ისაევი, ლალიაშვილი და სულაქველიძე), რომლებსაც მაშინაც მეამბოხე მოსამართლეებს გვიწოდებდა მედია, სამოსამართლეო უფლებამოსილება „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ეჭვქვეშ დადგა. ეს იმ პოლიტიკური ნებით იყო განპირობებული, რომელიც იმხანად არსებობდა, ნაცხელისუფლებას არ სჭირდებოდა თავისუფალი და დამოუკიდებელი მოსამართლეები. მათ უნდოდათ ისეთი სასამართლო კორპუსი, რომელიც დაემორჩილებოდა დევნის ორგანოს, ანუ პროკურატურას. „მეამბოხე“ მოსამართლეები სისხლის სამართლის საქმეებს ვიხილავდით. მათ წინასწარ უნდა სცოდნოდათ, რა გადაწყვეტილებას მივიღებდით, ანუ მართლმსაჯულების სასურველი შედეგები გარანტირებული უნდა ჰქონოდათ. მოსამართლეებზე ზეწოლა 2005 წელს დაიწყო, მას შემდეგ, რაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე კოტე კუბლაშვილი დაინიშნა. მასთან მე და ჩემს კოლეგებს, როგორც იურისტებს, მანამდეც გვქონდა ურთიერთობა, ისიც „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წევრი იყო და გვეგონა, რომ მართლმსაჯულებაში იგივე კურსი შენარჩუნდებოდა და გაგრძელდებოდა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, პირიქით, პირველად უზენაეს სასამართლოში დაიწყო მოსამართლეების შევიწროება“.

- **რას გულისხმობთ?**

- იმ მოსამართლეებს, რომლებსაც დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მოსამართლის იმიჯი ჰქონდა, აფრთხილებდნენ, რომ სასურველი იყო მიეღოთ გადაწყვეტილება, სამსახურიდან საკუთარი განცხადებით წასვლის თაობაზე. ამის გარდა, თუ მათ რაიმე დარღვევა ჰქონდათ ჩადენილი, უკვე დისციპლინური წარმოება (დევნა) მიმდინარეობდა მათ მიმართ. თავის ქებაში ნუ ჩაგვითვლით, მაგრამ იქ ნამდვილად ვიყავით მოსამართლეების, ის კატეგორია, რომლებიც გამოვირჩეოდით პრინციპულობით, ობიექტურობითა და სამართლიანობით და უკვე გვქონდა საკმაო ავტორიტეტი, როგორც სასამართლო კორპუსში, ისე საზოგადოებაში. სამოქალაქო საზოგადოება თავად ხედავდა, რომ მართლმსაჯულების მხრივაც რაღაც კეთდებოდა და ქვეყანა სამართლიანობის გზას ადგა.

ერთი სიტყვით, დარწმუნდნენ, რომ არ მივეკუთვნებოდით ისეთ მოსამართლეებს რომლებიც ყოველგვარი მოტივაციის გარეშე, პირადი განცხადებით მოინდომებდა ერთ დღეს სამსახურიდან წასვლას. იმასაც მიხვდნენ, რომ ჩვენთან ძნელი იყო რაიმე დარღვევაზე საუბარი. ამას წინ უძღოდა უხერხული საუბრები კოტე კუბლაშვილთან, კონკრეტულ საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. მე და ჩემი კოლეგები არასდროს წავსულვართ მორიგებაზე, არ დავთანხმებულვართ მათ მითითებებს და არ გაგვიტარებია ის ხაზი, რასაც პროკურატურა ჩვენგან ითხოვდა. მათთვის გასაგები გახდა, რომ ჩვენ არ ვიქნებოდით მორჩილი მოსამართლეები. რაც უკომპრომისო ბრძოლის დაწყებას ნიშნავდა. მოგეხსენებათ, 2005 წელს საზოგადოება ჯერ კიდევ ეიფორიაში იყო, არსებობდა დიდი მოლოდინი, რომ ყველაფერი უკეთესობისკენ წავიდოდა. ჩვენ მშვენივრად ვხვდებოდით, რომ მკაცრ ბრძოლაში ვებმებოდით, ცხადი იყო, მთელი სახელისუფლებო აპარატი ჩვენს წინააღმდეგ იმოქმედებდა. ხელისუფლებას მაშინ ასეთი დევიზი ჰქონდა – არავითარი უკან დახევა, ჩვენ თუ ამ ხუთი მოსამართლის წინაშე უკან დავიხევთ, სასამართლო კორპუსს ველარ დავიმორჩილებთო. ამიტომაც დაიწყო ჩვენს მიმართ ყოვლად უკანონო დისციპლინარული წესით დევნა, რასაც, ვფიქრობ, საკმაოდ გმირულად გავუძელით. სამართალწარმოების ყველა ეტაპი ჩვენი მხრიდან მართლაც თავდაუზოგავი ბრძოლა იყო. ვცდილობდით გვეჩვენებინა, რომ ქვეყანას და სამართალს ვემსახურებოდით და არა რომელიმე კონკრეტული პიროვნების ინტერესებს.

ჩვენს კოლეგებს ვთხოვდით, როგორც უზენაესი სასამართლოდან, ისე სხვა ინსტანციების სასამართლოებიდან, რომ მხარდაჭერა გამოეცხადებინათ არა ჩვენთვის, არამედ დამოუკიდებელი მართლმსაჯულებისთვის, მაგრამ იმხანად უკვე იმდენად დიდი იყო ხელისუფლების გავლენა და შიში, რომ მათაც რაღაც „კომპრომატს“ მოუნახავდნენ. ყველაზე დიდი მხარდაჭერა, რომელიც იმედს გვაძლევდა, იყო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერა, თუმცა მაინც გაგვათავისუფლეს. ბრძოლა მაინც არ შეგვიწყვეტია, ამის შემდეგ სტრასბურგის სასამართლოში შევიტანეთ საჩივარი. აქედან გამომდინარე, მე ყველაზე კარგად შემიძლია ვისაუბრო ამ თემაზე და ვთქვა, რომ კოტე კუბლაშვილი, მხოლოდ ჩვენს მიმართ განხორციელებული უკანონო დევნისა და ზეწოლების გამო აბსოლუტურად სამართლებრივად და კონსტიტუციურად იმსახურებს იმპიჩმენტს. მოსამართლეზე ზეწოლის განხორციელება, ვისი მხრიდანაც არ უნდა იყოს



ეს, მით უმეტეს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მხრიდან, არის კანონის უხეში დარღვევა და პირდაპირ იმპიჩმენტის საფუძველია.

- **კუბლაშვილის იმპიჩმენტის საკითხზე მაშინ არ საუბრობდით?**

- ჩვენ 2005 წელსაც ხმამაღლა ვაცხადებდით, როგორც სახელმწიფოებრივ, ისე საერთაშორისო დონეზე, რომ ჩვენს წინააღმდეგ უზენაესი სასამართლო, იუსტიციის საბჭო და საერთოდ, მართლმსაჯულება, პოლიტიკური ნიშნით მოქმედებდა, ჩვენ გარდამავალი პერიოდის მართლმსაჯულების განხორციელებაზე, ანუ მორჩილებაზე, რომ არ ვთანხმდებით, იმიტომაც ვიდევნებითო. არსებობს სტუდია „რეპორტიორის“ მიერ 2005 წელს გადაღებული დოკუმენტური ფილმი, სადაც სახელმწიფო ჩინოვნიკები პირდაპირ აკეთებენ აღიარებებს, დიახაც, ვდევნით ამ მოსამართლეებს, ისინი სამსახურიდან უნდა წავიდნენო, მაგრამ რატომ უნდა წავსულიყავით, ამის კანონიერ საფუძველს ვერ ასახელებდნენ. კოტე კუბლაშვილის იმპიჩმენტისთვის საჭირო ჯერ კიდევ იმდროინდელი მტკიცებულებები გვაქვს. არსებობს ვენეციის კომისიის 2007 წლის დასკვნაც, რომელიც ჩვენი მი-



მართვის საფუძველზე გაკეთდა, იმ დისციპლინარულ წარმოებასთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზეც ჩვენ გაგვათავისუფლეს სამოსამართლეო უფლებამოსილებიდან. მოკლე ხანში ველოდებით სტრასბურგის სასამართლოს სათანადო გადაწყვეტილებასაც. ასე რომ, ამ საკითხზე საუბარი დღეს არ დაგვიწყია. ველოდებით სახელმწიფოს რეაგირებას, რადგან უკვე გვყავს არჩევნების გზით, სამართლიანად მოსული საპარლამენტო ხელისუფლება, რომელსაც სრული უფლებამოსილება აქვს კუბლაშვილის იმპიჩმენტი სამართლიანად, კანონიერად და კონსტიტუციის შესაბამისად განახორციელოს.

ბიძინა ივანიშვილისა და კოტე კუბლაშვილის შეხვედრის შემდეგ ბატონი ბიძინას გაკეთებულმა განცხადებამ, ხალხი ძალზე გააღიზიანა. მე ამას ვაფასებ, როგორც შეხვედრას შეხვედრისთვის, პირველ ურთიერთობას ორ სახელისუფლებო შტოს შორის და ვფიქრობ, სახელმწიფოს მეთაურმა ძალიან მაღალი პოლიტიკური კულტურა აჩვენა, რომ სასამართლო ხელისუფლებისადმი დამოკიდებულება იქნება ისეთი, როგორიც უნდა იყოს ნებისმიერ ცივილიზებულ, განვითარებულ სახელმწიფოში. ეს სრულიად ნორმალური განცხადებაა, რადგან ბიძინა ივანიშვილი არც პარლამენტის წევრია, არც პროკურორი და ა.შ. მან პირობა შესთავაზა, რომ იმ სასამართლოსთან იმუშავებს, რომელიც მიუკერძოებელი, დამოუკიდებელი იქნება. პირველი შეხვედრის დროს პოლიტიკურად სწორი არც იქნებოდა, მხოლოდ ნაკლოვანებებზე რომ გაემახვილებინათ ყურადღება. ჩვენ მათი დახურული შეხვედრის შინაარსი არ ვიცით, მაგრამ მოვისმინეთ, რომ პრემიერი ითხოვს დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ მართლმსაჯულებას და რეფორმებისადმი მხარდაჭერას. გასაგებია საზოგადოების რეაქცია, ხალხი შედეგებს ელოდება, მაგრამ პირველი შეხვედრა სხვანაირი ვერც იქნებოდა.

რაც შეეხება კოტე კუბლაშვილის განცხადებას, აქ მართლაც ჩნდება კითხვები და პრობლემები, თუმცა ესეც მისი გადასაწყვეტი იყო. იგი ამ შეხვედრის შემდეგ ძალზე შემართებულია, აცხადებს, რომ ისაუბრეს, მაგრამ დეტალებზე ნაკლებად ლაპარაკობს. სხვათა შორის, კუბლაშვილი მანამდეც აცხადებდა, რომ რეფორმების წინააღმდეგი არ არის. თურმე სასამართლოს დღეს ჰქონია შანსი, დამოუკიდებელი გახდეს, ე.ი ის თავადვე აღიარებს, რომ სასამართლო მთელი ამ წლების განმავლობაში იყო პროკურატურის სისხლის სამართლის პოლიტიკის გამტარებელი და დღეს გათავისუფლდა ამ პოლიტიკური ზეგავლენისგან. ეს არ არის დანაშაული? კუბლაშვილმა ამ ყველაფრის შემდეგ არ უნდა გააცნობიეროს, რომ ის ვერ იქნება რეფორმატორი თავმჯდომარე და ვერ შექმნის დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სამართალს? მოგეხსენებათ, პროკურატურაში კარდინალურად შეიცვალა ვითარება, ამ უწყებას ნამდვილად არ აქვს ბერკეტები და არც პოლიტიკური სურვილი, რომ ზეგავლენა მოახდინოს სასამართლოზე და კუბლაშვილი კი მხოლოდ ახლა ყოფილა მზად, დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოზე იმსჯელოს.

იგივე დამოკიდებულებაა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფორმირებასთან დაკავშირებითაც. მოგეხსენებათ, კოტე კუბლაშვილი ამ საბჭოს თავმჯდომარეცაა, გარდა ამისა, ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარეც გახლავთ და იუსტიციის უმაღლეს სკოლასაც ხელმძღვანელობს. არადა, კუბლაშვილის თანამებრძოლები, სანამ იგი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე გახდებოდა, ამბობდნენ, რომ არ შეიძლება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე სასამართლოების დირექტორი იყოსო. დღეს კუბლაშვილი სწორედ სასამართლოების დირექტორია. არ გაინტერესებთ რა სამოსამართლეო საქმიანობას ეწევა ბატონი კოტე? ის უზენაეს სასამართლოში საქმეებს არ იხილავს, შეიძლება წელიწადში ერთხელ უთავმჯდომარეოს დიდ პალატას, რომელიც განსაკუთრებული შემთხვევების დროს იხილავს საქმეებს. აქაც მისი მონაწილეობა მხოლოდ თავმჯდომარეობით შემოიფარგლება. დანარჩენ რესურსს კუბლაშვილი მხოლოდ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ბრძოლაში ხარჯავს, ადრე პროკურატურის ერთგულებაში და სისტემურ მორჩილებაში რომ ჰყოლოდა სასამართლო, დღეს კი იმაში, როგორ გადაუხადოს ხარკი ძველ ხელისუფლებას და მის ნარჩენებს, თანაც თავი მსხვერპლად წარმოადგინოს, რომ გაუგონარი ზეწოლის ქვეშაა საზოგადოებისგან და ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლებისგან.

- **იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფორმირების გზით თუ არის შესაძლებელი სასამართლო ხელისუფლებაში პრობლემების დაძლევა?**

- ვერ დაიძლევა და გეტყვით, რატომაც. გავიხსენებ (თუ არ ვცდები, 2006 წელს გამოქვეყნდა) კუბლაშვილის დიდ საგაზეთო პუბლიკაციას, სადაც ის ამბობს, რომ მხარს უჭერს რეპრესიულ პოლიტიკას სისხლის სამართალში. ეს ნებისმიერი ქვეყნის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს საჯაროდ რომ განეცხადებინა, მაშინვე დაატოვებინებდნენ არათუ თავმჯდომარის, არამედ რიგითი მოსამართლის პოსტსაც. მაშინ კუბლაშვილზე იმხელა წნეხი იყო, რომ ყველა იდეოლოგიას აღიარებდა და მათ შორის იმ პოლიტიკასაც იზიარებდა, რომელსაც პროკურატურა სთავაზობდა. მან სრულიად დაუფიქრებლად, უშიშრად გააკეთა ეს განცხადება, რადგან არაფრად უღირდა საზოგადოების რისხვა. დღეს ის კუბლაშვილი, რომლის იდეოლოგია ვერაფრით ვერ შეცვლილა, აცხადებს, რომ იქნება დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების გარანტი და უხელმძღვანელებს რეფორმირებულ იუსტიციის საბჭოსაც. ამ შემთხვევაში ნაკლებად მჯერა, რომ რეფორმა განხორციელდება მართლმსაჯულების სისტემაში, კუბლაშვილი არ არის ის თავმჯდომარე, რომელიც მართლმსაჯულებას გადაარჩენს. ამიტომ ჩემი უფლებების დასაცავად, ისევე როგორც ასეულ ათასობით უფლებადარღვეული ადამიანი, ბოლომდე ვიბრძოლებ.

- **კუბლაშვილის განცხადებით, ის ნაწილობრივ უჭერს მხარს შემოთავაზებულ სასამართლო რეფორმას. იქნებ ამ თემაზე უფრო კონკრეტულად გვესაუბრა?**

- ის, თურმე, 80%-ს უჭერს მხარს და 20%-ს ეწინააღმდეგება. არ გაინტერესებთ რას ეწინააღმდეგება? მას უნდა, რომ თვითონ, მისი იდეოლოგიის გამტარებელი ადმინისტრაციული ფუნქციის მატარებელი პალატის თავმჯდომარეები და იუსტიციის საბჭოს წევრები ხელშეუხებელნი იყვნენ. ეს ნიშნავს, რომ კუბლაშვილი კვლავაც გააგრძელებს ხარკის გადახ-

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

დას თავისი იდეოლოგებისათვის, რომლებიც დღეს შეიძლება დიდ ვერაფერს წყვეტენ ქვეყანაში, მაგრამ რაღაცას მაინც ცდილობენ და აქტიურობენ. ისევ თვითონ უხელმძღვანელებს იუსტიციის საბჭოს, დანიშნავს წევრებს და ექნება გარკვეული პოლიტიკის გატარების უფლება. კუბლაშვილი ასევე ითხოვს, რომ იუსტიციის საბჭოს რეფორმირების დროს დღეს მოქმედ საბჭოს წევრებს არ შევეხოთ მათი უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე. აბა, როგორ გავატაროთ რეფორმა? თუ ეს ადამიანები ამდენი წლის განმავლობაში ვერ ქმნიდნენ სამართლიან მართლმსაჯულებას, დღეს რატომ შექმნიან, მით უმეტეს, როცა მათ ვეუბნებით, თქვენს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, რომელიც იყო უკანონო და დაუსაბუთებელი, უნდა გადაისინჯოსო. რანაირად შეიძლება იმ ადამიანებს, ვისაც არ ენდობი, რეფორმა გაატარებინო?

არის ერთი შანსი, იუსტიციის საბჭოს 15 წევრიდან ექვსი მაინც, რეალურად, უნდა შეიცვალოს, ანუ უნდა აირჩეს პარლამენტის მიერ, ოღონდ ისინი პარლამენტარები არ უნდა იყვნენ. აირჩიონ კვალიფიციური იურისტები, მაღალი ეთიკური სტანდარტის მატარებელი ადამიანები, თუმცა ისიც საკითხავია, შეცვლის კი ეს ექვსი ადამიანი იუსტიციის საბჭოში პოლიტიკას? ამიტომ აქვთ ნაციონალებს დიდი ვაი-ვიში ატეხილი, რომ მანამდე არადემოკრატიული წესით არჩეული წევრები, რომლებიც მოსამართლეთა თვითმმართველი ორგანოს (კონფერენცია) მაგივრად ადმინისტრაციულმა კომიტეტმა (თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი) აირჩია, უფლებამოსილების ამოწურვამდე თავის ადგილზე დარჩნენ და ამის შემდეგ დაიწყოს ცვლილებებზე ლაპარაკი. აი, ეს არის კუბლაშვილის



რეფორმისადმი მხარდაჭერა. საზოგადოება კი თურმე თმენის ვალდებულებით უნდა ალიჭურვოს, გონივრულად და ბრძნულად უნდა მიიღოს ეს ყველაფერი. რასაკვირველია, ხარვეზების გამოსწორებას და მართლმსაჯულების დახვეწას — დრო სჭირდება, მაგრამ არა ისე, რომ კიდევ ჩვენ დავზარალდეთ. მეც იმ მოსაზრებას ვეთანხმები, რომ მოკლე და ეფექტურ დროში უნდა მოხდეს ჩვენი უფლებების აღდგენა.

საზოგადოების დაკვეთა ნამდვილად არ არის ის, რომ კუბლაშვილმა უფლებამოსილების ვადა დაამთავროს და მერე დავიწყოთ მართლმსაჯულების რეფორმა. სრული კატეგორიულობით ვაცხადებ, კოტე კუბლაშვილი რეფორმას ვერ განახორციელებს. მას ამისთვის რვა წელი ჰქონდა, მაგრამ პირიქით, პროცესებს უკუმიმართულებით წარმართავდა.

ამიტომ, მე, როგორც საზოგადოების რიგითი წევრი, სრულად ვიზიარებ საზოგადოების განწყობას და მიმაჩნია, რომ ჩვენ უნდა ვაიძულოთ კუბლაშვილი დაუყონებლივ გადადგეს. თუ სახელისუფლებო შტოები ამას ვერ შეძლებენ, მათ შორის იმპიჩმენტის პროცედურითაც, ისეთი საზოგადოებრივი ზეწოლა და სამოქალაქო სექტორის ისეთი აქტივობა უნდა იყოს, რომ კოტე კუბლაშვილმა დატოვოს პოზიციები.

„საერთო გაზეთს" კოტე კუბლაშვილთან დაკავშირებით სანდო წყარომ საინტერესო ინფორმაციები მიაწოდა, კოტე კუბლაშვილი აქამდეც გადადგებოდა, მაგრამ იგი ნაცელიტის მძევალია, მათ წინაშე ვალდებულებას გრძნობს, რადგან როცა ავადმყოფობდა, მათ სერიოზული მატერიალური დახმარება გაუწიესო. როგორც შევიტყვეთ, ბოლო ხანს თურმე გიგა ბოკერია ხშირად სტუმრობს კოტე კუბლაშვილს და სავარაუდოდ, მითითებებსაც აძლევს. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ასევე ხშირად საუბრობს სკაიპით თავის უცხოეთში გახიზნულ „შეფთან" ზურაბ ადეიშვილთან და შემდგომი მოქმედებისთვის დირექტივებს მისგანაც იღებსო.

**მანანა სუხიშვილი**
**599 51 28 24**



# რატომ არ უნდა აშშ-ს სააკაშვილის და ნაციონალების ჩამოცილება ხელისუფლებიდან?

*გთავაზობთ ინტერვიუს პოლიტოლოგ*
***ჰამლეტ ჭიპაშვილთან***

**— ბატონო ჰამლეტ, რამდენიმე დღის წინ პარლამენტმა რეზოლუცია მიიღო „საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ". რეზოლუცია პარლამენტმა 96 ხმით დაამტკიცა. როგორ ფიქრობთ, რა აუცილებლობით იყო ეს გამოწვეული და საერთოდ, როგორ შეაფასებთ ამ რეზოლუციას?**

— კიდევ კარგი, ნაციონალები კონსტიტუციაში სქესობრივი ორიენტაციის ჩაწერას არ გვთხოვენ, მაგრამ მე არაერთხელ მითქვამს და კვლავ გავიმეორებ: ყოვლად დაუშვებელია და არც ერთი ქვეყნის კონსტიტუციაში არ წერია პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი.

საერთოდაც, არ შეიძლება კონსტიტუციაში ასე ხშირ-ხშირად ცვლილებების შეტანა.

მით უფრო, რომ არავინ იცის, რა სიტუაცია იქნება მსოფლიოში ხვალ. არავინ იცის, რა დამოკიდებულება იქნება ნატოსადმი ცოტა ხნის შემდეგ. დღეს თვით ამერიკელ პოლიტიკოსებს შორის ნატოს ალიანსის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. ბევრს მიაჩნია, რომ ნატომ ამოწურა თავისი ფუნქცია თავის დროზე ხომ. ის შეიქმნა იმის გამო, რომ დაპირისპირებოდა ვარშავის პაქტს. აღარ არის სსრკ და მისგან მომდინარე საფრთხე. რუსეთთან არსებობს სისტემატიური კონსულტაციები.



რაც შეეხება ევროკავშირს, რომელიც ეკონომიკურ-პოლიტიკური ორგანიზაციაა — ევროპის იმ სახელმწიფოთა კავშირი, რომელთა ეკონომიკები თითქმის თანაბარ დონეზეა. თუმცა აქვთ სერიოზული პრობლემებიც, რაც გამოწვეულია მსოფლიო ეკონომიკური კრიზისებით. ევროკავშირის ბევრი ქვეყანა ფიქრობს დღეს ამ გაერთიანებიდან გამოსვლაზე. მობეზრდა მსოფლიოს ბრიუსელის მითითებებით სიარული.

ახლახან იტალიაში ჩატარებულ არჩევნებში ხმათა დიდი უმრავლესობა, 25 პროცენტი კომიკოსმა, გვარად გრილომ მოიპოვა, რომელიც აცხადებდა: გამოვიდეთ ევროკავშირიდან, შევქმნათ ეროვნული სახელმწიფო. ამ მოწოდებების გამო მიიღო მან ხალხის მხარდაჭერა. წარმოგიდგენიათ, რამხელა ციფრია 25 პროცენტი იტალიაში?!

ასეთ დროს ჩვეს კონსტიტუციაში პოლიტიკური ორიენტაციების ჩაწერა პირდაპირ სიბეცეა.

მაგალითად, პარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუციის მე-18 პუნქტში წერია: „საქართველოს არ შეიძლება ჰქონდეს დიპლომატიური ურთიერთობები, ან იმყოფებოდეს სამხედრო-პოლიტიკურ ან საბაჟო კავშირში იმ ქვეყნებთან, რომლებიც აღიარებენ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობას, ან ოკუპირებული აქვთ საქართველოს ტერიტორია"...

ეს არის პირდაპირი მინიშნება და ამას ამბობს ახალი მთავრობა. ეს თითქმის იგივეა, რასაც ამბობდა ნაციონალური ხელისუფლება.

თუ რეზოლუციაში წერდნენ ასეთ რადიკალურ მიდგომებზე რუსეთის მიმართ, როგორც იმერეთში იტყვიან ხოლმე, დასაკლავი დედალივით რაღას დაარბენინებდნენ წინ და უკან აბაშიძეს. რა საჭირო იყო მაშინ სპეცწარმომადგენლობის შექმნა?!

უბრალოდ, ყოველივე ეს არის წყლის ნაყვა. დიპლომატიაში ასეთი რამ გამორიცხულია — გამოდის, რომ ილაპარაკებენ ღვინოზე, მინერალურ წყლებზე, ვაშლზე და მორჩა. წყდება საუბარი. შევედით ჩიხში. ახალი ხელისუფლება წინაპირობას უყენებს მოლაპარაკების მეორე მხარეს — ან ამ ტერიტორიებს გაათავისუფლებ, ან არადა, „ბუტე, ბუტე, გაგებუტე". რა არის, ახლა, ეს?

ნატო და ევროკავშირი გვინდა?! ძალიან კარგი, მაგრამ ორივე ამ კავშირმა ათასი და ორიათასი წელიც რომ იარსებოს, საქართველოს იქ არ მიიღებენ! არაერთხელ მისაუბრია ამაზე.

**— რატომ იღებს ერთი და იგივე ტიპის გადაწყვეტილებებს ძველი და ახალი ხელისუფლება. რა არის ეს, უცოდინარობა თუ მუდმივი ვალდებულებები რომელიმე დიდი პოლიტიკური გაერთიანებისადმი?**

— „მოყვარეს პირში უძრახეს" პრინციპით, მოგახსენებთ, რომ ეს არის ქართული პოლიტიკური უმწიფარობა. რუსეთს ჩვენი გულისთვის არავინ წაშლის მსოფლიო რუკიდან, საქართველოს გაქრობის საფრთხე კი რეალურია. როგორი დემოგრაფიული სურათი დაგვიხატა გაეროს ექსპერტებმა, ჩვენი თვალით ვიხილეთ. ამ მხრივ, მართლაც კატასტროფული ვითარებაა, მაგრამ დავუბრუნდეთ რეზოლუციას. აქ ერთ-ერთი პუნქტი ლაპარაკობს საქართველოს მზადყოფნაზე ჩვენს ტერიტორიაზე დიდი ქვეყნების ურთიერთობაში. ბოდიში, მაგრამ, რას ვეჩრებით დიდი სახელმწიფოების საქმეებში?!

რამდენიმე ხნის წინ თქვენს გაზეთში გამოქვეყნდა სტატია არაბულ ქვეყნებში ჩვენი ელჩის ეკატერინე მეიერინგ-მიქაძის შესახებ. ეს ქალბატონი სალომე ზურაბიშვილის პერიოდიდან არის ელჩად მივლინებული. მის შესახებ ქართველმა მოსახლეობამ თქვენი გაზეთიდან შეიტყო, მაგრამ დაინტერესებულმა პირებმა ხომ იცოდნენ, რაც ხდებოდა?! ცხადია, იცოდნენ.



**— ტერორისტული დაჯგუფებების არსებობა საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც ჩანს, ძველი ხელისუფლებისთვის უცხო არ ყოფილა. დოკუ უმაროვს თბილისში რომ მკურნალობდნენ, ეტყობა, არც ეს ჭორი ყოფილა სიმართლისგან შორს...**

— ნუ, ეს უკვე დადასტურებული ფაქტია, მაგრამ რატომღაც არავის აშფოთებს საქართველოში რელიგიური სექტების მომრავლების საკითხი. საქართველო არის სალაფიტური და ვაჰაბისტური რელიგიური სექტების ცენტრი. აქედან ხორციელდება რელიგიურ-ექსტრემისტული ორგანიზაციების მართვა ირანის, ერაყის, ახლო აღმოსავლეთის საპირისპიროდ.

ის ვაჰაბიტები და რეაქციული მუსულმანური სექტების მეომარი წარმომადგენლები, ვინც თბილისში იყრიან თავს, ის ხალხია, რომლებიც წლების განმავლობაში საქართველოს გავლით რუსეთში აგზავნიდა ბოევიკებს.

ამას წინათ კავკასიის ინსტიტუტის ერთმა წარმომადგენელმა „მაესტროს" ეთერში განაცხადა — ჩვენ ძირფესვიანად შევისწავლეთ საკითხი საქართველოს ტერიტორიაზე ბოევიკების მომზადების შესახებ სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში. ბოევიკებს, ჩვენი ინფორმაციით, აქედან სირიაში აგზავნიდნენო...

რუსეთი წლების განმავლობაში რომ აცხადებდა — საქართველოში ბოევიკებს ამზადებენო, მართალი იყო. ის, რომ საქართველოს და არა მხოლოდ საქართველოს ფულს ხარჯავდა გივი თარგამაძე რუსეთში არეულობების მოსაწყობად, ეს უკვე დადასტურებული ფაქტებია.

მოკლედ, „მიხეილ მაღალის" წყალობით, საქართველო ძალიან ბინძურ საქმეშია გაჩხერილი.

**— შესაძლოა, ლაფანყურის ამბებიც ამ ბნელ საქმეებს უკავშირდებოდეს?**

— ცხადია. ის ხალხი სირიიდან ჩამოსული მებრძოლები იყვნენ და დროებით იყვნენ ლაფანყურში. მაგრამ ყოველივე ამას სერიოზული სახელმწიფო გამოძიება სჭირდება. მხოლოდ ეს არის საკმარისი იმისთვის, რომ სააკაშვილის იმპიჩმენტის საკითხი დადგეს და პასუხისმგებლობაში მიეცეს. მან ძალიან საშიში გარემოებები შექმნა ჩვენი ქვეყნის არსებობის წინააღმდეგ. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ მან დაიწყო ომი 2008 წელს, ყველაფერი ნათელი იქნება.

**— ეს საკამათო თემაა ჯერ კიდევ. ზოგი სააკაშვილისკენ იშვერს ხელს, ზოგი — რუსეთისკენ...**

— რუსეთს ეს ომი არაფრისთვის არ სჭირდებოდა. აშშ-ს აინტერესებდა რუსეთის რეაქცია. ბოლოს და ბოლოს იმ პერიოდში 1500 ამერიკელი სამხედრო ატარებდა წვრთნებს და ვერავინ შენიშნა ტანკები რომ მიემართებოდა ცხინვალის მისადგომებისკენ?! იმ ხანებში ტელეკომპანია iTV-ზე ისრაელის საკითხების სპეციალისტი გამოიყვანეს. მან თქვა, რომ 2008-ში რუსეთთან ომისთვის ქართულ ჯარს ამზადებდა ლიბანის ომის მეთაური ებრაელი გენერალი.

დიდი სახელმწიფოების თამაშისგან რაც შეიძლება შორს უნდა იყო, თორემ ერთ დღეს, მოსალოდნელია, როგორც ქათამი, ისე წაგაკლან თავიანთ საქმეს.

„ქართულ ოცნებას" ჰგონია, რომ ჩამოწერა სააკაშვილის ხელისუფლება, მაგრამ, სინამდვილეში, ასე არ არის. აშშ-ს ხელს არ აძლევს სააკაშვილის ჩამოცილება ძალაუფლებიდან. ის ჯერ კიდევ სჭირდებათ. ამიტომ შესთავაზა ახალ ხელისუფლებას კოჰაბიტაცია. ეს ნიშნავს, რომ ნაციონალები ჯერჯერობით უნდა იყვნენ ოპოზიციაში, მერე კი, მოსალოდნელია, დაავიწყდეს ხალხს ნაციონალების ნამოქმედარი და ისევ მიუბრუნდეთ გული მათკენ. ნაციონალები, ბატონებო, არსად არ წასულან, ისევ პოლიტიკაში არიან და ოთხი წელიწადი კიდევ იქნებიან.

**ირანდა კალანდაძე**
**593 56 11 18**

*ვესაუბრებით იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატს, პროფესორ*
***ალექსანდრე ჩხიტაურს***

# გია ხუბუას „მეორედ მოსვლა“

**— ბატონო ალექსანდრე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გერმანულ-ქართული ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის დაფუძნებამ საზოგადოების გარკვეული ნაწილის სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია, რადგანაც ამ ინსტიტუტის დამფუძნებლად და ხელმძღვანელად კვლავ გია ხუბუა მოგვევლინა. ის არის პიროვნება, რომელიც გადაყენებულ იქნა რექტორის თანამდებობიდან ისეთი დანაშაულისთვის, რომელიც სისხლის სამართლის ნიშნებსაც შეიცავდა. რა მოხდა ამჯერად?**

— გარდა იმ დანაშაულისა, რომელიც უნივერსიტეტში გია ხუბუას რექტორობის დროს მოხდა (ვგულისხმობ, წიგნების გატანას ქვეყნიდან), მას ბევრი უპასუხისმგებლო ქმედებები აქვს ჩადენილი. გამოვყოფ თუნდაც ერთს და განსაჯეთ, იყო თუ არა ის მართალი. მაგალითად, სრულ პროფესორს კვირაში 8 საათი დატვირთვა უნდა ჰქონდეს, რომ მან ანაზღაურება სრულად მიიღოს. ხუბუას თავისი „მოღვაწეობის“ პერიოდში კვირაში ხან 2 საათი უფიქსირდებოდა ლექციის ჩატარება, ხან საერთოდ არა, თუმცა, მაინც იღებდა ხელფასის სრულ განაკვეთს. მითხარით, რამდენად შეესაბამება ეს ქცევა რექტორის მორალს? რაში იღებდა პრემიებს? თანხაში არ არის საქმე, მისი მორალური სახე მაინტერესებს, შეეფერებოდა ის ამ თანამდებობას?

დღეს საქმე უფრო რთულად გახლავთ, მაინტერესებს ერთი რამ, აკადემიურმა საბჭომ გია ხუბუა რექტორობიდან გადააყენა, დღეს კი კვლავ გაუხსნეს მას უნივერსიტეტში ინსტიტუტი. ისე, რომ ძველი „ცოდვები“ არ გახსენებიათ. რა უნდათ, რომ ამით თქვან — მოხდა გია ხუბუას რეაბილიტაცია? ან როდის ტყუოდა საბჭო, მაშინ, როდესაც ის მოხსნეს თანამდებობიდან თუ დღეს, როცა კვლავ მისცეს უნივერსიტეტში დაბრუნების შანსი? ვინ დგას ამ საბჭოს უკან? შეიძლებოდა კი, რომ ეს ყოველივე მომხდარიყო ახალი ხელისუფლებისა და ახალი განათლების მინისტრის ინიციატივით? ეს არის განათლების ახალი რეფორმა?

**— ბატონო ალექსანდრე, ეს ხომ ჯერ კიდევ 2005 წლიდან**


გია ხუბუა

**დაიწყო უნივერსიტეტში, იქნება, „განათლების რეფორმის“ ნაწილია ეს ყველაფერი?**

— განათლების რეფორმა ერქვა, თორემ ის ხომ არ ყოფილა ჩამოყალიბებული დოქტრინა. ამ რეფორმაზეც მოგახსენებთ. მიზეზთა შორის ძნელია უმთავრესის გამოყოფა, თუ რომელია ის ძირითადი მიზეზი, რომელმაც გამოიწვია სახელმწიფოს განვითარების სწორი გზიდან გადახვევა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: განათლების რეფორმამ, ხელისუფლების არაჯანსაღი პოლიტიკის ფონზე, უმეტეს შემთხვევაში, ძალადობის, უკანონობისა და განუკითხაობის ფონზე ჩაიარა.

როდესაც მაშინდელ განათლების მინისტრს კახა ლომაიას დაუსვეს შეკითხვა, თუ როგორ რეაგირებდა ის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა კრიტიკაზე, მან პირდაპირ ეთერში გაკეთებული განცხადებით კრიტიკა „ძაღლების ყეფას შეადარა“. ასევე 2005 წელს პირველკურსელებთან შეხვედრაზე ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი მოხვდნენ უნივერსიტეტში, სადაც უმეტესობა, თურმე „წითელი“ პროფესორია და „ჩასარეცხია“ და ეს ბედნიერი „ჩარეცხვის“ შანსი, მათი თქმით, იქ დამსწრე თაობის (პირველკურსელებს). მიეცათ და წარმატებაც უსურვეს ამ მამულიშვილური შანსის განხორციელებაში.

**— მას შემდეგ უნივერსიტეტმა რამოდენიმე რექტორი გამოიცვალა, ამჟამადაც „ნაციონალების“ კადრია ხელმძღვანელი, ეს ხომ არ უშლის ხელს იმას, რომ სერიოზული ახალი რეფორმები განხორციელდეს, ბოლოს და ბოლოს საქართველო ხომ ბოლონიის პროცესს შეუერთდა, რაც სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას გულისხმობს?**

— საქმე ისაა, რომ როდესაც ხელისუფლებამ განათლების რეფორმაზე დაიწყო საუბარი, რეფორმის პროგრესულობას ასაბუთებდა და ცდილობდა მის დაკავშირებას ე.წ. „ბოლონიის პროცესთან“, ანუ პირველი დღიდან მოყოლებული დღემდე მათი მხრიდან განხორციელებულ თითოეულ ქმედებას ბოლონიის სახელით, ანუ ევროინტეგრაციისა და ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს განათლების სისტემის შესაბამისობის საჭიროებით ამართლებდნენ. თუმცა რეფორმას მისი მესვეურნი ახორციელებდნენ სრულიად საწინააღმდეგო ქმედებებით, რამაც დღემდე უაღრესად მძიმე მდგომარეობა შექმნა უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში, ამან კი საზოგადოებაში მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება გააჩინა, როგორც ხელისუფლების, ასევე „ბოლონიის პროცესისადმი“ და აქედან გამომდინარე, ზოგადად, ევროპული ფასეულობებისადმი, რამაც, საბოლოო ჯამში, სავალალო შედეგები მოიტანა.

განათლება და მეცნიერება თავისი არსით გლობალურია და ორივე ერთად ემსახურება საერთაშორისო თანამშრომლობასა და თანაარსებობის დემოკრატიულ პრინციპებს. ეს გახლავთ „ბოლონიის პროცესის“ არსი და არა გია ხუბუას ნებისმიერ დროს ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში უნივერსიტეტში რამოდენიმეჯერ დაბრუნებას.

**— განათლების რეფორმამ არანაირი სიკეთე არ მოუტანა უნივერსიტეტს?**

— არა, უბრალოდ, მოხდა უმაღლესი სასწავლებლის რეალური ავტონომიისა და თვითმმართველობის ორგანოების გაუქმება, რომლებიც ატარებენ ფიქტიურ ხასიათს. ასევე, მოხდა კვალიფიციური სამეცნიერო და პედაგოგიური კადრების უსამართლოდ განდევნა და შესაბამისად, სამეცნიერო კვლევების ხარისხიანობის შემცირება ან სრული გაქრობა. ასევე, უნდა მოხდეს უნივერსიტეტში განხორციელებული ადმინისტრაციული კონკურსებისა და საკადრო პოლიტიკის გადასინჯვა და სამართლებრივ-პოლიტიკური შეფასება, მათ



შორის დამდგარი შედეგების გადახედვა-გაუქმება. უნდა დაისვას აღნიშნული პროცესების ორგანიზებასა და განხორციელებაში მონაწილე სუბიექტების პასუხისმგებლობის საკითხი. საუბარია, თსუ-ში, უმეტეს შემთხვევებში, და განსაკუთრებით, გია ხუბუას რექტორობის პერიოდში ადმინისტრაციული პერსონალის ნათესაურ-კლანური არაკვალიფიციური და სხვა ნიშნით შერჩევასა და ამ გზით საუნივერსიტეტო კადრების დაკომპლექტებაზე, რომელნიც ნაციონალურ ხელისუფლებასთან იყვნენ დაკავშირებულნი. ასევე გარკვეულ ეჭვს იწვევს 2005 წლიდან დღემდე რეფორმების მიმდინარეობის პროცესში, თსუ-ში მატერიალური და ფინანსური სამსახურის მართვის საკითხი და საფინანსო პოლიტიკა, უნდა მოხდეს დღეს არსებული უძრავ-მოძრავი ქონების აღწერა და მისი შედარება 2005 წელს არსებულ მონაცემებთან. ასევე, უნდა მოხდეს თსუ-ში არსებული სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზაციის საქმიანობის შესწავლა, რომელთა საქმიანობაშიც სისტემატიურად ერეოდა ნაციონალური ხელისუფლება.

სამწუხაროდ, ხუთი თვე გავიდა ახალი ხელისუფლების მოსვლიდან, მაგრამ ამ საკითხებით არც განათლების სამინისტრო ინტერესდება ჯერჯერობით და არც მთავრობა.

სულ ახლახან გაიმართა „ქართული აკადემიის“ წევრთა შეკრება, მოსული იყვნენ მედიის წარმომადგენლებიც, დღეს საკითხი უკვე დაისვა, ვნახოთ, რა შედეგებს მივიღებთ. ასევე, საქმის კურსშია პარლამენტში საგანმანათლებლო ფრაქციის თავმჯდომარე, ბატონი ვანო კილურაძე.

**— ამბობენ, რომ გია ხუბუას უნივერსიტეტში „მეორედ მოსვლას“, ანუ ქართულ-გერმანული ადმინისტრაციული ინსტიტუტის გახსნას ორი უნივერსიტეტელი მინისტრი — ნოდარ ხადური და დავით ნარმანიაც ესწრებოდნენ, რომელიც დღეს ახალი ხელისუფლების წარმომადგენელნი არიან. ცხადია, რომ მათ ხუბუას წერილი კარგად იციან, რა იყო მათი დუმილის მიზეზი?**

— ვერ გეტყვით, მე ვიცი მხოლოდ ის, რომ უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ თავისი პოზიცია უნდა დააფიქსიროს ამ ფაქტთან დაკავშირებით, იქნებ ხუბუა არ არის დამნაშავე? ხომ არ იმსახურებს ის რეაბილიტაციას? თუ არ ჰქონდა მას დარღვევები, რატომ გაანთავისუფლეს? ეს გახლავთ კითხვები, რომელიც პასუხს ითხოვს. ასევე, რჩება ერთი მთავარი კითხვა, ვინ არიან დღეს უნივერსიტეტში ხუბუინები? ხალხი ელის ცვლილებებს, რომელნიც ცხრა წლის მანძილზე არ განხორციელებულა და რა მივიღეთ პასუხად — დუმილი? ვის აძლევს ხელს ეს დუმილი? დღეს უნივერსიტეტში მოკალათებულია ხალხი, რომლებიც ნაციონალების ხელშიც კარგად გრძნობდნენ თავს და დღესაც ასე განაგრძობენ, მათთვის არაფერი შეცვლილა.

ვსვამ კითხვას, გენპროკურატურამ არ უნდა შეისწავლოს ის მასალები, ის ფინანსური დარღვევები, რომელიც ამ უმაღლეს სასწავლებელში ხდებოდა? რატომ დუმს ამ საკითხზე ქართული საზოგადოება?

**ეთერ კასრელიშვილი**
**599 110 200**

## საქართველოს ეკონომიკაში წითელი ნათურებია ანთებული



ეკონომიკის ექსპერტი დემურ გიორხელიძე მიიჩნევს, რომ დღევანდელი გადასახედიდან საქართველოს ეკონომიკაში საგანგაშო არაფერია, მაგრამ წითელი ნათურებია ანთებული. მან ამის შესახებ გაზეთ "პრაიმტაიმის" პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, ეს წითელი ნათურები ახალი ხელისუფლებისათვის იმის მანიშნებელია, რომ ის ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაზე კონცენტრირებული უნდა იყოს. მისი მოსაზრებით, სახელმწიფო ბიუჯეტის მდგომარეობასთან დაკავშირებით მშვიდად უნდა ვიყოთ, მას არანაირი პრობლემა არ აქვს. მასში ნაშთის სახით 340 მილიონ ლარზე მეტია მობილიზებული.

"საშიშია არა ბიუჯეტის მდგომარეობა, არამედ ყურადღებას ეკონომიკის მდგომარეობა მოითხოვს. დღეისათვის ეკონომიკური აქტივობა ძალიან დაბალია. ეს იმპორტის შემცირებასა და წარმოების მაჩვენებლებს ეტყობა", — აღნიშნა დემურ გიორხელიძემ.

მისი თქმით, ძალიან დაბალია მსხვილი კომპანიების აქტივობა, რადგან მათ არ იციან, როდის დაიჭერენ. მისი განმარტებით, ლაპარაკია მონოპოლისტ კომპანიებზე.

"მათ სუფთა მოგების სახით დაახლოებით 7 მილიარდ ლარი დარჩათ. აქედან ეკონომიკაში ერთი ლარიც არ შემობრუნებულა. ე.ი. მსხვილი კომპანიები გაურკვევლობაში არიან. არ იციან, როდის დაიჭერენ, ამიტომ მათი აქტივობა ძალიან დაბალია", — აღნიშნა დემურ გიორხელიძემ.

მისი თქმით, კვლავაც ძალიან მძიმე მდგომარეობაში რჩება მცირე და საშუალო ბიზნესი. მათთვის კვლავ მძიმედ და პრობლემურად რჩება საბანკო სისტემა.

"საბანკო სისტემა ჩაკეტილია და თავის შვილობილ კომპანიებს, ახლობლებს აფინანსებს. ამის გამო ბიზნესისათვის კრედიტები მიუწვდომელია. თან ეს სესხები მაღალია", — აღნიშნა დემურ გიორხელიძემ და დასძინა, რომ ამ პრობლემის გადასაჭრელად ახალმა მთავრობამ ჯერ ნაბიჯები ვერ გადადგა.

ეკონომიკის ექსპერტი ყურადღებას იმ გარემოებაზეცვ ამახვილებს, რომ მოსახლეობის 70 პროცენტი უმუშევარია.

„თავი დავანებოთ თვითდასაქმებულებს, — აცხადებს დემურ გიორხელიძე, - ადამიანებს ახალი შემოსავლების მიღების საშუალება არ აქვთ. დასაქმებულთა შემოსავალი კი ისეთი მწირია, რომ მათი მსყიდველობითი ეკონომიკაში ძალზე დაბალია. ერთი, რაც ყველამ იგრძნო, ის არის, რომ მათ არავინ დაიბარებს და ნოტარიუსში ქონებას არ გადააფორმებინებს", — დასძინა დემურ გიორხელიძემ.

**„მედიანიუსი“**

*გვესაუბრება საქართველოს პარლამენტის წევრი, ბიზნესმენი ბატონი* ***გოგი თოფაძე***



# კახა ბენდუქიძე არის ქართული ეკონომიკის მკვლელი

**— ბატონო გოგი, თქვენი დახმარებით და ბატონი ვახტანგ ხარჩილავას რედაქციით წლების წინ დაიბეჭდა ამერიკელი ეკონომისტის ჯონ პერკინსის წიგნი „ეკონომიკური მკვლელის აღსარება“. ქვეყანაში ეკონომიკური სანქციები და ზეწოლები უცხოელი „ეკონომიკური მკვლელების“ მიერ პროვოცირებული დივერსიებია ხშირ შემთხვევაში თუ ადგილობრივი ველური ბიზნესის შედეგი?**

— გამორიცხული არაფერი არაა საქართველოში. ჩაის კულტურა მოისპო, ციტრუსს ველარ მოვუარეთ, ვენახი აჩეხეს, ვაშლი ამოიძირკვეს; ჩემი აზრით, ეს განზრახ იყო გაკეთებული საქართველოს დასაქცევად და კახა ბენდუქიძე ჩაუდგა ამას სათავეში ეკონომიკის მინისტრობის პერიოდში. ის ამბობდა — საქართველოს არ სჭირდება სოფლის მეურნეობაო. შექმნა ჯგუფი, ვინც გამოდიოდა პრესა-ტელევიზიით და გაიძახოდნენ — რად გვინდა სოფლის მეურნეობა, მისი წილი 7 პროცენტია შიდა პროდუქტშიო. ბენდუქიძემ შესანიშნავად იცოდა, რომ სოფლის მეურნეობის უქონლობა მძიმე სოციალურ ფონს შექმნიდა. განზრახ ამახინჯებდა ციფრებს, მცირემიწიანი ქვეყანა ვართო და აღარ ვიცი რა გითხრათ, რამდენი მავნებლობა ჩაიდინა. მან მოკლა ქართული სოფლის მეურნეობა. კახა ბენდუქიძე ბრძანდება სწორედ ეკონომიკური მკვლელი.

გაიქცა ხალხი სოფლებიდან და სხვა რჯულის და სხვა ეროვნების ადამიანები ეპატრონებიან დღეს ქართულ მიწებს. ყველაფერი კი გაკეთებული იყო იმიტომ, რომ მომსპარიყო ყველაფერი ქართული.

ხევსურეთში, ამ უნიკალურ კუთხეში, 9 წლის განმავლობაში არაფერი გაკეთებულა. არ არის გზა, ელექტროენერგია, წყლის პრობლემა მოუგვარებელია და მოდის იქედან ხევსური, მის ადგილს კი იკავებს ჩრდილოკავკასიიდან ჩამოსული ხალხი და იკარგება არხოტი, მუცო, მთათუშეთი...

ჩემმა მეგობარმა ლუკა რამაზაშვილმა ცხვარი დაურიგა ადგილობრივებს — წადით, აძოვეთ ცხვარი მთაში, დადექით იქ, სადაც საზღვარია, უცხო რომ არ შემოვიდეს, 5-6 წლის მერე თავანი ჩამაბარეთ და ნამატი თქვენი იყოსო.

**— ჩვენ გვახსოვს თქვენი პროექტები სოფლის მეურნეობაში. ახლა კი ახალმა ხელისუფლებამ მილიარდი ლარი ჩადო სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის.**

**ურთიერთობის რა პერსპექტივები გაქვთ და კიდევ რა ახალი პროექტები არის განსახორციელებელი ახალი ხელიუფლების მიერ?**

— უნდა გავითვალისწინოთ, რომ ძველი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ ხელი შეუშალოს ბიძინა ივანიშვილის გეგმებს და მისი დაპირებების შესრულებას. ბევრ პროექტს, უბრალოდ, ხელს უშლიან და აბრკოლებენ.

თქვენთან შეხვედრამდე „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებთან ვიყავი და სწორედ ამ საკითხებზე ვიმსჯელეთ. ბევრი საკრებულო, თავმჯდომარე, გუბერნატორი, გამგებელი ჯერ კიდევ ნაციონალების ხელშია და მუშაობის საშუალებას არ აძლევენ „ქართულ ოცნებას“. ნელ-ნელა შემოდის სოფლის მეურნეობის ტექნიკა, საწვავი, ხალხი უკვე ხედავს, რომ აღარ ტყუის ხელისუფალი და ასრულებს ბატონი ბიძინა დაპირებებს ეტაპობრივად.

ამ ბოლო ხანებში მაღაზიაში შევდივარ, სუპერმარკეტში თუ თავშეყრის სხვა ადგილას, მხვდება ხალხი და კი არ მეკითხებიან, პენსია და ხელფასები გაიზრდება თუ არაო, იმას კითხულობენ — დაიჭერთ იმ დამნაშავეს? მიუსჯიათ ტყუილისთვის, ტერორისთვის, უსამართლობისთვის?... ბიძინა ივანიშვილი საქართველოში იმიტომ არ ჩამოვიდა, რომ რაიმე მოიხვეჭოს, ძალიან მალე ყველაფერს დაალაგებს. ნურავის ჰგონია, რომ ზედმეტად ლმობიერია. ყველას მოსთხოვს პასუხს. ნახავთ, ერთი-ორი წლის შემდეგ აგუგუნდება მთელი საქართველო. სერიოზული მუშაობა მიდის უკვე.

**— სამართლიანობა უნდა აღსდგეს — ხალხი ამას მოითხოვს. სააკაშვილის რეჟიმმა 9 წლის განმავლობაში დათრგუნა და დააბეჩავა მოსახლეობა. პირადად თქვენ, თუ არ ვცდები, ნაციონალები უფრო ადრე, 1995 წლიდან, გებრძოდნენ. როგორ ფიქრობთ, 1 ოქტომბერს ბრძოლა გამარჯვებით დასრულდა თუ კიდევ ბევრი ბრძოლა აქვს გადასატანი მოსახლეობას?**

— 1 ოქტომბერს ხალხს იმედი გაუჩნდა. დაინახეს, რომ მოვიდა ადამიანი, ვისიც სჯერათ. ნდობა გაჩნდა და ეს ვერ მოინელეს ნაციონალებმა. მიშას ხუშტურებზე რომ იხარჯებოდა ასობით მილიონი, ისე აღარ იქნება,



**„რაც უფრო ცოტა გლეხი გვეყოლება, მით ნაკლები თავის ტკივილი იქნება.“ — კახა ბენდუქიძე**

გპირდებით. ჯანდაცვის პროგრამები, დაზღვევა, ეს ყველაფერი რეალობაა და მალე განხორციელდება ხალხის საკეთილდღეოდ.

თქვენ ბრძანეთ 1995 წლიდანო, 1994 წლიდან მიდის ჩემზე ზეწოლები. ტირილს და წუწუნს არ დავიწყებ. ნეტა, ჩემსავით ცხოვრობდეს ყველა ქართველი. ვიცი, რა გაჭირვებაშიც არის ხალხი, მაგრამ უკეთესობა იქნება აუცილებლად.

რაც შეეხება ჩვენს კომპანიას — ყოველ წელს ერთ მილიონ ლარს ქველმოქმედებისთვის ვრიცხავდით. სტუდენტებს სასწავლებლად ვაგზავნიდით უცხოეთში, ვეხმარებოდით ავადმყოფებს და ა.შ. სამწუხაროდ, 2007 წლამდე ძლივს მივიტანეთ წარმოება. ძალიან ბევრი საწარმო დაგვახურინეს ბოლო ხანებში.

**— მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობის აღორძინებაზე აქტიური საუბრები მიმდინარეობს, არ არის ახალი იდეები. თითქოსდა ძველი ინერციით მივდივართ.**

— ვერ დაგეთანხმებით, რომ ინერციით მივდივართ. მაგალითად, გუშინწინ გორის დეპუტატებთან გვქონდა შეხვედრა — არის გეგმა შაქრის ჭარხლის კულტურის აღორძინებაზე. შაქრის ჭარხლიდან, გარდა იმისა, რომ შაქარს ღებულობ, ნარჩენებისგან სპირტი და მეცხოველეობისთვის კალორიული საკვები რჩება. მეცხოველეობას მოჰყვება ხორცპროდუქტების, რძის პროდუქტების წარმოება და ა.შ. ეს ჯაჭვური პროცესებია. საუბარია მზესუმზირის წარმოებაზეც. საქართველოში უხარისხო და მომწამვლელი ზეთი შემოდის. ჩვენ შეგვიძლია საკუთარი წარმოება გვქონდეს.

ახლა მსურს თქვენი მართლაც ძალიან კარგი და პოპულარული გაზეთის საშუალებით, თქვენი პატრიოტი რედაქტორის პატივისცემით სავსემ ვუთხრა ქართველ ხალხს — საქართველოს ეშველება! ყველამ დავიკაპიწოთ მკლავები და ვიმუშაოთ. ვერავინ ვერ წაგართმევთ ვერაფერს. პირიქით, ხელშეწყობა იქნება და ორ-სამ წელიწადში ნორმალურ ქვეყანას დავემსგავსებით.

**— ძალიან სასიკეთოა საქართველოსთვის რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის გატანაზე რომ დაიწყო საუბრები, მაგრამ ახლახან პარლამენტმა ცნობილი პოლიტიკური რეზოლუცია მიიღო. ხომ არ შეუშლის ასეთი რეზოლუციის მიღება ხელს რუსეთ-საქართველოს დაახლოების შემდგომ პერსპექტივებს?**

— ბატონმა ბიძინამ თავიდანვე გამოაცხადა და ვიმეორებ მეც — ორიენტაცია ევროპაზე იქნება, იქნება სწრაფვა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსისკენ, მაგრამ დალაგდება ურთიერთობა რუსეთთან!

შენი ქვეყნის პათოლოგიური მოწინააღმდეგე უნდა იყო, რომ განაცხადო რუსეთთან ურთიერთობა არ გვინდაო. ენერგომატარებლები, ბაზარი და ა.შ. ამის დაკარგვა არაფრით არ შეიძლება. ნაციონალების მიერ რუსეთის ლანძღვით საქართველომ რა ჩიტიც დაიჭირა, ვხედავთ. ამას მოჰყვა ბევრი ტრაგედია, და დღეს ხელისუფლებაში საღად მოაზროვნე ადამიანი მოვიდა, იგი ამბობს: ნუ გავაფუჭებთ რუსეთთან ურთიერთობას, აღვადგინოთ ძველი კავშირები.

ჩემი მხრიდან კი დავამატებ: აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის გასაღები მოსკოვში დევს!

**— ამიტომაც ამბობენ თქვენზე — გოგი თოფაძეს ნატოს ევრაზიული კავშირი ურჩევნიაო.**

— მე რასაც ვამბობ, საუკუნეების განმავლობაში ჩვენმა ბრძენმა წინაპრებმა დაადასტურეს და აირჩიეს გადარჩენის საუკეთესო გზად. თუმცა ასე ცალსახად არასდროს განმიხილავს ეს საკითხი. არ ვიცით, ხვალ, შეიძლება, ჩინეთი ან ინდოეთი, იქნებ იაპონია იყოს ჩვენთვის პარტნიორი ქვეყანა. დროსა და გარემოებებზე არის ეს დამოკიდებული.

**— ბატონო გოგი, საქართველოს ხელისუფლებაში ბიზნესმენი მოვიდა. სხვათა შორის, ბოლო ხანებში, მსოფლიოშიც ხშირია მსგავსი შემთხვევები — ბიზნესმენი პოლიტიკაში. ამერიკელები აცხადებენ, ცუდი ტენდენციაა ბიზნესმენი და მისი „ფული“ პოლიტიკაშიო.**

— დღეს ინტერნეტში ვნახე, თურმე ჩინეთის პარლამენტში 70-მდე ოლიგარქი მოღვაწეობს, აღარ შევჩერდები ამერიკის კონგრესის და სახელმწიფოს მართვის სხვა სტრუქტურებში ბიზნესმენების არსებობაზე, ამიტომ ამერიკელები ამაზე ნუ ლაპარაკობენ.

ისე, უკეთესი კი არის ლობისტი პოლიტიკოსი ჰყავდეს ბიზნესს, ვიდრე თვით ბიზნესმენი, იყოს პოლიტიკოსი, მაგრამ ცხოვრებამ მოიტანა და ასე გახდა საჭირო.

ბიძინამ დაინახა, რომ ამათი ყოფნა ხელისუფლებაში კატასტროფის ტოლფასი იყო და რისკზე წავიდა ქვეყნის გულისთვის. იგი გულდამწვარი ქართველი პატრიოტია, ვიცნობ მის ოჯახს, დედას...და ამიტომ ვლაპარაკობ ამას.

არ ააშკარავებს, თორემ ბიძინას იმდენი რამე აქვს გაკეთებული საქართველოსთვის, ვერ წარმოიდგენს ადამიანი. — არ გინდა, არ თქვა, გოგი, ჩემზე ნუ ილაპარაკებო, — მეუბნება ხოლმე. როგორც იქნა, გაგვიმართლა და ახლა ჩვენი შრომა არის საჭირო ქვეყანა რომ ფეხზე დავაყენოთ.

**ირანდა კალანდაძე**
**593 56 11 18**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# „ნაციონალების“ პარტიული აგენტურა უნდა გაიშიფროს!

**გვესაუბრება იურისტი**
**კობა კაპანაძე**

***— ბატონო კობა, ნაციონალების მიერ დაგეგმილ მიტინგზე 19 აპრილს, თქვენი აზრით, მართლა უამრავი ხალხი შეიკრიბება? რას ფიქრობთ, ჰყავს მხარდამჭერთა დიდი რაოდენობა ძველ ხელისუფლებას?***

— მართალი გითხრათ, არაა ძნელი დასათვლელი ის რესურსი, რაც ნაციონალურ მოძრაობას გააჩნია. დიდი დაკვირვება არც იმას სჭირდება, რომ იგი აღარაა მყარი და მონოლითური გაერთიანება. პარტიის გარკვეული ნაწილი სხვა პოლიტიკური გუნდისკენ იმზირება, ნაწილი სერიოზულად ცდილობს ახალ პოლიტიკურ რეალობას მოერგოს. როგორც ჩანს, ყოფილ მმართველ პარტიაში აღარ არის სრული ერთსულოვნება. ამიტომ, ვფიქრობ, 19 აპრილის ღონისძიება ისე წარმატებულად ვერ ჩატარდება, როგორც ნაციონალები აანონსებენ. თუმცა ამავე დროს, უნდა ვაღიაროთ, რომ იქ მაინც რჩება ანგარიშგასაწევი ინტელექტუალური რესურსი.

***— მიუხედავად იმისა, რომ ისინი რამდენადმე ჩამოცილებულნი არიან მართვის სადავეებს, მათ ხელში მაინც არის სერიოზული ბერკეტები, ამავე დროს, შესაძლებელია, სტრუქტურებში ჰყავდეთ ე.წ. აგენტურა, რომელთა საშუალებითაც არ გაუჭირდებათ რეალური სურათის დანახვა.***

— მოგეხსენებათ, კოალიციის გამარჯვებამდე მმართველი პარტია და ხელისუფლება იმდენად იყო შერწყმული ერთმანეთთან, რომ ერთიან სხეულს წარმოადგენდა, რაც, თავისთავად, არ იყო ნორმალური ამბავი. კარგია, რომ გამიჯვნა მოხერხდა, მაგრამ, გეთანხმებით, ჩვენ ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს ნაციონალური მოძრაობის პარტიული უსაფრთხოების სტრუქტურები. ჩემი აზრით, ეს სამსახური ჯერ კიდევ ერთ-ერთ გამართულ და ანგარიშგასაწევ სტრუქტურულ ერთეულად რჩება. მინდა მკითხველმა კარგად გაიგოს, ჩვენ არ ვსაუბრობთ წინა ხელისუფლების დროს არსებულ ოფიციალურ ძალოვან უწყებებზე, არამედ ნაციონალური მოძრაობის შიგნით არსებულ არაოფიციალურ დანაყოფზე — პარტიულ სტრუქტურაზე. რომელიც, ჩემი ინფორმაციით, თავის მხრივ, რამდენიმე სექციად იყოფოდა. კერძოდ, ინფორმაციის მოპოვების, სისტემატიზაციისა და ანალიზის, ინფორმაციის გავრცელების და ა.შ. ეს უკანასკნელი, სავარაუდოდ, სწორედ ისაა, ბატონი ბიძინა ივანიშვილი ხუმრობით “სეთურის სამსახურს” რომ ეძახის.

„პარტიული აგენტურა“ არსად გამქრალა და ამიტომაც არსებული სიტუაციიდან გონივრული გამოსავალია მოსაძებნი, ისეთი, რომელიც დაანგრევს ამ მახინჯ წარმონაქმნს. მეორეს მხრივ, პროცესი საზოგადოებისთვის შეუმჩნეველი უნდა იყოს და უმტკივნეულო, თუნდაც ამ საქმიანობაში ჩართული უბრალო ადამიანებისათვის. მერწმუნეთ, ეს ათასობით ჩვენს თანამოქალაქეს, მათ ბედს, ოჯახებს ეხება.



***— მოსალოდნელია ამ ჯგუფებმა საფრთხე შეუქმნან სახელმწიფოს და ხელისუფლებას? თქვენ როგორ ფიქრობთ, რაშია გამოსავალი?***

- თუ ამ საკითხს დროული და შესაბამისი ყურადღება არ მიექცა, შესაძლოა, მომწიფდეს და მერე გვიანი იქნება. ნებისმიერი ხელისუფლების მიმართ, გარკვეული დროის შემდეგ, აუცილებლად იზრდება უკმაყოფილება, ეს ნორმალური პროცესია. ამ დროს სხვადასხვა კვლევების, მედიარესურსების და ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელია ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილოდ განწყობილი ადამიანები კრიტიკულ მასად წარმოაჩინო. მოკლედ, ჩავუღრმავდეთ ამ საკითხს. შესაძლოა, მოქალაქე არ იყოს სახელისუფლებო პარტიის მხარდამჭერი, მაგრამ ეს, აპრიორი, არ ნიშნავს, რომ მაინდამაინც ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერია. შეიძლება არც ერთი პარტიის მხარდამჭერიც არ იყოს. უფრო მეტიც, შესაძლოა, უარყოფითად იყოს მთავრობის მიმართ განწყობილი, მაგრამ არ შედიოდეს ე.წ. კრიტიკულ მასაში, რომელიც ქუჩაში მთავრობის გადადგომის მოთხოვნით გამოვა. სწორედ ამ დროსაა გასათვალისწინებელი ე.წ. “პარტიული აგენტურის” რესურსის არსებობა. მხოლოდ არსებული უკმაყოფილების პროცენტზე აპელირება, ამ ადამიანებისა და მათი გავლენის ქვეშ მყოფი პირების ქუჩაში გამოყვანა, აუცილებლად აღმოჩნდება გადამწყვეტი იმისთვის, რომ შეიქმნას ქვეყანაში კრიტიკული მასის არსებობის, მასობრივი უკმაყოფილების ილუზია. ამას დავუმატოთ ის რამდენიმე ათასი ადამიანი, რომელიც ყველა დროს, ყველა აქციაში მონაწილეობს, მოსალოდნელი ცვლილებებიდან რაიმე პირადი გამორჩენა რომ მიიღოს. ეს ნაციონალურ მოძრაობას საშუალებას მისცემს იგივე გზით სცადოს ხელისუფლებაში დაბრუნება, რა გზითაც რამდენიმე წლის წინათ ხელისუფლებაში მოვიდა. მერწმუნეთ, ამის მცდელობა არ წაადგება ქართულ სახელმწიფოებრიობას!



***— ბატონო კობა, მე სწორედ გამოსავალზე გკითხეთ. თან თვითონვე თუ არ აღიარეს, რითი დამტკიცდება, რომ ეს ადამიანები იყვნენ პარტიული აგენტურული ქსელის წევრები?***

-გამოსავალი არსებობს -ამ საკითხს პროფესიული მიდგომა სჭირდება.

ცოტა ხნის წინ ხელისუფლებაში ე.წ. „ჩანერგილებზე“ როცა დაიწყო საუბრები, მაშინ შს მინისტრმა ძალიან მოკლე, მაგრამ პოლიტიკურად და სამართლებრივად აბსოლუტურად სწორი და გამართული განცხადება გააკეთა. მან, დაახლოებით, ასეთი რაღაც თქვა: ეს პარტიული საქმიანობაა და აქ სახელმწიფო სამსახურებს არაფერი ესაქმებათ. სავსებით ნორმალური ამბავია, ერთ პარტიას მეორე პარტიაში ინფორმატორი ყავდესო, - სწორად განაცხადა მაშინ ბატონმა ღარიბაშვილმა. მართალია, არ შეიძლება ეს სახელმწიფოს სამართალდამცავმა სტრუქტურებმა გააკეთონ.

ვინაიდან, პარტიული უსაფრთხოების სამსახური, პოლიტიკური პარტიის, ნაციონალური მოძრაობის ნაწილს წარმოადგენდა, მასში, სამართალდამცავი ორგანოების ნებისმიერი ფორმით ჩარევა, იქნებოდა ეს ოპერატიული მუშაობა, ჩანერგვა, გადმობირება თუ სხვა, შესაძლოა, სერიოზული პოლიტიკური სკანდალის საფუძველი გამხდარიყო, რაც არ იქნებოდა სწორად გაგებული მსოფლიოს თანამეგობრობის მხრიდან. ადვილად შეიძლებოდა ასეთი აქტივობების პოლიტიკურ დევნაშევიწროებად გასაღება. უნდა ვაღიაროთ, რომ, მგონი, ჩვენს უცხოელ მეგობრებსაც ეგეთი რაღაცები რთულად ესმით.

მოკლედ ვიტყვი, აუცილებელია გაიხსნას ეს არხები. რაც, თავის მხრივ, არ ნიშნავს მონაცემების ან სიის გასაჯაროებას. ადამიანები, რომლებიც გაუცნობიერებლად თვლიდნენ, რომ ნაცმოძრაობისთვის სამსახური ქვეყნისთვის სამსახურს ნიშნავდა, სურვილის შემთხვევაში, უნდა მოვაქციოთ ლეგიტიმური სახელმწიფოებრივი ინტერესის ფარგლებში. იმათ, ვისაც აიძულებდნენ ასეთი ნაბიჯები გადაედგათ, უნდა მივცეთ თავისუფლება. რადგან შეუძლებელია თავისუფალი ქვეყანა ავაშენოთ თავისუფალი ადამიანების გარეშე.

ეს ეხება ბევრ ჩვენს თანამოქალაქეს, რომელთა ნაწილი სამსახურის, პრემიების, სხვადასხვა, მათ შორის, კარიერული წახალისებების გამო დაიყოლიეს ასეთ საქმიანობაზე. თუმცა, ალბათ, იქნებოდნენ ადამიანებიც, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ იდეის გამო აკეთებდნენ ამას. ასეთ ადამიანებს შეუძლიათ იქ დარჩნენ, სადაც დღემდე ირიცხებიან. ალბათ, იყვნენ გამონაკლისებიც, რომელთაც სხვა გზას არ უტოვებდნენ და აიძულებდნენ ამ საქმისთვის მოეკიდათ ხელი. ყველას არ უნდა მოვთხოვთ სამოქალაქო გმირობის ჩადენა!

არ შემიძლია არ ავღნიშნო, ის, რომ, მიუხედავად მდგომარეობის ამ მხრივ საგრძნობი გაუმჯობესებისა, არსებობს შემაშფოთებელი სიგნალები, რომ მაინც შეინიშნება ამგვარი აქტივობები. არაა გამორიცხული, საქმე გვქონდეს ძველ ინერციასთან ან აქტივობები ინიციატივებთან. მაგრამ ეს მახინჯი პრაქტიკა თუ დროულად არ აღმოიფხვრა, მერწმუნეთ, ჩვენ სერიოზულ საერთაშორისო სკანდალს ნამდვილად ვერ ავცდებით.

***— შესაძლებელია თუ არა ასეთი ტიპის აგენტურული ქსელი უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების მიერ ყოფილიყო ჩანერგილი?***

— არა მგონია...

***— ეს ადამიანები ხომ არ ელოდებიან, რომ სააკაშვილი კვლავ დაბრუნდება ხელისუფლებაში და კვლავ საჭირონი გახდებიან?***

-სააკაშვილის შემობრუნების რა მოგახსენოთ, ჯერჯერობით მას შემოსაბრუნებელი არაფერი აქვს, მაგრამ რაც შეეხება ნაციონალური მოძრაობის პირდაპირი ან ირიბი გზებით სახელისუფლებო სადავეებთან დაბრუნებას, ზოგიერთი მათგანი ამას მართლაც რომ ელოდებოდეს, არაა გამორიცხული.

ასე რომ, ჩემი აზრით, ნორმალური პროცესია, რომ ოპოზიცია გეგმავს შეკრებებს, მიტინგებს, ძალიან კარგი, რომ ისინი ჩართულნი არიან პოლიტიკურ პროცესებში, ამაში არაფერია განსაკუთრებული. მაგრამ ჩვენ უნდა ვიყოთ სიჯანსაღისკენ მიდრეკილნი და ოპონირება ჯანსაღად უნდა მიმდინარეობდეს. უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი საბოტაჟი და სახელმწიფოებრივად საშიში თამაშები. ერთადერთი, რაც ახალ ხელისუფლებას ასეთ დროს მოეთხოვება, ისაა, რომ გაატაროს კონტრზომები და მინიმუმ დაიწყოს აგენტურული არხების გახსნა.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# საქართველო დემოგრაფიული კატასტროფის ზღვარზეა, ქართველები ფიზიკური წყვეტის გზაზე ვდგავართ!

## 2050 წლისთვის ჩვენი მოსახლეობა 28%-ით შემცირდება!

**საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობა კატასტროფულად მძიმეა. უმოქმედობამ, შესაძლოა ქართველი ერი დემოგრაფიულ ექსპანსიამდე მიიყვანოს. ისევე, საქართველოს რუკიდან გაქრობის საფრთხე თანდათან უფრო რეალური ხდება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხალხთმოსახლეობის ფონდის მონაცემებით 2050 წელს საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 28 პროცენტით შემცირდება. ამ სფეროში შექმნილ პრობლემებზე, საფრთხეებსა და შესაძლო გამოსავალზე დემოგრაფი, პროფესორი ანზორ თოთაძე გვესაუბრება:**

– საქართველოში 1814 წელს, დაახლოებით 400 ათასი კაცი ცხოვრობდა. ასეთი მცირე ოდენობა, საქართველოს ისტორიის მანძილზე, არასდროს ყოფილა. 1897 წელს კი საქართველოს მოსახლეობის რაოდენობამ 2.109 ათასი შეადგინა, ანუ ერთი საუკუნის მანძილზე 5-ჯერ გაიზარდა. ბოლო წლებში საქართველოს მოსახლეობა ყველაზე მრავალრიცხოვანი 1992 წელს – 5.467 ათასი იყო. ამის შემდეგ საქართველოში მცხოვრებთა რიცხვი განუხრელად მცირდებოდა, მხოლოდ ბოლო პერიოდში გაიზარდა ოდნავ და 2011 წელს 4.469 ათასი შეადგინა. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ეს რიცხვი გამიზნულადაა გაზრდილი. დემოგრაფთა გაანგარიშებით 2011 წელს საქართველოში მხოლოდ 3.782 ათასი კაცი ცხოვრობდა.

რაც შეეხება დემოგრაფიულ ვითარებას რეგიონების მიხედვით, ამჟამად მოსახლეობით ყველაზე დიდი რეგიონი დედაქალაქის შემდეგ, იმერეთია, სადაც 707 ათასი მაცხოვრებელია. შემდეგ მოდის ქვემო-ქართლი, სამეგრელო, ზემო სვანეთი და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ საქართველოს მოსახლეობა შემცირდა, 1814 წლის შემდეგ ძალიან სწრაფად გაიზარდა. 1897 წელს, როდესაც რუსეთის იმპერიაში მოსახლეობის აღწერა ჩაატარეს, საქართველოში მაცხოვრებლები 2.109 ათას კაცს შეადგენდა, ხოლო ქართველები 1.332 ათას ადამიანამდე გაიზარდა. ქვეყანაში ისტორიულად ჩამოყალიბებული დემოგრაფიული ბალანსი, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, საგრძნობლად დაირღვა, რაც ქართველების შემცირების გამო მოხდა. 1926 წელს მთელი კავკასიის მოსახლეობის 35 პროცენტი, ანუ ყოველი მესამე ადამიანი საქართველოში ცხოვრობდა, ამჟამად ბალანსი ძალიან დარღვეულია – ახლა, აქ ყოველი მე-19 ცხოვრობს. თუ კავკასიის მთელ მოსახლეობაში საქართველოს წილი 35 პროცენტს შეადგენდა, 2000 წელს 18 პროცენტამდე დაეცა. სამაგიეროდ, გაიზარდა აზერბაიჯანის წილი – თუ 1926 წელს იგი 30 პროცენტი იყო, ახლა 38 პროცენტია. საინტერესოა სამხრეთ-კავკასიის დემოკრაფიული ბალანსი – 1926 წელს მთელი კავკასიის მოსახლეობის 45 პროცენტს საქართველო შეადგენდა, აზერბაიჯანი – 38 პროცენტს. ამჟამად, საქართველო 26 პროცენტს შეადგენს, ხოლო აზერბაიჯანი – 54 პროცენტს. პერსპექტივაში, ანუ 2050 წლისთვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხალხთმოსახლეობის ფონდის გაანგარიშებით სამხრეთ კავკასიაში საქართველოს წილი 18 პროცენტამდე დაეცემა, ხოლო აზერბაიჯანის წილი 63 პროცენტით გაიზრდება, რაც ჩვენთვის ძალიან ცუდია. საქართველოში ქართველი ერის პერმანენტული შემცირების შედეგად თანდათანობით საფრთხე ექმნება ეროვნულ ინტერესებს და ეკონომიკის განვითარებას. სახელმწიფო ენას საკუთარი ფუნქციის შესრულება უაღრესად უჭირს. ერისათვის დამახასიათებელი ნიშანთვისებები, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები ადრინდელ მიმზიდველობას კარგავენ. ასეთ ვითარებაში ეროვნული ცნობიერების დაქვეითება გარდაუვალია, საბოლოოდ კი ერის გენოფონდის ცვლილება. მოსახლეობის რაოდენობის შემცირება ჩვენი ქვეყნისთვის განსაკუთრებით საშიშია, რადგან იგი ისეთ უნიკალურ, მრავალგანზომილებიან რეგიონში მდებარეობს, სადაც მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოთა ინტერესების გადაკვეთის წერტილები საკმაოდ ბევრია და საკუთარი ინტერესების დაცვა გაძნელებულია.



**– დემოგრაფიული მდგომარეობის გაუარესების ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი შობადობის შემცირებაა. დღეის მონაცემებით რა ვითარებაა ამ მხრივ?**

– შობადობა ძალიან შემცირდა. თუ აბსოლუტურ ციფრებს ავიღებთ, წინა წლებთან შედარებით, შობადობა თითქმის ორჯერ შემცირდა. 1960-90 წლებში, საშუალოდ, ყოველწლიურად 93 ათასი ბავშვი იბადებოდა, ხოლო 1991-2000 წლებში მხოლოდ 55 ათასი, ფაქტობრივად მაჩვენებელი განახევრდა. 1960-69 წლებში საქართველოში 850 ათასი ბავშვი დაიბადა, შედარებისთვის გამოკლებულია აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის მონაცემები. ხოლო ბოლო ათ წელიწადში 2000-2009 წლებში 502 ათასი ბავშვი დაიბადა. რაც შეეხება მოკვდავობას, 1960-69 წლებში გარდაიცვალა 276 ათასი ბავშვი, ხოლო 2000-2009 წლებში 448 ათასი. რაც შეეხება, ბუნებრივ მატებას, 60-იან წლებში საქართველოში 574 ათასი ბავშვით მეტი დაიბადა, ვიდრე გარდაიცვალა, ხოლო 2000-იან წლებში მხოლოდ 53 ათასით მეტი ბავშვი დაიბადა, ვიდრე გარდაიცვალა. ბუნებრივი მატება თითქმის 10-ჯერ შემცირდა. ეს 53 ათასიანი მატებაც, ძირითადად არაქართველებით დასახლებულ რეგიონებშია. ასევე, შემცირდა შეფარდებითი მაჩვენებელიც. მაგალითად, ბუნებრივი მატება იმავე 60-იან წლებში ყოველ ათას კაცზე 15-ს უდრიდა, ხოლო 2000-იან წლებში მატებამ მხოლოდ 1 ადამიანი შეადგინა და ესეც არაქართველებზე, სხვა ეროვნებებზე მოდის. მაგალითად, 1977-86 წლებში გურიაში ბუნებრივი მატება 9 ათას შეადგენდა, ხოლო 1997-2006 წლებში 4761 ადამიანით დაიკლო. იმერეთში კლება 12.944 იყო, კახეთში – 13 ათასი, მცხეთა-მთიანეთში – 2 ათასი, რაჭა-ლეჩხუმში – 4.600 და ა.შ. ფაქტობრივად, აბსოლუტურად ყველა რეგიონში საქართველოს მასშტაბით კლება იყო. განსაკუთრებით, მინდა რაჭა-ლეჩხუმზე შევჩერდე. რაჭაში, ადრე 70 ათასი მოსახლე იყო, ახლა 22 ათასიც აღარ ცხოვრობს. აქ ყოველწლიურად 400 ადამიანით მეტი კვდება, ვიდრე იბადება. თუ ასე გაგრძელდა და საგანგებო ღონისძიებები არ მივიღეთ, სულ რაღაც 15 წელიწადში რაჭა აღარ იქნება, გაუკაცრიელდება. საქართველოს მოსახლეობა ძალიან ნელა იზრდება. იმიტომ, რომ შობადობა შემცირდა, მოკვდავობა გაიზარდა. მაგალითად 1965 წლამდე კავკასიაში ბევრად მეტი იყო საქართველოს მოსახლეობა, ვიდრე აზერბაიჯანის. 1939 წელს საქართველოს მოახლეობა 335 ათასით მეტი იყო, ვიდრე აზერბაიჯანის. 1959 წელს საქართველოში 346 ათასით მეტი ადამიანი ცხოვრობდა, ვიდრე აზერბაიჯანში. საქართველოსა და აზერბაიჯანის მოსახლეობა გათანაბრდა 1965 წელს. ხოლო აქედან 2009 წლამდე, ანუ 45 წელიწადში აზერბაიჯანის მოსახლეობა 4.512 ათასით მეტია, ვიდრე საქართველოსი. აქვე მინდა ვთქვა, რომ ასეთივე მძიმე მდგომარეობაა რუსეთშიც. ცნობილი მეცნიერები ამბობენ – თუ ასე გაგრძელდა, რუსეთი პოლიტიკური რუკიდან გაქრება და მას რომელიმე დიდი მეზობელი სახელმწიფო შეიერთებსო. მოხდება რუსეთის ტერიტორიების დემოგრაფიული ექსპანსია, განსაკუთრებით ჩრდილოეთი, დასავლეთ-ჩრდილოეთი და ციმბირის. ასეთივე საშიშროების – დემოგრაფიული ექსპანსიის წინაშეა საქართველოც. იმიტომ, რომ თუ ასე გაგრძელდა მოსახლეობა კიდევ შემცირდება, თუ ზომები არ მივიღეთ, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხალხთმოსახლეობის ფონდი გვატყობინებს, პერსპექტივაში, 2050 წლამდე სომხეთის მოსახლეობა გაიზრდება – 7 პროცენტით, აზერბაიჯანის – 34 პროცენტით, ხოლო საქართველოს მოსახლეობა 28 პროცენტით შემცირდება. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს მოსახლეობა 1.170 ათასით დაიკლებს და ფაქტობრივად, 3 მილიონამდე ადამიანი იცხოვრებს, რაც ძალიან ცოტაა. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მომავალში ეკონომიკა უფრო განვითარდება, საჭირო გახდება შრომითი რესურსები, რაც არ გვეყოლება და ჩვენი ტერიტორიების დემოგრაფიული ექსპანსია მოხდება. „ნაც.მოძრაობამ" და სააკაშვილმა ისე წაიყვანეს მდგომარეობა, რომ ფაქტობრივად, ქართველ კაცს გამრავლების უნარი მოუსპეს. მარტო კახეთში, 2012 წელს 534 მიწის ნაკვეთის უცხოელების მიერ შესყიდვა დაფიქსირდა, ძირითადად ინდოელების მიერ. ქუთაისში 3 ათასი ჩინელისთვის შენდება რაღაც ავტოქარხნის ტერიტორიაზე, თბილისის ზღვაზე კი 127 ათასი ჩინელისთვის „Caina Taun"-ი შენდება – 433 ჰექტარი მიწა 12 ათას დოლარად გაიყიდა, ანუ 1 კვ.მ. – 3 ცენტად. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, ფაქტობრივად, აღარ დარჩა ხალხი. სოფლებში მცხოვრებლები ამბობენ – მიწა აღარ გვაქვს საქონელი რომ მოვაძოვოთ, ვიარსებოთო. გარდა ამისა, სახელმწიფოს სამარაგო მიწებიც აღარ აქვს. ფაქტობრივად, რაც კი საქართველოში კარგი მიწები იყო, მთლიანად გაყიდულია. სააკაშვილმა დაღვარჭნილი შენობები მომწონსო და ასე დაღვარჭნილი შენებისკენ წაიყვანა ქვეყანა. ჯერ კიდევ 1881 წელს ნიკო ნიკოლაძე აღნიშნავდა – როცა რაიმე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საქმე კეთდება, იგი პრესის ფურცლებზე მსჯელობის საგანი უნდა გახდესო. სააკაშვილმა ჩუმად გაყიდა ყველაფერი, ისეთ დღეში ჩააგდო ქვეყანა, რომ ვუწამლოთ იმის საშუალებაც აღარ არის, ყველაფერი რაც ეროვნული იყო განადგურებულია. როცა ვამბობ, რომ საქართველოში მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობაა, ამაში ვგულისხმობ არამხოლოდ იმას, რომ ფიზიკური წყვეტის გზაზე ვდგავართ, არამედ სულიერ მხარესაც, რაც სულ უკან და უკან მიდის.



**– ბავშვთა სიკვდილიანობაზეც მინდა გკითხოთ. ბოლო წლებში, ამ კუთხით, ევროპაში პირველ ადგილზე ვართ. რა ვითარებაა დღეისთვის?**

– შობადობის შემცირების მთავარი ფაქტორი ეკონომიკური პირობები გახლავთ. იმერეთის მაგალითზე გეტყვით თუ როგორ ახდენს ეკონომიკა გავლენას შობადობაზე. წეღან ვახსენეთ, რომ რეგიონებში, სადაც ძირითადად ქართველები ცხოვრობენ, შობადობა ყველგან დაბალია – უფრო მეტი კვდება, ვიდრე იბადება, ანუ მოსახლეობის ბუნებრივი კლება ხდება. 2006-2009 წლებში იმერეთის ყველა რაიონში ყოველწლიურად მოსახლეობის კლება იყო – ბაღდათში, ვანში, თერჯოლაში და ა.შ. მოსახლეობამ მხოლოდ საჩხერის რაიონში მოიმატა. მაშინ როდესაც მეზობელ ჭიათურაში, სადაც მოსახლეობა უფრო ბევრია – 846 ათასით მეტი გარდაიცვალა, ვიდრე დაიბადა. საჩხერეში ბიძინა ივანიშვილმა თავის რაიონს პირობები შეუქმნა. ზოგადად, განსაკუთრებით, ბოლო წლებში, მოკვდაობა გაიზარდა. მაგალითად, 2005 წელს საქართველოში 40.721 კაცი გარდაიცვალა, ხოლო 2011 წელს – 49.818. ანუ 9 ათასზე მეტი ადამიანი. ეს რიცხვი მთელი ონის რაიონის მაცხოვრებლები რომ ავიღოთ, იმაზე მეტია. ანუ ფაქტობრივად ერთი რაიონი დავკარგეთ. გარდა ამისა, 2005 წელს ქვეყანაში ყოველ 1000 კაცზე 9 ადამიანი გარდაიცვალა, ხოლო 2011 ში – 11. ნიშანდობრივია ერთი გარემოება. ამ პერიოდში უფრო მეტი შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცები იღუპებიან. მაგალითად, 2011 წელს 15-59 წლების ასაკში 8.831 ადამიანი გარდაიცვალა, აქედან 6.430 მამაკაცი – ანუ 73 პროცენტი და 2.401 ქალი, ანუ 27 პროცენტი. ანალოგიური მაჩვენებლები, წინა წლებში, უფრო დაბალი იყო. მაგალითად, 1960 წელს მამაკაცებისათვის ეს მაჩვენებელი 58 პროცენტს, ხოლო ქალებისთვის 42 პროცენტს შეადგენდა. ასე, რომ ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვართ. რაც შეეხება, თქვენს კითხვას, ასევე მძიმე მდგომარეობაა ბავშვთა მოკვდავობის თვალსაზრისით. 2000-იან წლებში 1 წლამდე ბავშვთა მოკვდავობით მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველ ადგილზე ვიყავით. ახლა ცოტა შემცირდა. მაშინ ყოველ 1000 დაბადებულზე 24 ბავშვი იღუპებოდა, ახლა ეს 12-ზე ჩამოვიდა. მაგრამ, ეს მაჩვენებლები სწორი არაა. რაც გითხარით ეს ყველაფერი ოფიციალური მაჩვენებელია და შელამაზებულია. ანუ ცდილობდნენ მთავრობისთვის ესიამოვნებინათ, თორემ შეულამაზებელი სტატისტიკა გაცილებით უარესი იქნება. როგორც მარკ ტვენი ამბობდა – სამი სახის სიცრუე არსებობს – ერთია – სიცრუე, მეორე – საძაგელი სიცრუე და მესამე – სტატისტიკა. სწორედ ამ სიცრუეს აკეთებდა გიორგი ვაშაძე – სტატისტიკის ეროვნულ სააგენტოს არასწორ მონაცემებს აწვდიდა.

იმავე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხალხთმოსახლეობის ფონდის მონაცემებით ყოველ 1000 დაბადებულ ბავშვზე 1 წლამდე ასაკში 12 კი არა, 33 ბავშვი იღუპება. ეს 2010-11 წლების მონაცემებია, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია.

ჩვენი ხალხი უაღრესად დიდ გაჭირვებაში ცხოვრობს. არცერთი მეზობელი ასეთ გაჭირვებაში არ ცხოვრობს. დღეში 1 დოლარსა და 25 ცენტზე, ანუ 2 ლარზე ჩვენი მოსახლეობის 13 პროცენტი ცხოვრობს, რაც თითქმის 600 ათას ადამიანს უდრის. ანუ ამდენი ადამანი, ფაქტობრივად შიმშილობს. მაშინ, როცა ანალოგიური მაჩვენებელი სომხეთში – 4 პროცენტია, აზერბაჯანში – 2 პროცენტი, რუსეთში – 2 პროცენტი, ხოლო თურქეთში – 3 პროცენტი. ამ დღეში „ნაციონალურმა მოძრაობამ" ჩაგვაგდო.

**– თქვენ წეღან მოსახლეობის ბუნებრივი კლების საფრთხეებზეც ისაუბრეთ. რა განაპირობებს ასეთ მკვეთრ კლებას?**

– მინდა გითხრათ, რომ საშინელ მდგომარეობაში ვართ. თუ ჩვენ რაიმე არ ვიღონეთ, თუ საგანგებო ღონისძიებები არ განვახორციელეთ, დემოგრაფიულ კატასტროფას ვერ ავცდებით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართველი ერი აღარ იქნება, ამ მიწაზე სხვა მოვა და იცხოვრებს. 1989 წლებში საქართველოში 455 ათასი გოგონა დაიბადა, ხოლო ბოლო ათწლეულში 236 ათასი. რას ნიშნავს ეს? – ახლა, ბავშვები რომ იბადება მათ 1989 წლებში დაბადებული გოგონები შობენ, რომელთაც 20-30 წელს ახლა მიაღწიეს. ამ ასაკში ქალი ყველაზე მეტს ბადებს, ანუ თუკი ჩვენთან დღეის მდგომარეობით ბავშვი კიდევ იბადება, ეს იმიტომ, რომ მაშინ დაიბადა 455 ათასი გოგონა, მაგრამ ბოლო ათწლეულში რომ მხოლოდ 236 ათასი დაიბადა, ის ხომ მხოლოდ მის ნახევარს დაბადებს?! ეს ნიშნავს, რომ მოსახლეობის საშინელი, ბუნებრივი კლება დაიწყება, არ გვეყოლება შრომითი რესურსები, შემოვა სხვა (უკვე ისედაც შემოსულია) და საქართველო საბოლოოდ გაქრება. ამიტომ მთავარია, როგორმე შობადობა გავზარდოთ, გამრავლებაზე ამის მერე უნდა ვიზრუნოთ. თუ ახლავე გადამჭრელი ზომები არ მივიღეთ, მერე რაც არ უნდა ვეცადოთ, მილიარდებიც რომ დავაბანდოთ, სასურველ შედეგს ან საერთოდ ვერ მივიღებთ, ან მივიღებთ ძალიან ნაკლებს.

**თამარ შველიძე**

555 23 28 24

# ნოე ქინქლაძე: საჩივრებს შევისწავლით და ვისაც სოციალური დახმარება ნამდვილად ეკუთვნის, ყველას აღვუდგენთ



**გვესაუბრება სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორი ნოე ქინქლაძე:**

**— ბატონო ნოე, თქვენმა წინამორბედებმა საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობა დაგიტოვეს. ახალი ხელისუფლების მოსვლასთან ერთად სოციალურად დაუცველთა ფენაში უკმაყოფილებამ იფეთქა — ერთბაშად 16 ათასი ადამიანი დახმარების მიღმა დარჩა. ბევრი მათგანი აღნიშნავს, რომ მათი მდგომარეობა არათუ გაუმჯობესდა, არამედ პირიქით — გაუარესდა, თუმცა პროგრამიდან მაინც ამოიღეს. რა მოხდა რეალურად?**

— მოგეხსენებათ, რომ შემწეობა იმ ოჯახმა უნდა მიიღოს, ვისაც ყველაზე მეტად უჭირს. ეს შერჩევითი სისტემაა და ქულების გარკვეული დიფერენცირებით ხდება. საქართველოში, წლის ბოლოს 500 ათასი ბენეფიციარი გვყავდა, ანუ უკიდურესად გაჭირვებული. ნიშანდობლივია, რომ ბენეფიციარების რაოდენობა ყოველთვის პოლიტიკურ პროცესებთან კავშირში იყო — არჩევნების წინ იზრდებოდა, შემდეგ მცირდებოდა და ა.შ. ჩვენ შემდეგნაირად მოვიქეცით, დავინტერესდით ბენეფიციარები გარდა იმისა, რაც დეკლარირებული ჰქონდათ, რაიმე სხვა შემოსავლებს ხომ არ ღებულობდნენ. ნებისმიერი ბენეფიციარი, ვალდებულია ცვლილების შესახებ გვაცნობოს — თუ შეიძინა ქონება, გაეზარდა შემოსავალი და ა.შ. ადამიანებს, რომელთაც შემწეობები შეუწყდათ და შეუჩერდათ, სააგენტოსთვის ამის შესახებ არ უცნობებიათ. ჩვენ, აღნიშნული ინფორმაცია შემოსავლების სამსახურიდან შევიტყვეთ. ასევე, დავუკავშირდით საჯარო რეესტრს, რათა გაგვერკვია, ხომ არ შეიძინეს მათ რაიმე ქონება პროგრამაში ყოფნის პერიოდში. პლუს, დავუკავშირდით შსს-ს, რათა გაგვერკვია ჰყავდათ თუ არა ავტომანქანა ბენეფიციარებს ან ხომ არ შეუძენიათ იმ პერიოდში, როცა დახმარებას იღებდნენ. ყველა უწყებამ შესაბამისი ინფორმაციები მოგვაწოდა, რისი გათვალისწინებითაც შემოწმება დავიწყეთ. მაგრამ შემოწმების დაწყებამდე ნაწილს დახმარება შევუჩერეთ, ნაწილსაც — შევუწყვიტეთ, ეს ჩვენი ვალდებულება იყო.

**— გადამოწმების გარეშე რატომ მიიღეთ დახმარებების შეწყვეტის, შეჩერების გადაწყვეტილება?**

— მოგახსენებთ. ჯერ კიდევ ძველი მთავრობის 2010 წლის დადგენილებით მითითებულია: თუ ბენეფიციარი ცვლილებების შესახებ არ გაცნობებს, დახმარება უნდა შეუწყვიტო. რა მოხდებოდა თუ დახმარებას არ შევუწყვიტავდით? — მოვიდოდა მაკონტროლებელი, პირობითად, აუდიტი და მკითხავდა — თქვენს ბენეფიციარს ისეთი შემოსავლები რომ აქვს, რომელიც არ უცნობებია, დახმარება რატომ არ შეუწყვიტეთ, რატომ ხარჯავთ არამიზნობრივად ბიუჯეტის ფულსო? ხომ ლოგიკურია ეს შეკითხვა? ამიტომ, ბენეფიციარებს დახმარებები შევუწყვიტეთ. ეს, გარკვეულწილად, საარსებო მინიმუმის მიხედვით განვსაზღვრეთ. თუ უმწეო ხარ ე.ი. საარსებო მინიმუმიც არ გვაქვს. საარსებო მინიმუმს ზევით ვისაც ჰქონდა შემოსავალი, დახმარება შევუწყვიტეთ და ამ ოჯახების ხელახალი გადამოწმება დავიწყეთ. ეს როდი ნიშნავს, რომ აღნიშნული ოჯახები სოციალურ დახმარებას ველარასდროს მიიღებენ. ზოგან ფიქსირდებოდა 20, 10 ათასი შემოსავლის სახით, მაგრამ შეიძლება ინფორმაცია არ იყოს სწორი, ანუ შეიძლება შემოსავლების სამსახურმა არასწორი ინფორმაცია მოგვაწოდა. ამიტომ ბენეფიციარებს ვუთხარით — ასეთ შემთხვევაში ჩვენთვის მოემართათ და თუ შეცდომა გვაქვს დაშვებული, გამოვასწორებთ და ბოდიშსაც მოვიხდით. დახმარებაშეწყვეტილთა დაახლოებით ნახევარმა თხოვნით მოგვმართა მათი მონაცემები გადაგვემოწმებინა. გვაქვს ფაქტები, სადაც ბენეფიციარები გვეუბნებიან, რომ ეს თანხები თვალით არ უნახავთ. თვის ბოლომდე შესწავლა დასრულდება. ეს ხალხი იმიტომ დავსაჯეთ, რომ შემოსავლების შესახებ არ გვაცნობეს. დღეის მდგომარეობით თუ ეკუთვნით დახმარება, ყველას დავუნიშნავთ. იმ ოჯახებს, ვინც აცხადებს, რომ მდგომარეობა არ გაუმჯობესებიათ და პროგრამიდან ამოიღეს, შევისწავლით, მაგრამ უნდა მოგვმართონ. ჩვენ ოფიციალურად ვაგზავნით ინფორმაციას, თუ რატომ შეუწყდა ამა თუ იმ ოჯახს დახმარება. თუ ისინი არ მოგვმართავენ, ე.ი. ეთანხმებიან აღნიშნულს, ხოლო ვინც მოგვმართა ყველა საქმეს ხელახლა შევისწავლით და შესაბამისად ვიმოქმედებთ.

**— სულ რამდენ ოჯახს შეუჩერეთ დახმარება?**

— დაახლოებით, 11 ათასს შეუწყდა, 6 ათასს — შეუჩერდა. ამ 6 ათასში შედის ის ხალხი, ვისაც შემოსავლები დაუფიქსირდათ და დახმარება 2012 წელს დაენიშნათ. მიმდინარეობს შესწავლა — 6 ათასიდან, თითქმის 50 პროცენტი შემოწმებულია და მხოლოდ 10 პროცენტია ისეთი, ვისაც სოციალური დახმარება შეუნარჩუნდებათ. ზოგს ვადა მიეცა, რათა ცნობა წარმოადგინოს, რომ შემოსავლები ან სხვა სახის ქონება არ გაზრდია, ზოგს ცალსახად ჩანს, რომ ისეთი ქონება, სახლი აქვს, სოციალური დახმარება არ ეკუთვნის. ანუ, ყველაფერს შევისწავლით და ვისაც ეკუთვნის სოციალური დახმარება, ყველას აღვუდგენთ. უფრო მეტიც, 1 ივლისიდან ორმაგად გაზრდილ დახმარებას მიიღებენ. ჩვენი ამოცანაა, დახმარება მათ მიიღონ, ვისაც ნამდვილად სჭირდება. ყველაზე დიდი უსამართლობა იცით რა არის? — როცა გაჭირვებული ხედავს, რომ მასზე ბევრად უკეთ მცხოვრები დახმარებას იღებს, თვითონ კი — ვერა.

**— რადგან ამ საკითხს შეეხეთ, აქვე გკითხავთ, წლების მანძილზე სოციალურ დახმარებას იღებდა ოჯახები, რომელთაც რამდენიმე ჯიპი ჰყავთ. აქვე საინტერესოა ისიც, რომ წინასაარჩევნოდ „სოციალურად დაუცველთა“ რიცხვი ყოველთვის იზრდებოდა.**

— მართალი ბრძანდებით. ამის სტატისტიკა არსებობს. 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ სოციალურად დაუცველთა რაოდენობამ პიკს მიაღწია, მერე უცებ დაიკლო. 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების წინ ისევ გაიზარდა უმწეოთა რიცხვი, მერე — დაიკლო. და ბოლოს, 2011 წელს არჩევნებამდე კვლავ დაიწყო სიღარიბის პროგრამაში გაწევრიანებულ პირთა ზრდა. ჩვენ, ეს თემა საარჩევნო პროცესს ჩამოვაშორეთ და ობიექტური კრიტერიუმები — შემოსავლები, ბინები და ავტომანქანები ავიღეთ. ამ პრინციპით დავიწყეთ ხალხის გადამოწმება. თუ ოჯახს თვეში 200 ლარზე მეტი შემოსავალი ჰქონდა, დახმარება შევუწყვიტეთ.



**— დღეს, რეალურად რამდენი ადამიანი იღებს სოციალურ დახმარებას?**

— თებერვლის თვეში, დახმარება დაახლოებით 470 ათას ადამიანზე გაიცა იმის გათვალისწინებით, რომ ზემოთ ნახსენებ კატეგორიას დახმარება შეუწყდა. ზოგი ოჯახი 4 წელი არ გადამოწმებულა, ანუ მას შემდეგ, რაც დახმარება დაენიშნათ. ამის შემდეგ ამ ოჯახებში რა ხდება არ ვიცით — შეიძლება მათ მდგომარეობა გაუუმჯობესდათ, ან პირიქით. ისინი დახმარებას ისევ იღებენ. ჩვენ ამ ოჯახების შემოწმებასაც დავიწყებთ. ძველ მთავრობას დადგენილებაში ეწერა — სამი წელი არ შემოწმდესო, მერე თქვეს — 4-5 წელი არ შემოწმდესო, რაც გარკვეულ ეჭვებს ბადებს. გადამოწმების მერე ობიექტურ სურათს მივიღებთ. გარდა ამისა, შესამოწმებლად ლტოლვილები დაგვემატება. ლტოლვილს ჰქონდა არჩევანი — შეეძლო მიეღო ლტოლვილის ან სოციალურად დაუცველის დახმარება. ახალი რეგულაციით დახმარებას მხოლოდ ის მიიღებს, ვინც უმწეოთა კატეგორიაში გავა. იმიტომ, რომ შეიძლება ლტოლვილი იყო, მაგრამ დღეს ძალიან კარგად ცხოვრობდე და დახმარების ბენეფიტი აღარ გეკუთვნოდეს. ამასაც გადავამოწმებთ.

**— თქვენ ახსენეთ, დახმარება უკიდურესად გაჭირვებულმა უნდა მიიღოსო. საქართველოში არიან სწორედ ასეთი მაცხოვრებლები, რომელთა ბინაც — ვაგონები, მშენებარე კორპუსებია და რეგისტრაციის არქონის გამო დახმარებას ვერ იღებენ. ამ საკითხისადმი თუ არსებობს რაიმე მიდგომა?**

— დიახ, მისამართის პრობლემა არსებობს, მაგრამ ჩაწერის მექანიზმი არაა პრობლემა — ვთქვათ, პირი შეჭრილია რაღაც ობიექტზე და მეუბნება შემაფასეთო, მე ვალდებული ვარ მისი მდგომარეობა შევაფასო. რა თქმა უნდა, ვსწავლობ, სხვაგანაც ხომ არ არის სადმე ჩაწერილი. შეფასების მერე, თუ დახმარება ეკუთვნის, კიდეც დაენიშნება.

**— ადრე ქართველს სიღარიბის რცხვენოდა, ახლა მოდის და პირდაპირ ითხოვს ლატაკად მაღიარეთო. ხომ არ უწყობს პროგრამა ლატაკთა რიცხვის ზრდას ხელს? ხომ არ სჯობდა სახელმწიფოს იმის ნაცვლად, რომ მათხოვრად ხელგაწვდილი ფენა მოემრავლებინა, თუნდაც სამუშაო ადგილები შეექმნა და ამ ხალხის დასაქმებისთვის შეეწყო ხელი?**

— კი, ბატონო. რა თქმა უნდა, ძალიან კარგი იქნება თუ სამუშაო ადგილები შეიქმნება. შედეგად, ის ადამიანი სამსახურში გავა. მაგალითად, ბრაზილიაში აქვთ ასეთი მეთოდი — როცა პირი უმწეოთა ბაზაშია, თუ მას სახელმწიფო სამუშაოს შესთავაზებს და იგი უარს იტყვის, დახმარება ეხსნება. თუ ეკონომიკა განვითარდება და სამუშაო ადგილებიც შეიქმნება, ადამიანმა მუშაობა უნდა დაიწყოს, მაგრამ ბუნებრივია, ისეთი ხელფასი უნდა ჰქონდეს რომ სოციალურად დაუცველის დახმარების დაკარგვა ულირდეს. როცა სოციალურად დაუცველთა დახმარება გაიზრდება, პროგრამაში მოხვედრის მსურველთა რიცხვიც მოიმატებს. იმედია, ყველაფერი კარგად იქნება. ამ პროგრამის აბსოლუტურად უშეცდომოდ ჩატარება შეუძლებელია იმიტომ, რომ გარკვეულწილად სუბიექტური შეფასებებიც კეთდება.

**— რა კრიტერიუმებით მოხდება სოციალურად დაუცველი პირის დადგენა. თუ გადაიხედება ძველი მეთოდი?**

— ეს კრიტერიუმები 4 წლის წინ დადგინდა და ხანგრძლივი კვლევა სჭირდება. შეიძლება, გარკვეული კრიტერიუმები შეიცვალოს. ადრე, ტელევიზორი, მაცივარი, კომპიუტერი ვისაც ჰქონდა, დახმარებას არ აძლევდნენ. ახლა, თუ კომპიუტერი გაქვს, არ გითვლიან. რაღაც კომპონენტები შეიცვლება. მაგალითად, ბლანკში ეწერა შეკითხვა — გაქვთ თუ არა ტოსტერი. საქართველოში ტოსტერს იშვიათად ხმარობენ. სოფელში არამგონია ტოსტერს ვინმე მოიხმარდეს.

**— ბატონო ნოე, უკვე ორი კვირაა რაც საყოველთაო დაზღვევა დაიწყო. როგორ მიმდინარეობს იგი?**

— 28 თებერვლამდე საქართველოში 2.200 ათასი ადამიანი დაუზღვეველი იყო. პროგრამა, პირველ ეტაპზე, მოსახლეობას საშუალებას აძლევს გარკვეული ტიპის დახმარებები მიიღოს — ანუ, ამ 2.200 ათასი ადამიანიდან თუ ვინმე გადაუდებელი შემთხვევით საავადმყოფოში მოხვდება, სამედიცინო მომსახურებას უფასოდ მიიღებს. გარდა ამისა, პროგრამაში ჩართულია პოლიკლინიკები, შესაძლებელია თერაპევტის მომსახურებით სარგებლობა, ასევე უფასოა შარდის, სისხლის ანალიზი, იმუნიზაცია, დიაბეტიკი პაციენტის მომსახურება. დაახლოებით, 450 ნოზოლოგიაზე, მომსახურება უფასოა. რაც შეეხება, მეორე ეტაპს, სადაც გეგმიური ოპერაციებიც დაფინანსდება, კონკრეტულად რა ნოზოლოგიები შევა ამ პროგრამაში, ამას ჯანდაცვის სამინისტრო გადაწყვეტს. დღევანდელი ლიმიტი 1 სულზე 15 ათასი ლარია.

**— ოპონენტები გსაყვედურობთ, რომ საყოვლთაო დაზღვევაზე მოსახლეობა ინფორმირებული არ არის — მათ არ იციან, სად, როგორ და რა მომსახურეობა მიიღონ.**

— გასაგებია. რა თქმა უნდა, პიარი საჭიროა, რაც შეიძლება მოსახლეობას მართლაც აკლია. მაგრამ, ამ ეტაპზე, ვაზღვევთ გადაუდებელი შემთხვევების დაფინანსებას. თუ ადამიანი ამ გზით საავადმყოფოში მოხვდება, იგი იქ გაიგებს, რომ მომსახურება უფასოდ ეკუთვნის.

**— ანუ მას პოლისი არ სჭირდება?**

**— არა, არავითარი პოლისი. ჩვენ აბსოლუტურად ახალი სისტემა გვაქვს. პოლისის სისტემა არ იქნება. შექმნილია ბაზა, სადაც 2.200 ათასი პაციია შეყვანილი, საავადმყოფოში მოხვედრისას პიროვნება აჩვენებს პირადობის მოწმობას და მას ყოველგვარი პოლისის გარეშე უფასოდ მოემსახურებიან.**

რაც შეეხება პირველად ჯანდაცვას, პოლიკლინიკების ანაზღაურება იმის მიხედვით ხდება, თუ რამდენი ავადმყოფია პოლიკლინიკაზე მიბმული. ავიღოთ, რომელიმე რაიონის პოლიკლინიკა — იგი დაინტერესებულია, რაც შეიძლება მეტი პაციენტი ჰყავდეს, ამიტომ თავად რეკავენ, მიდიან ოჯახებში. არსებობს ჩვენს მიერ დამტკიცებული სპეციალური ფორმა, რომელიც ივსება. ამ ფორმაში წერია, რა მომსახურებაც ეკუთვნის ავადმყოფს. რა თქმა უნდა, ინფორმირება საჭიროა, მაგრამ აქტიური არ არსებობს. პაციენტი როცა პოლიკლინიკაში მიდის, ავტომატურად რეგის-

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ტრირდება და მას ექიმი ეუბნება, რომ მომსახურება უფასოა.

**ყველაზე საინტერესო ისაა, რომ აქ არ არის აუცილებელი უბანზე მიბმა. დაზღვეულს შეუძლია ნებისმიერ პოლიკლინიკაში მივიდეს და დარეგისტრირდეს, მას თავისუფალი არჩევანის უფლება აქვს.**

ვთქვათ, იცით, რომ კარგი ექიმი არის სხვა უბანში და არა თქვენთან, შეგიძლიათ იქ მიხვიდეთ და დარეგისტრირდეთ.



**— ბატონო ნოე, ერთიანი სახელმწიფო სადაზღვევო ფონდი ადრეც არსებობდა და როგორც ექსპერტთა ნაწილი აღნიშნავს, ეს არაეფექტური იყო. კერძოდ, მან ხელი შეუწყო ჯანდაცვის ხარისხის გაუარესებას, ამ სფეროში კორუფციის ელემენტების შემოტანას და კვალიფიციური პერსონალის შემცირებას —აღნიშნავენ ექსპერტები. რამდენად მოსალოდნელია ასეთი საფრთხეები?**

— ეს მიდგომა არასწორია იმიტომ, რომ ამ სისტემაში ჩადებულია ისეთი მექანიზმები, რაც საავადმყოფოების განვითარების და მეორე მხრივ, ბიუჯეტის სახსრების ეკონომიკის საშუალებას იძლევა. როდესაც მომსახურების ფასის დადგენა გვინდოდა ადეკვატური ინფორმაცია კლინიკებიდან ვერ მივიღეთ. ერთი და იმავე ნოზოლოგიაში ერთი კლინიკა — 1000 ლარს, მეორე — 9 ათას იძლეოდა, ამათი შედარება შეუძლებელი იყო. ამიტომ მთავრობის დადგენილებაში ასეთი ჩანაწერი გაკეთდა — კონკრეტული კლინიკა ვალდებულია ამ პროგრამის ფარგლებში იმუშაოს იმ ისტორიულად დაბალი ფასით, რითაც იგი სადაზღვევო კომპანიებს ემსახურებოდა. თუ მათი ლოგიკით სადაზღვევო კომპანიები ეფექტურად მუშაობდნენ, სახელმწიფო კლინიკებს ეუბნება — ყველაზე ეფექტური ფასი, რაც სადაზღვევო კომპანიებთან ურთიერთობაში გქონდათ, იმაზე მეტს არ გინაზღაურებ. კლინიკა ვერ მეტყვის უფრო მეტი ამინაზღაურეო. თუ კონკრეტულ ფასად სადაზღვევოებს ემსახურებოდა, რატომ უნდა მოემსახუროს სახელმწიფოს უფრო ძვირად?! ამიტომ ვერავინ იტყვის ხარჯები გაგვეზრდებაო. მაგრამ ყველა კლინიკაში ერთი ფასი არ გავაკეთეთ იმიტომ, რომ ზოგი კლინიკა ტექნიკურად უფრო განვითარებულია, ზოგი — ნაკლებად. შესაბამისად, სადაზღვევო კომპანიებთან მიმართებაში, ამ ეტაპზე მათ ფასები სხვადასხვა ჰქონდათ. ამიტომ, ჩვენ რაც კარგი იყო გადმოგვაქვს, მათ „დაწურულ" ფასებს ვეყრდნობით, სხვა ფასებს ვერ მივიღებთ. არსებობს „დი-არ-ჯის" სისტემა, რომელიც მთელს მსოფლიოში მუშაობს — შეწონილი ფასი, რაზეც შეიძლება მომავალში გადავიდეთ კიდეც. აქამდე 2-3 წელი დაგვჭირდება. ამიტომ ოპონენტების ლოგიკას ვერ დავეთანხმები. ვამბობ, რომ ყველაზე დაბალი ფასი გვაქვს, ამიტომ ბიუჯეტის სახსრების გადინება არ მოხდება. პლუს, თქვენ ამბობთ, რომ კლინიკა და სადაზღვევო კომპანია ერთმანეთში კარგად მუშაობდნენ, ფასები კარგი იყოო, ზუსტად იგივე ფასებით ვმუშაობთ ჩვენც.

**— ადრე, სადაზღვევო კომპანიები ჰოსპიტალურ სექტორზე იყვნენ მიბმულნი, ან პირიქით, ახლა ეს მოტივაცია აღარ არსებობს. ხომ არ არსებობს რისკი, რათა ჰოსპიტალური სექტორი ვეღარ განვითარდეს?**

— არა, რატომ ვერ განვითარდება? ჰოსპიტალური სექტორი სადაზღვევო კომპანიაზე იყო მიბმული, მონოპოლიები კიდევ სხვა თემაა. ჰოსპიტალური სექტორი აუცილებლად განვითარდება. სადაზღვევო კომპანიებს ავუხსენით, როგორია მათ მიმართ სახელმწიფოს მიდგომა. ჩვენ მათ პრობლემებს არ ვუქმნით. სადაზღვევო კომპანიებს თავის ჰოსპიტალებთან ერთად ბიზნესი ჰქონდათ აწყობილი, რაც მონოპოლიაა. მაგრამ იმ სადაზღვევო კომპანიებს, რომლებიც მრავალპროფილურნი არიან, არავითარი პრობლემა არ შეექმნებათ. პირიქით 2.200 ათასი პოტენციური კლიენტი ემატებათ. გაითვალისწინეთ ისიც, რომ ამ ხალხზე ძირითად რისკს სახელმწიფო იღებს. თანაც, ჰოსპიტალური სექტორი — რა ფასშიც თავიანთ სადაზღვევოებს ემსახურებოდა, რატომ არ უნდა მოემსახუროს იგივე ფასად სახელმწიფოს?! თუ მაშინ, რაიმე გარიგებები ჰქონდათ, ეს სხვა თემაა.

**— მაგრამ, ბატონო ნოე, რამდენად შექმნის ფონდი კონკურენტულ გარემოს. სადაზღვევო კომპანიებს ერთმანეთში დიდი კონკურენცია ჰქონდათ. ამ შემთხვევაში ეს მოტივაცია ხომ არ იკარგება?**

— კი, ბატონო, სადაზღვევოები კონკურირებდნენ და ამის შედეგად რაღაც ფასები არსებობდა, რასაც ახლა ჩვენ ამ პერიოდისთვის, საბაზოდ ვიღებთ. დროის გასვლის შემდეგ სტატისტიკა ჩამოყალიბდება და შესაძლოა ეს მიდგომა შეიცვალოს. დღეისთვის ყველაზე ოპტიმალური ესაა. რაც შეეხება საუბრებს იმის შესახებ, რომ თითქოს საყოველთაო დაზღვევა სადაზღვევო ბაზარზე ცუდად იმოქმედებს, ეს ასე არაა და გეტყვით რატომ? — დღეს, 400 ათასი ადამიანი კორპორატიული დაზღვევით სარგებლობს, სადაც დაზღვევის ფასი საკმაოდ მაღალია. ახლა, როცა ძირთადად, სახელმწიფო იღებს დაზღვევის რისკს, დაზღვევის პოლისის ფასი ხომ გაიაფდება? ამიტომ მათთან მეტი ადამიანი დაეზღვევა. სახელმწიფო საკუთარ თავზე რაღაც პაკეტს აიღებს, იმ პაკეტის ზევით, სადაზღვევო კომპანიებს შეუძლიათ კლიენტებს დამატებითი პაკეტი შესთავაზონ. ამიტომ სადაზღვევო კომპანიებს კლიენტები დაემატებათ — ნაკლებ ფასს გადაიხდიან, მაგრამ დამატებითი პაკეტი ექნებათ. სახელმწიფო სთავაზობს გარკვეულ სტანდარტს. თუ ამ სტანდარტს ზევით მომსახურება გინდა, ან კერძო დაზღვევას უნდა მიმართო, ან საკუთარი რესურსებით გადაიხადო. ამიტომ სადაზღვევო კომპანიები არავითარი რისკის წინაშე არ დგანან, პირიქით, მათ ბაზა გაუფართოვდებათ. არამგონია სამედიცინო სფეროდან ნაკლები შემოსავლები მიიღონ, ვიდრე ახლა აქვთ.

**— რაც შეეხება, საყოველთაო დაზღვევის ფინანსურ ნაწილს, ანუ გაანგარიშებას, მინისტრს დღემდე არ წარმოუდგენია. თუ არის ცნობილი ყოველწლიურად რა თანხები გამოიყოფა ამ პროგრამაზე, რამდენად საკმარისი იქნება იგი და რამდენად ეფექტურად დაიხარჯება?**

— ვინც ამ შეკითხვებს სვამს, ბიუჯეტიც ნანახი უნდა ჰქონდეს, სადაც ეს თანხა გაწერილია. პროგრამის ეფექტურად განხორციელების გარანტორი სახელმწიფოა თავისი სტრუქტურებით. ყველაზე მეტად სწორედ ხელისუფლებაა დაინტერესებული, რომ ეს პროგრამა განხორციელდეს.

**— ანუ, სოციალური მომსახურების სააგენტომ საკუთარ თავზე უნივერსალური ჯანდაცვის პროექტის განხორციელება იტვირთა?**

— დიახ, რასაც ვაკეთებთ უნივერსალური ჯანდაცვის სისტემის შემადგენელი ნაწილია. საყოველთაო ჯანდაცვის სისტემა — ესაა უნივერსალური ჯანდაცვის სისტემა. ამაში შევა მოქალაქის სრული სამედიცინო მომსახურება — როგორც პირველი, ისე მეორე ეტაპის ჯანდაცვა. თანდათანობით, საქართველოს მთელი მოსახლეობა სრულიად მოიცავს ჯანდაცვის მომსახურებას.

**— საუბარი იყო სააგენტოსთვის ახალი ერთეულის, ახალი ფუნქციის — ზარალების ადმინისტრირების დეპარტამენტის დამატებაზე. რას გულისხმობს ეს?**

— ზარალების დეპარტამენტი, რომელიც ახლა შეიქმნა მთავარი მაკონტროლებელი დეპარტამენტია. ფაქტობრივად, სახელმწიფოსთვის ეს ხარჯი არის ზარალი ხომ? ზარალის დეპარტამენტი კომერციული სადაზღვევო კომპანიებიდან გადმოტანილი ტერმინია. სადაზღვევო კომპანიისთვის, ზოგადად, გაწეული ხარჯი ზარალია, მიღებული ფული — პრემია. სადაზღვევო კომპანია კლინიკას სამედიცინო მომსახურებისთვის ფულს რომ ურიცხავს — ეს მისი ზარალია. აღნიშნული დეპარტამენტი სწორედ ამაზე იმუშავებს, გააკონტროლებს ხარჯებს, ასევე როგორ ემსახურებიან მოქალაქეებს კლინიკები, როგორ წერენ ხარჯებს, სამედიცინო დანიშნულების გარდა რაიმე ხომ არ იწერება ავადმყოფის ისტორიაში ან კალკულაციაში. ზარალის დეპარტამენტი განახორციელებს ეფექტურ კონტროლს. ეს დეპარტამენტი სადაზღვევო კომპანიებშიც არსებობს და აკონტროლებს რამდენად სწორად ხარჯავს საავადმყოფო თანხებს.

**— აქვე ერთ საკითხსაც მინდა შევეხო. უმწეოთა დაზღვევაზე, როგორც ექსპერტები აცხადებენ, ბევრი მუხლი სადაზღვევო კომპანიების სასარგებლოდაა მიმართული. თუნდაც ოპერაციის ჩატარებისთვის, პაციენტს 6 თვე უწევს მოცდა, ამ დრომდე თუ ვერ მიაღწევს, სადაზღვევო ამით პრემიას იღებს. ან შეიძლება ადამიანი სხვაგან წავიდეს ოპერაციის გასაკეთებლად, შედეგად სადაზღვევოს ფული რჩება. თუ გადახედავთ ამ მუხლს?**

— გასაგებია. რიგების პრობლემა, სხვათა შორის, მთელს მსოფლიოშია. სადაზღვევო კომპანიას აქვს თავის ბიუჯეტი, ხარჯები, შემოსავლები, ელოდება პრემიას, ამიტომ პაციენტს ეუბნება — რიგში უნდა ჩადგეო. ჩვენ შემთხვევაში, როცა მეორე ეტაპზე გადავალთ, ეს საკითხი, ალბათ გარკვეული ნორმატივებით დარეგულირდება. 6-თვიანი ლოდინი არ იქნება, თუმცა რაღაც ვადები იქნება იმიტომ, რომ ძალიან დიდ დატვირთვას ველით.

**— რაც შეეხება კიდევ ორ მუხლს — ერთია წამლები, რომელსაც ადამიანები არ მოიხმარენ, ჩამოწერილია და სადაზღვევო მათ გასაღებას ცდილობს და მეორე — კომპანია პაციენტს თავის მითითებულ კლინიკაში აგზავნის, არ უტოვებს არჩევანის უფლებას, რაც კონსტიტუციის და კანონის ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, დარღვევაა. რა კეთდება ამის შესაცვლელად?**

— დიახ, დღეს მართლაც ასეთი მიდგომაა — ავადმყოფი იძულებულია იმ კლინიკაში წავიდეს, სადაც სადაზღვევო გაუშვებს. ასე აღარ იქნება, ადამიანს თავისუფალი არჩევანის უფლება ექნება, ინტერნეტში თითოეული კლინიკის მისამართი და ამა თუ იმ ნოზოლოგიის ფასები განთავსდება. უმწეოების პროგრამა დღეს სადაზღვევოებზეა მიბმული. ჩვენ, ერთი ხელის მოსმით ვერ გავაწყვეტინებთ სოციალურად დაუცველსა და სადაზღვევოს ამ ურთიერთობას, ამიტომ რაც არის ის გრძელდება. ხელშეკრულებების ვადის ამოწურვამდე, პროგრამა ამ სახით გაგრძელდება. როცა ვადა ამოიწურება, ფონდი მათ მომსახურეობასაც ჩაანაცვლებს. პოლისი აღარ იქნება აღარც უმწეოსთვის და არც სხვისთვის. ასე ვთქვათ, ყველასთვის ერთი გადამხდელი იქნება. საქართველოს ყველა მოქალაქეს შეეხება ეს. საჯარო იქნება თითოეულ საავადმყოფოში რა ღირს თითოეულ დაავადებაზე მომსახურეობა.



**— 1 ივლისიდან ოპერაციები საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში უფასო იქნება ხომ?**

— ზუსტად არ ვიცით, რა ფორმით იქნება, ჯერ ვერ გეტყვით. იქნება კლინიკები, სადაც ალბათ, გადასახდელი არაფერი იქნება. ჯერ ვერ გეტყვით, ეს დამუშავების პროცესშია.

**— საყოველთაო დაზღვევა ორი კვირაა რაც დაიწყო, თუ გაქვთ მონაცემები როგორია მომართვიანობა?**

— დღეში, გადაუდებელი მომსახურების 200 შემთხვევა ფიქსირდება.

**— დიდი მადლობა, უაღრესად საინტერესო და კომპეტენტური საუბრისთვის. გისურვებთ წარმატებებს.**

**თამარ შველიძე**
555 23 28 24



## xa l xis az r iT

აბა, რა ქენი, დაავაზვრატე "ოქროს საწმისი"?
რამდენიმე წლის წინ, განათლების მინისტრი, ნიჭით სახელგანთქმული გვარამია რომ განათლების მისაღებად გაუშვეს, ესეც იმ კინოდან არის ალბათ, წინა ხელისუფლების შეცდომები ახალმა რომ არ უნდა გაიმეოროს, არა?:) მაგარია!!! აბა, რა ეგონათ ფრანგებს! საფრანგეთში არც ერთი ქართული დიპლომი რომ არ გადის, იგივე გვარამიას თავის ქართული იურისტის დიპლომით სასამართლოში დარაჯადაც რომ არ ამუშავებდა არავინ...:)) ისე რა დიპლომები გადის ამ უკიდეგანოდ განათლებული ცოდნის ქვეყანაში, იქნებ ჩამოწერონ ნაციონალებმა, თორემ, როგორც ვატყობ, ენაც თუ არ ჭრის, სულ ტყუილად წვალობენ აქ, სორბონაში ქართველი სტუდენტები, ჯობია, დაბრუნდნენ და ბენდუქიძის აგრარულ უნივერსიტეტში დაეუფლონ ცოდნას. მართალია, სორბონაზე ბევრად ძვირია, მაგრამ, აბა, სხვანაირად როგორ გინდა, ცოდნის ბაზარი ასე ითხოვს:(((((

ახლა მთლად ისე ნუ გააღრმავებთ რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობას, ყველაფერი იქ გაზიდოთ, მე კი ამოლესილი ლობიოს გაკეთება რომ მომინდეს, ომბალოსა და ქინძისთვის მოსკოვში ჩარბენა მომიწიოს.))))

დენს გაემჯნა ნაააგავიიიი... დაერხა გიგის ტანადსაა.. ვანუა მოთქმით ქვიითინეებს, სევდია მღერის ნაანასააა.

ო ენა''ენა''-ვ ჩემო, ფრანგულო ''ენა''-ვ
შენ კვესიტაძის ნერვებზე პწკენავ!

ახი არ არის ამათზე წულუკიანის ნაცვლად მართლა ადეიშვილისნაირი თსუ-ს კურსდამთავრებული ვინმე სადისტი დანიშნონ? ზუსტად ორ კვირაში "მოუყომარებდა" ნაციონალებს თავისი კომპეტენციის შესაბამისად, როგორც მიჩვეულები არიან... :) ბოლოს დაბოლოს ეს წულუკიანი უმუშევარი ნამდვილად არ დარჩება, როგორ დავიჯერო საქართველოში მისი "საცოდავი" „ენას" დიპლომის შესაფერისი სამსახური არ გამოჩნდება?... მაგალითად, საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორად:)

საქართველოს უსაფრთხოებას ქართული ჯარი სდარაჯობს. ჯარს ნუგზარ წიკლაური.... ვაიმე, ჩემო სანაქებო ქართულო არმიავ!!!!

„ერისიონმა" ურანის გამდიდრება დაიწყო და ახლადჩასახულ ქართულ ცივილიზაციას ემუქრება..

პირველი კვერცხი იმან ესროლოს, ვინც ქართული კულტურის გასაცნობად მსოფლიოს მასშტაბით უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე "ერისიონმა"...უსაქმურები და მართლა სეთურის მონები.....ნაცმუწუკების მომღერლებისათვის ყველაფერი შეიძლება, ხომ.....ერთად -ერთი შეიძლება ის შეეშალათ, რომ კრემლში იცეკვეს...სხვა რა, ..რატომ წავიდა მიშას საყვარელი ნინი მოსკოვში საცხოვრებლად? ნუ გათხოვდებოდა იმ კაცზე, რომელიც რუსეთში ცხოვრობდა, თუ ასე ვერ იტანდა პუტინს და თუ ასეთი იდეინები იყვნენ... თუ ფული ჯოჯოხეთს ანათებს? ან ნინო ანანიაშვილი და სხვანი... მაგათთვის ყველაფერი შეიძლება და სხვისთვის არაფერი, ხომ...?

## რამაზ საყვარელიძე:

# ომში დაღუპული გმირების საფლავებზე ცეკვა ის კონცერტი იყო, რომელიც თბილისში აგვისტოს ომის შემდეგ გაიმართა



„საერთო გაზეთს" პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** ესაუბრება.

**— ბატონო რამაზ, რას ფიქრობთ პარლამენტის მიერ მიღებულ რეზოლუციასთან დაკავშირებით. დააჩქარებს იგი ჩვენი ქვეყნის ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას?**

— საპარლამენტო უმრავლესობის ნაბიჯები, რომელიც მათი მხრიდან იდგმებოდა და ახლაც იდგმება, ანალოგიურია იმ გზის, რომელიც აქამდე ქვეყნის საგარეო კურსის მიმართულებით ხორციელდებოდა. საპარლამენტო ოპოზიცია რადგან ნერვიულობდა, თითქოს ქვეყანამ საგრეო კურსი შეიცვალა, ამიტომ საჭირო გახდა ქვეყნის საგარეო პრიორიტეტებთან დაკავშირებით ამგვარი რეზოლუციის მიღება.

**— ქვეყნის საგრეო კურსთან დაკავშირებით მიღებული რეზოლუციის შემდეგ, სადაც ნათლადაა გაწერილი, რომ ქვეყნის კურსი არის ევროპული, როგორ ფიქრობთ, საპარლამენტო ოპოზიცია გააგრძელებს ისევ აპელირებას იმაზე, რომ ხელისუფლებამ ქვეყნის საგარეო კურსი შეიცვალა?**

— გარკვეული თვალსაზრისით, ეს დოკუმენტი „ნაციონალურ მოძრაობას" „დაატორმუზებს", მაგრამ თუ გაუჭირდებათ, რომ ქვეყნის საგარეო კურსის ცვლილებასთან დაკავშირებით, კითხვა დასვან, მიზეზს აუცილებლად მოძებნიან, რათა გარკვეული ემოციები გამოიწვიონ უცხოელ პარტნიორებში. ამიტომ პარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუცია დროებითი შემაჩერებელი ნაბიჯია ქვეყნის შიდა პოლიტიკური სიტუაციის დასარეგულირებლად.

**— ევროპარლამენტარებმა პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს მიმართვა — „ნუ დაანგრევთ საქართველოს ევროპულ ოცნებას" გამოუგზავნეს. როგორ ფიქრობთ, საქართველოში მართლა საგანგაშო ვითარებაა და ქართველ ხალხს ენგრევა „ევროპული ოცნება"?**

— საქართველოს ამ მიმართულებით საშიშროება არ ემუქრება. ჩვენი ევროპელი მეგობრები უფრო შორსმჭვრეტელნი რომ იყვნენ და არ ხელმძღვანელობდნენ ამა თუ იმ პარტიის მიმართ პირადი სიმპათიების მიხედვით, ალბათ, მიხვდებოდნენ იმას, რომ დასავლეთთან ურთიერობის დამყარებაზე ორიენტირებული მხოლოდ საქართველო კი არ არის, არამედ პოსტსაბჭოთა ყველა ქვეყანა, მათ შორის რუსეთი და ბევრი ისლამური ქვეყანაც, რომელთაც მაინც და მაინც დიდად არ უყვართ დასავლეთი.

**— რატომ, რა არის მიზეზი?**

— დასავლეთს აქვს დიდი ეკონომიკური პოტენციალი. საქართველოს რაც შეეხება, ჩვენთვის დასავლეთი მიმზიდველია იმიტომ, რომ იქ თავმოყრილია ყველა ღირებულება, რაც ქართული კულტურისთვისაა დამახასიათებელი. ამდენად, საუბარი იმაზე, ივლის თუ არა საქართველო დასავლეთისკენ, ღიმილის მომგვრელია, აბა, სად, რა გზით უნდა წავიდეს?

**— კოალიცია „ქართულმა ოცნებამ" საერთაშორისო ასპარეზზე ინფორმაციის გატანის მიზნით ორი ლობისტური კომპანია დაიქირავა. ივანიშვილის მხრიდან ეს გადაწყვეტილება დაგვიანებული ხომ არ არის?**

— ივანიშვილი და სააკაშვილი ერთმანეთისგან ბევრი რამით განსხვავდებიან. მაგალითად, მიხეილ სააკაშვილი ბიძინა ივანიშვილისგან განსხვავებით, სულ ჩქარობს. ამის გამო პრემიერ-მინისტრი არ უნდა გავაკრიტიკოთ, მას თავისი მოქმედების სტილი აქვს. იგი მაშინ დგამს ადეკვატურ ნაბიჯებს, როცა დარწმუნებულია, რომ ამ ნაბიჯებს უტყუარი შედეგები მოაქვს. ბიძინა ივანიშვილი არ ჩქარობს აშშ-თან კონტაქტს, რადგან არჩევნების შემდეგ აშშ-ის პოლიტიკურ წრეებში საკმაოდ მძლავრად იყო „ნაციონალების მიერ" გაშვებული ინფორმაციის ნაკადი. ამასთან, დასავლეთი შეჩვეული არ არის, პრეზიდენტის, ან სხვა მაღალი რანგის პოლიტიკოსის მხრიდან ტყუილის თქმას, ჩვენ კი ამას შეჩვეული ვართ და უკვე ტყუილზე რეაქციაც აღარ გვაქვს. ამიტომ ბიძინა ივანიშვილს ოქტომბრის შემდეგ აშშ-ში გასამგზავრებლად სჭირდებოდა გარკვეული დრო, რათა დაგროვილიყო ფაქტები, რომლებიც მისი გუნდის საგარეო პოლიტიკურ კურსთან დაკავშირებით კითხვის ნიშნებს არ გააჩენდა. ბიძინა ივანიშვილი, როგორც ჩანს, მიხვდა, რომ ქვეყნის გარეთ ინფორმაციის სწორად გატანა მნიშვნელოვანია და მის მიერ ლობისტური კომპანიების დაქირავება ამით აიხსნება.

**— „ერისიონის" მოსკოვში გამგზავრებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილის ნიკოლოზ ვაშაკიძის განცხადებით, „კრემლის დარბაზში „ერისიონის" ცეკვა აგვისტოს ომში დაღუპული ბიჭების საფლავებზე ცეკვის ტოლფასია". როგორია თქვენი პოზიცია ანსამბლის მიერ მოსკოვში გამართულ კონცერტებთან დაკავშირებით?**



— ომში დაღუპული გმირების საფლავებზე ცეკვა ის კონცერტი იყო, რომელიც თბილისში აგვისტოს ომის შემდეგ გაიმართა. ეს არა მხოლოდ მათ საფლავებზე ცეკვა, არამედ მათი სულების დაცინვაც იყო. „ერისიონის" მოსკოვში გამართული კონცერტები აგვისტოს ომში დაღუპული გმირების საფლავებზე ცეკვას ნაკლებად ჰგავს, ეს უფრო იმ საქმის მოვლაა, რისთვისაც ჩვენი გმირები დაიხოცნენ.


იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი


„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციამ" საბჭოთა ანაბრების კვლევის ცენტრის ვებგვერდის პრეზენტაცია გამართა. კონკრეტულად, როგორ და რა ფორმით უნდა მოხდეს საბჭოთა ანაბრების დაბრუნება, როცა ახალი ხელისუფლება ამ საკითხთან დაკავშირებით დუმს. „საერთო გაზეთს" „აფბას" პრეზიდენტი **ნოდარ ჭიჭინაძე** ესაუბრება.

— „აფბამ" დაიწყო 90-იან წლებში მომხდარი ჰიპერინფლაციური მოვლენების, ე.წ. საბჭოთა ანაბრების კვლევა, რის გამოც შევქმენით საბჭოთა ანაბრების კვლევის ცენტრი. ამისთვის გავაკეთეთ საიტი, სადაც განთავსდება ყველა ის ინფორმაცია, რომელიც აღნიშნულ საკითხს უკავშირდება, როგორც ვიდეო, ისე აუდიო და ბეჭდვითი ფორმით.



**— რა მიზანს ემსახურება კვლევის ჩატარება თუ მას რეალური შედეგი არ მოჰყვება?**

— ჩვენი მიზანია, ეს თემა ერთხელ და სამუდამოდ ადგილიდან დაიძრას. ამ ამბის შემდეგ, თითქმის 20 წელზე მეტია გავიდა და სხვადასხვა პოლიტიკოსებისა თუ ექსპერტების მხრიდან გვესმის მხოლოდ და მხოლოდ რეპლიკები, თუმცა პოზიტიური არაფერი გაკეთებულა.

თუმცა მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა №463 ბრძანებულებით ფუნქციონირების ვადა გაუხანგრძლივა იმ კომისიას, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს საბჭოთა ანაბრების კომპენსაციის საკითხი, რაც ნიშნავს, რომ ახალი ხელისუფლების მხრიდან ანაბრების თემა დღის წესრიგიდან მოხსნილი არ არის. მეტიც, პრემიერმა კომისიაში ახალი წევრებიც დაამატა და მუშაობაში ჩართო გავლენიანი ფიგურები.

## ნოდარ ჭიჭინაძე:

# საზოგადოებამ უდა იცოდეს, ვინ არიან გასული საუკუნის ყველაზე დიდი აფიორის ავტორები



**— თქვენი მუშაობით ხელისუფლებას საბჭოთა ანაბრების დასაბრუნებლად ერთგვარად მოსამზადებელ ბაზას უქმნით?**

— ჩვენ გვინდა ერთხელ და სამუდამოდ დავადგინოთ, ვის მიუძღოდა ბრალი 90-იან წლებში მომხდარ სუპერინფლაციურ პროცესებში, შეიძლება თუ არა ამ საკითხის მოგვარება. ამიტომ ვეცდებით ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევაში ყველა ამ შეკითხვას პასუხი გავცეთ.

**— თანხობრივად რამდენს აღწევს გასაცემი ანაბრების რაოდენობა?**

— გასაცემი ანაბრების თანხა შიდა ვალშია აღებული, რომელიც 502 მილიონ ლარს შეადგენს. თუმცა „აფბას" მიაჩნია, რომ ეს თანხა მინიმალურია და გასაცემი თანხის ინდექსაცია თავიდანაა გასაკეთებელი, რაც ადვილი საქმე არ არის და გვინდა ექსპერტებსაც მივმართოთ.

**— თუნდაც იმ 502 მილიონი ლარის გაცემა მოხერხდება ჩვენი ბიუჯეტის ხარჯზე?**

— ამ საკითხის მოგვარება უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში რთული იქნება. პირდაპირ გეტყვით, მომხრე არ ვარ, რომ საბჭოთა ანაბრების გათვალისწინება ბიუჯეტში მოხდეს, ამისთვის აუცილებელია სხვა მექანიზმის შემუშავება. ანაბრების დაბრუნება უფრო უპრიანი იქნება არაფულადი გზით. შესაძლებელია, რომ ეს ხალხი სახელმწიფო ქონებით დაკმაყოფილებულიყო, როგორც ეს მოხდა ლიტვაში და ამ ფორმით პრობლემა თითქმის 80% გადაიჭრა, მაგრამ საქართველოში პრივატიზაციის პროცესი თითქმის დასრულებულია. კვლევის მიზანი ამ შემთხვევაში მეანაბრეების აღწერა არ არის, რადგან ამგვარი სტატისტიკა უკვე არსებობს და დევს ფინანსთა სამინისტროში. ამჯერად, ჩვენი მიზანია იმ მოვლენების შესწავლა, რომელიც 90-იან წლებში მოხდა. იმ პერიოდში, როგორც ჩანს, იმ მოცულობის კრედიტები გაიცა, რომ, ფაქტობრივად, საკრედიტო სისტემა ჩამოიშალა და საბჭოთა ანაბრები გაუფასურდა. აუცილებელია, რომ საზოგადოებამ იცოდეს XX საუკუნის ერთ-ეთი ყველაზე დიდი აფიორის ავტორების შესახებ.


გვერდი მოამზადა
**სალომე ბახტაძემ**
598 19 39 14



# ქუთაისლებმა ფილმის სახელწოდება — „ესკადრილია ლეტუშჩიხ მიშ“ ასე თარგმნეს: „ეს ეკადრება მფრინავ მიშას?!“

გვესაუბრება მწერალი
**რეზო ქეიშვილი**

**— ბატონო რეზო, მწერლობის პრობლემაზე საუბრით დავიწყოთ. მწერლობას დღეს თითქმის არავინ ახსენებს ქვეყანაში, კულტურის სამინისტრომ განაცხადა, ეს დამოუკიდებელი სტრუქტურააო...**

— კულტურის სამინისტრომ დახურა სწორედ ეს შენობა, სარაჯიშვილის სახლი, სადაც იყო მწერალთა კავშირი, დღემდე დაკეტილია და ვითომ რემონტს აკეთებენ. რაც დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, მას შემდეგ სახელმწიფო იგნორიგებას უკეთებს მწერლობას, ტელევიზორს ჩართავ, აბუჩად იგდებენ მწერლებს და უნიჭო პოეტებს გვაჩვენებენ. ეს მარტო უცოდინარობის გამო არ ხდება, ეს არის მიზანმიმართული ქმედება, დარტყმა, პირველ რიგში, მწერლობაზე — ერის ინტელექტუალურ ნაწილზე, იმისთვის, რომ გემოვნება გაუფუჭონ მაყურებელს. ძვირფასი ბაღია მწერალთა კავშირის შენობის ირგვლივ მაჩაბლის ცამეტ ნომერში. ამ ბაღში ისხდნენ ხოლმე მწერლები და უცხო იქ ვერავინ შედიოდა, ვინ დაჯდებოდა ლეო ქიაჩელთან ან გამსახურდიასთან, კრძალულება და მოწიწება იყო მწერლებისადმი. დახვრეტილი მწერლების მემორიალი მე ჩამოვატანინე, ასლან აბაშიძემ გააკეთა ეს. რომ ნახო, გული გაგისკდება, იმდენი მწერლის გვარია ამ დაფაზე. ჯავახიშვილს რომ გაიყვან და დახვრეტ, ქვიშხეთში მოხდა ეს... ზევიდან მოდიოდა დირექტივა, ეტყობა, არ სჭირდებოდათ, იმიტომ რომ ეშინოდათ, არ უნდოდათ. ახლა მართლა არ სჭირდებათ მწერალი. წინა ხელისუფლების დროს უფრო მეტი ყურადღება იყო მწერლებისადმი, ვიდრე ახლა. არა, ივანიშვილი თავის ფუნქციას ასრულებს, მე მისით მიდგას სული და რამდენს ეხმარება, გამოაქვეყნეს, ხომ?! მაგალითად, შევარდნაძე ახლაც პატივს სცემს მწერლებს.

**— მაშ ვინ, სააკაშვილმა დაიწყო მწერლების იგნორირება?**

— სააკაშვილმა არა, მისმა გუნდმა და ახალმა ძალამ, ახალმა პარლამენტმა. სხვა ძალები მოვიდნენ, ვისაც მწერლობა არ აინტერესებს, არ სჭირდება. ახალ პარლამენტში არ აქვს ივანიშვილს გავლენა. ქართველები თითქოს წამოგვაგეს იმაზე, რომ დაგვარწმუნეს, თითქოს, რაც ქვეყანაში ცუდი ხდება, ყველაფერი ჩვენი უვარგისობის ბრალია. სინამდვილეში არც სააკაშვილი მართავდა ბოლომდე ამ პროცესებს, არც შევარდნაძე და არც ახლა ივანიშვილი. ეს ყველაფერი გარედან მართულია და გლობალიზმის ეპოქის გავლენაა, რომ ქართველებისგან რაღაც ახალი ტიპის არსება შექმნან. ეს ამერიკის და რუსეთის მცდელობაა და ამ დროს მწერალი ხელის შემშლელად ევლინებათ. ამერიკას უნდა, რომ მოსპოს ინტელიგენცია და რუსეთს გამოაცალოს ჩვენი ქვეყანა.

**— მატერიალურმა სიდუხჭირემ ხომ არ განაპირობა მდიდარი მფარველის ძებნის მცდელობა?**

— ჟირინოვსკი გამოვიდა ამას წინათ ტელევიზიით, ხომ იცით, როგორი მოწამლული კაცია და სძულს ქართველები, ახლა ამბობს, ქართველები ძალიან კარგი ხალხია, იმიტომ, რომ, არ დაივიწყეს რუსულიო. არც თათრული ენა მიიღეს, არც ამერიკული ან გერმანული და ა.შ. ორი ენა აქვთო, ქართული და რუსული. საინტერესოა აკაკი წერეთლის ჩანაწერი, როდესაც სტამბულში მეფის საფლავს თავად მიაგნო კითხვა-კითხვით, წერს, აი, სად გამომადგა ჩემი თურქულიო. ქუთაისის გიმნაზიაში ისწავლებოდა, თურმე: რუსული, თურქული, ლათინური და ქართული.

**— ბატონო რეზო, პირადობის მოწმობაში აღარ წერია ეროვნება ქართველი. თქვენ როგორ მიგაჩნიათ, რატომ გააკეთდა ეს და უნდა ეწეროს თუ არა ეროვნება პირად დოკუმენტში?**

— პასპორტში აუცილებლად უნდა ჩაწერილიყო ეროვნება, ეს სტალინის ბრძანება იყო. იმისთვის, რომ სახეზე ეცნოთ, რომელი იყო ებრაელი. მითხარით, ფრანგს უწერია ეროვნება პასპორტში? თუ უწერია, ჩვენც უნდა გვეწეროს. ეს, ალბათ, გლობალიზაციის და ერების შეერთების გამო გაკეთდა, ამაზე მუშაობენ, მაგრამ ეს არ მოხდება, გამორიცხულია,



პირიქით, მეტი წინააღმდეგობები იქნება და მეტი დაყოფა. ეს ქართული ხასიათის შედეგია, პირველობის და თავის გამოჩენის სენი. ლენინის ძეგლი პირველად მიხეილ ჭიაურელმა ჩამოასხა და ამის მერე დაიწყო სერიული ჩამოსხმა მთელ საბჭოთა კავშირში. მერე დაიწერა და ხუმრობდნენ კიდეც, თავისუფლების მოედანზე რომ იდგა, ამ მზიან და ცხელ ქალაქში ამ კაცს ასეთი სქელი პალტო რატომ აცვიაო. ეს, ალბათ, მტერთან ურთიერთობისას გამოუმუშავდა — ნაცარქექიობის სინდრომი; ბუშის ქუჩა გვაქვს ქალაქში. ძნელი მოსათვინიერებელი ერი ვართ და სხვის ჭკუაზე არ ვივლით. კი, ვითომ დაგიჯერებს, შენთან იქნება, მაგრამ მაინც თავისას გააკეთებს. რამდენი ხანია ცდილობენ ქართული ტრადიციები, მაგალითად, ცოლ-ქმრობის ტრადიცია მოსპონ, მაგრამ არ ხერხდება. ქალის პატიოსნება არასდროს გაქრება. ქართულ ოჯახში ქმარი თუ წახდა, შვილი არ დაუშვებს დედამისის მოქცევას ისე, როგორც იქცევიან რუსეთში ან სხვაგან. შვილისთვის ქალი კი არ არის, დედაა. ეს დევს ჩვენში.

**— მათხოვრებად ვიქეცით ასეთი მდიდარი რესურსების მქონე ქვეყანაში, ჩვენ რომ უკეთესი ხელისუფლება გვყოლოდა, ხომ შეიძლებოდა ქვეყნის ისე მართვა, რომ არც ჯარისკაცები და არც მოქალაქეები გაქცეულიყვნენ უცხოეთში ლუკმაპურის საშოვნელად, თქვენ ისევ სააკაშვილის მომხრე ბრძანდებით?**

— სხვას სჯობს, ყოველ შემთხვევაში...

**— ბიძინა ივანიშვილსაც?**

— ბიძინას არ სჯობს, მაგრამ საინტერესო ნაბიჯები აქვს გადადგმული... მაგალითად, მიშას გადაწყვეტილებაა, რომ ქუთაისში დგას პარლამენტი და ეს მომწონს, რადგან ამის უკან სამეგრელო, გურია და სვანეთი დგას, არა მხოლოდ ქუთაისი და, ყველაფერი ეს რეგიონის განვითარების მიზნით გაკეთდა. ქუთაისიდან ფოთში იყო თურმე ძველად სამდინარო მიმოსვლა. აია მართლა კუნძულზე იყო, თურმე, ორი მხრიდან რიონი უვლიდა. რიონი გაანადგურეს, ძირითადი წყალი მიდის მიწის ქვეშ და ჰესს ამუშავებს. ქალაქს წყალი წაართვეს, ისტორიული წყალი. ქუთაისში იყრიდა ძველად მთელი ინტელიგენცია თავს, თბილისში გადმოსვლაც ორგანიზებულად მოხდა. იმიტომ, რომ სომხებმა წაიღეს თბილისი და სომხების ქალაქს ეძახდნენ. კოლაუ ნადირაძე დარჩა მხოლოდ ქუთაისში, გვიან ისიც ჩამოვიდა. ცისფერყანწელები რუს პოეტებთან მეგობრობდნენ, მაიაკოვსკისთან, ესენინთან და დიდი როლი ითამაშეს ქართული კულტურის განვითარებაში.

**— რა კურსი უნდა დაიჭიროს საგარეო პოლიტიკაში დღევანდელმა ხელისუფლებამ, ისე, რომ ტერიტორიებიც დავიბრუნოთ და ქვეყნის უსაფრთხოებაც დავიცვათ?**

— პირველ რიგში, აფხაზები უნდა შემოვირიგოთ სახალხო დიპლომატიის გზით. არავინ ამბობს, რომ ჩვენ ერთი ერი ვართ და ეს სამეფო იყო ქართველთა და აფხაზთა, მეფეებიც ასე იწოდებოდნენ: აფხაზთა და ქართველთა. ბაგრატის ტაძარი რომ აღადგინეს, ვთქვი, მოიწვიეთ აფხაზები, უწინ აფხაზეთი იყო ქუთაისშიც. დაწეროს ეს უნდა ხელისუფლებამ. ჩემს გაზეთში დავწერე ეს. ჩვენი პოლიტიკოსები, რომლებიც დღეს ტელევიზიით ჩანან, არარაობები არიან, ამათ უნდა მართონ ქართველი ხალხის გონი და მისწრაფება? ქართველებს და აფხაზებს ერთმანეთის ბავშვები მიჰყავდათ და ზრდიდნენ, აკაკი რომ ახსენებს მორდუობას, კულტურების გაცვლა ხდებოდა, არც გაერო ჩარეულა ამაში და არავინ. სიყვარული და ერთიანობა არსებობდა. ჩვენც შეგვეშალა აფხაზებთან. იყო აგრესია ჩვენში. ახლა ყველაფრისადმი ფეხებზე მკიდია დამოკიდებულება გვაქვს.

**— ბატონო რეზო, გაზაფხულზე ვანო მერაბიშვილი აქციების გამართვით იმუქრება...**

— საბჭოთა კავშირის დროს, როდესაც განიარაღებაზე დაიწყო საუბარი, ბიჭიკაშვილი იყო, ერთი, მატარებლის გამცილებელი. იმან ასეთი წინადადება წამოაყენა: ლოჭინის ხეობაში გავთხაროთ ერთი დიდი ორმო, იქედან ამერიკა მოადგეს, აქედან, საბჭოთა კავშირი და შიგ ჩავყაროთ, მთელი იარაღიო. ამას ჰგავს ეს ყველაფერი. თუ ვინმეს სიტუაციის დაძაბვა სურს, ვინ გააკეთებინებს ამას.

**— შემოდგომაზე საპრეზიდენტო არჩევნები გველოდება.**

— უნდა გაუქმდეს საპრეზიდენტო მმართველობა. დარჩეს პრემიერ-მინისტრი და მართოს ქვეყანა. იცით, ქუთაისში ფილმი ჩამოიტანეს: „ესკადრილია ლეტუჩიხ მიშ“ და ქუთაისელებმა ასე გადათარგმნეს: „ეს ეკადრება მფრინავ მიშას?“.

**ნინო კობაიძე**




## xa l xis az r iT

კვესიტაძის ომობანადან ყველაზე კარგი კადრი ... ჩიორასთან ზურგშექცეული წულუკიანი....

იმის დიპლომიც მინდა, დედალი ძროხები რომ შემოყავდა, სასწრაფოდ...

„ერისიონმა“ მოსკოვში, ალბათ, არ უნდა იცეკვოს. არც სუხიშვილებმა. მავანთა პროტესტი მესმის. მაგრამ სად იყო ეს პროტესტი 2008 წლის 12 აგვისტოს თბილისში ტანცი-მანცები რომ მოაწყვეთ. დავლურს რომ უვლიდით და გამარჯვებას ზეიმობდით, მაშინ როცა ცხინვალის რეგიონში დახოცილი ჩვენი ბიჭების ცხედრებს ძაღლები და ღორები ჯიჯგნიდნენ. რა გაღრიალებდათ იმ დღეს რუსთაველზე? სად იყავით, როცა 26 მაისს სისხლით მორწყულ რუსთაველზე სუხიშვილებს უნდა ეცეკვათ? სისხლი სისხლია და სისხლზე არ ცეკვავენ.

ხაჩიძე ერთი სიმღერით მინისტრი გახდა საქართველოში. სადაა დემოკრატია და სამართალი რუსეთში, თორე ალა პუგაჩოვა რუსეთის სამუდამო პრეზიდენტი უნდა იყოს..

ნაცებო, პირობას ვიძლევი. ვერონიკას მზეთუნახავი დიპლომი ცალი თვალით დამანახეთ, თუნდაც უკანა მხრიდან და..... „დილა“ საღამოს ჰავლაბრის რეზიდენციის გარშემო მიხო, მიხოს ყვირილით ვირბენ ცოცხალ ჯაჭვსაც გავუკეთებ)კაკალაშვილის ლექსებსაც დავიზეპირებ, ჩიორასაც ყვავილებს მივართმევ ხოლმე, „კარდინატორ“ მეზობლის კარს აღარ წავბილწავ ნასვამზე....მოკლედ, მანახეთ, რა პლიზზზ)))

ხელოვნებას არა აქვს საზღვრები. მე მზადავარ ტაში დავუკრა თანამედროვე დოსტოევსკის, ჩეხოვსა დაგოგოლს, ესენინსა და ბრიუსოვს, ბულგაკოვსა და შუკშინს, ახმატოვასა დაცვეტაევას ... ნაცების უბედურება უცოდინრობა და სიბეცეა. ქართული დროშების ფრიალს უნდა ხედავდნენ ყველგან, მოსკოვი არ უნდა იყოს გამონაკლისი. და კიდევ: თუ მტერი ტაშს დამიკრავს და ფეხზე ადგომით პატივს მომაგებს, ამას რამ უნდა აჯობოს?

მიშამ საბერძნეთს თავსდამტყდარი კრიზისი არ აკმარა და მიპატიჟების გარეშე მოელანდა.....

პეტრიაშვილი ვშოკე. ჩვენი ხელისუფლების მოვალეობაა, იცოდეს, რისთვის დარბის-მორბენალი სტრიქონივით მიშა აქეთ-იქით... იქნებ არც ისე სულელია და თავს გვაჩვენებს? აი, აქაა ანგარიშვალდებული პარლამენტისა და ხალხის წინაშე... დაე, ჩაგვაბაროს ანგარიშები...




## xa l xis az r i T

ნატოს ლანძღვა მკრეხელობა ყოფილა, პატრიარქის ლანძღვა კი პატრიოტიზმი. ნატოს ებარებოდეთ. მამა რასმუსენი ილოცებს თქვენზე.

უგრეხელიძემ, უგულავას პრეზიდენტად ამზადებენო. ხალხი კი საციხედ ამზადებს. რა მაგარია, ჩვენ გვეყოლება, ჩვენ გვეყოლება ეჭვმიტანილი პრეზიდენტობის კანდიდატი

როცა მიშა უფრო მეტია ვიდრე სამშობლო, იქ სალაპარაკო არაფერია. ვაი თქვენს პატრონს და ვუი თქვენს ძალად პატრიოტიზმს!!!

არ გამოვა არაფერი დღევანდელი შეხვედრიდან! მაგრამ საკონსტიტუციო ცვლილებები მაინც მოხდება!

ციხის სკანდალური კადრების სასამართლო პროცესი დაიწყო. მოსამართლე ვაჟა ფუხაშვილმა პროცესი დახურა, მოტივაცია პრინციპში მისაღები იყო. რადგან საქმე ეხება სექსუალური ხასიათის დანაშაულებებს. ახლა ჩემს განწყობას მოგახსენებთ: ერთ მხარეს ისხდნენ „სადის“ ვერხუშკა: მკურნალიძე, ხუჭუა, ყაჭეიშვილი, ფაცაცია, და სხვები... მეორე მხარეს უშუალო შემსრულებლები. ისხდნენ უტიფარი სახით, თითქოს რწყილი არ გაუღვიძებიათ... ცინიკურად ათვალიერებდნენ დარბაზს, ახლობლებს კოცნებს უგზავნიდნენ, შემზარა მათმა სიმშვიდემ.... მოსამართლემ განაცხადა, რომ საჯარო იქნება მხოლოდ გადაწყვეტილებების გამოცხადების პროცესი.

მიშა+ ელექტრომობილი= დენზე მიბმული ნაგავი

პირველადი შეფასებით მიმდინარეობდა მსჯელობა იმაზე, ვის უფრო ბრენდული საათი ეკეთა... ნუ, მიშა თავმდაბალია და ცოტა დაუკლო მისი საათის ფასს, თორემ რას შეეჯიბრებოდა ბიძინას ჯიბის ფულით ნაყიდი საათი საქართველოს ბიუჯეტით ნაყიდ საათს..

დაიწყო ნაცების ჟიმჟიმი მათი ბელადის მოსალოდნელი კრახის გამო.

მერაბიშვილი „დაბალანსებულიაო“, კუბლაშვილს თურმე ბევრი კარგი რამ გაუკეთებია, სააკაშვილი საზოგადოების „ღირსეულ“ წევრად უნდა დარჩესო და რა გამოდის? ეს ბიძინა ან ქამელეონია და ან ნაციონალების გასაძლიერებლად არის მოსული. ადექი და შეყარე რა ციხეებში, რას ეფერები?

„ბაბუის ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოსჭრა კბილიო“, ამ ხალხური გამონათქვამის მართებულობაშიც არაერთხელ დავრწმუნებულვართ. “დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახემაც”, სააკაშვილის შემთხვევაშიც, ჩვენი წინაპრების აზრის მართებულობა კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა! თუმცა ქართველი ხალხიც, “მსოფლიო მედიცინაცა და გენეტიკოსებიც, ალბათ, „შეცდნენ“, კავკასიის წამყვან რეგიონში (საქართველოზე) სააკაშვილზე არჩევანის გაკეთებით! ქვეყნის პრეზიდენტად ამა თუ იმ პიროვნების გაყვანისას (რაც გარედან ჩარევის გარეშე, სამწუხაროდ, არ ხდება ხოლმე) საპრეზიდენტო პიროვნების გენეტიკას, მორალურ და პიროვნულ თვისებებს საგულდაგულოდ სწავლობენ ხოლმე. ქართველი ხალხისთვისაც ერთხელ მაინც რომ ეკითხათ, გაიგებდნენ, რომ ცხრუკვეთში (საიდან წარმოშობითაც სააკაშვილს არაერთხელ უტრაბახია) ყველა იცნობდა მის სეხნიას, ღვიძლ ნათესავსა და საყვარელი ბებიის (მზიას) ძმას- მიხაკო წერეთელს. რომელიც, თანასოფლელების თქმით, (სერიოზული ფსიქიური პრობლემების გამო) ზუსტად ისე დაბლაყუნებდა “ორლობეორლობე”, როგორც მისი სეხნია და საუბედუროდ, ჩვენი პრეზიდენტი დალაყუნებს ხოლმე, ხან საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, ხანაც- მეგობარი ქვეყნების სტუმრობისას. “გვჯეროდა”, რომ უცხოელმა ლობისტებმა სააკაშვილის გენეტიკური მემკვიდრეობის შესახებ “არ იცოდნენ”. თუმცა, დედა-დედოფალს, ბიძასა და საყვარელ ბებიას ამის შესახებ ნამდვილად უნდა სცოდნოდათ! საქართველოს მოსახლეობა იმ საფრთხეში არ უნდა ჩაეგდოთ, რაც ყოვლად უკონტროლო, გაუნათლებელი და მატყურა ადამიანის ქვეყნის სათავეში მოსვლისთვის ხელშეწყობა გახლდათ.

მისი სანათესაოსა და ოჯახის, დედაბუდიანად (სამაგიეროს გადამხდელი რომ არ დარჩეს) განადგურებაც წესად აქცია. (ეტყობა, ამის შესახებ, “დედა-დედოფალმაც” იცის).

ახლა რაც შეეხება სააკაშვილის “ტყუილების მორიგ გუდას”, რომელსაც, როგორც მოგახსენეთ, მან დიდი მარხვის “მეზვერსა და ფარისევლის კვირის” დაწყებისას მოხსნა პირი. მის ყველა “ნაბჟუტურებზე” აღარ გავრცელდები. ის ყველა ბრუნვასა და კონტექსტში აბრუნა ქართულმა მედიამ, პოლიტიკოსებმა და ექსპერტებმა. მხოლოდ რამოდენიმეზე შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას. გამოსვლის დასაწყისში “მიშატყუილამ” აღიარა, რომ, თურმე, ცხრა წლის განმავლობაში, “მონოლოგის რეჟიმში” საუბრობდა ქართველ ხალხთან. რაც მისი აზრით, არასწორი იყო. (ეტყობა, “ჰგონია”, რომ ახლა საუბრობს დიალოგის რეჟიმში?!). “მიშატყუილას” გამოსვლებში განსაკუთრებული ყურადღების ღირსი, მისი ე.წ “წამოცდენების” გამო არის ხოლმე.

აუარა. “რევიზორის” ხსენებაც, ქვეცნობიერად, ნაცბანდელებთან სწორედ “სარევიზიოდ” და ფულის ასაკრებად ჩამოსული უცხოელი ლობისტებისა და პარტნიორების საქართველოში ვიზიტებთან ქვეცნობიერ ასოცირებას უკავშირდება. ნერვიულობის გამო, ასეთ მნიშვნელოვან გამოსვლაში (ქონებითაც ხომ სულ მას ეჯიბრება) გვერდი მაინც ვერ აუარა ივანიშვილის ქონების თემას, როცა აღნიშნა: “ პრემიერის სახლში ჩემსაზე ბევრად უკეთესი პირობებია, უკეთაა მოწყობილი და თუ “დამპაიჟებენ”- აუცილებლად მივალო”! განსასჯელის ამ “უკანასკნელ თხოვნას” (ესეც წამოცდენა იყო, რა დროსაც, “განსასჯელის სკამზე” დასაჯდომად გამზადებული სააკაშვილის ფსიქიკა კვლავ ჭამა-სმაზეა ორიენტირებული). იმედია, ამ “საბოლოო თხოვნას” არც ბატონი ბიძინა დატოვებს უყურადღებოდ. თუმცა ჭამის პროცესში, მაგიდასთან მსხდომებს (ჭამის მადა რომ არ დაეკარგოთ)- სააკაშვილის მარტოდ დატოვებას ვურჩევდი. თავისი ავტორი-



# ქალბატონო გიული, პრეზიდენტად რომ „უშვებდი“, არ იცოდი, რა ბედოვლათი გეჯდა სახლში?!

დანაშაულში თანამონაწილეობაც ხომ სამართლით ისჯება, ანუ დასჯდი ქმედებაა?! დღეს თბილისში გავრცელებული ხმებიც, რომ გიული ალსანია ნერვიულობს: “შვილს მომიკლავენო”. “მკვლელებში” კი, თურმე, მიშას დასავლელ ლობისტებს გულისხმობს. დროული განგაშისას ამ განსაცდელსაც ხომ თავიდან აიცილებდა “მზრუნველი დედა”?! თუმცა უნდა ითქვას ისიც და ადრეც არაერთხელ აღვნიშნე, რომ სააკაშვილმა თავი არა მარტო ქართველ ხალხს, არამედ, საკუთარი ოჯახის წევრებსაც, მათ შორის, შვილის პირველკაცობით უზომოდ გამდიდრებულ დედასაც და ბებიასაც კი მოაბეზრა. ქალბატონმა გიულიმ კარგად უნდა უწყოდეს, რომ მისმა თავგასულმა და მატყუარა შვილმა, მოსვლის დღიდან, არაერთ დედას მოუკლა შვილი. მისი საყვარელი პირმშო თავსაც სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებით უკვე დიდი ხანია იკლავს. ისტორიკოს ქალბატონს ისიც უნდა მოეხსენებოდეს, რომ მამა-პაპისეული ქართული მიწების უცხოტომელებზე გაჩუქება-გასხვისებას, სარწმუნოებასთან, ქართულ ენასთან გააფთრებულ ბრძოლას, პირველ რიგში, უფალი არ აპატიებს მის შვილს. სააკაშვილისა და მისი ოჯახის გამდიდრების ხელშემწყობი პარტნიორები და ლობისტებიც კი ასეთ შემთხვევაში, მეორეხარისხოვანია. “მიშატყუილას” საბოლოო ბედი კარგად უნდა მოეხსენებოდეს “ცერეუსგან” კარგა ხნის წინ “დავერბოვკებულ”, საქართველოში გაგანია სამოქალაქო ომის დროს “რეზიდენტად გამოგზავნილ” პოლიგლოტ (ინგლიურ, ფრანგულ, ჰოლანდიურ, სვანურ, ქართულ და მეგრულ ენაზე მოლერალ) “პირველ ქალბატონსაც”. ვინ, თუ არა მან, კარგად უნდა იცოდეს იტალიის პრემიერ ალდე მოროს ბედის შესახებ, რომელმაც, განსახვავებით სააკაშვილისგან და მისი ოჯახისგან, თავისი ხალხის წინააღმდეგ წასვლა და “მსოფლიო მთავრობასთან” თანამშრომლობა არ ისურვა რის გამოც იგი ეკელსიიდან შინ დაბრუნებისას, „ზემოდან“ დავალებით თავისი მანქანით ააფეთქეს ‘წითელი ბრიგადების” ტერორისტული ორგანიზაციის წევრებმა. (მიშა ეკლესიაში არ დადის და ეს არ ემუქრება) თუმცა ალდე მოროს შემდეგ, “მსოფლიო მთავრობამ”, არა მარტო შემსრულებლების, არამედ

სააკაშვილმა თავის გამოსვლაში კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მას არც არასდროს აინტერესებდა აფხაზეთის დაბრუნების საკითხი. ადამიანი, რომელიც ცხრა წლისა და მთელი ცხოვრების მანძილზე საქართველოს ამ ძირძველი კუთხის სახელწოდების სწორად წარმოთქმას ვერ ისწავლის და “აფხაზეთს”



ისევ “აფხაზეთად” მოიხსენიებს, ეს ან ფსიქიური (გენეტიკური დაავადების) გამო დარღვეული მეტყველების შედეგია– ან მისი სტრატეგიული მიზანი. უფრო ორივე ერთად. ისიც წამოცდენა იყო, რომ ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები, თურმე “მუხლებზე დამდგარი” და “ხელის მუცელზე ფხანით”, თუ “მუცელზე ხელის ფხანით” ხელებაწეულები ხვდებიან რუსეთიდან ჩამოსულ- ქართული ღვინის რუსულ ექსპერტთა ჯგუფს, რომელთაც მხოლოდ “ჯიბეში ფულის ჩადება” სჭირდებათ და გოგოლის “რევიზორის” ხსენებაც რამოდენიმე მინიშნებას გვაძლევს. პირველი ის, რომ “მუხლებზე ოთხით დგომას” თემას (ციხების გახმაურებული სკანდალის ასოციაციით) პირდაპირი კავშირი აქვს სააკაშვილთან, რადგან, მისთვის ისეთი მნიშვნელოვანი გამოსვლის დროსაც კი, როგორიც ივანიშვილის ე.წ. “ულტიმატუმზე” პასუხის გასაცემად გამართული ბრიფინგი იყო, სააკაშვილმა “მუხლებზე ოთხზე დოგმას” გვერდი ვერ

ტეტის ამაღლებისა და პატრიარქის დაკნინების მიზნით, სააკაშვილი მერამდენედ გადაწვდა უწმინდესსა და უნეტარესს. საქართველო, რუსეთის ურთიერთობის დარეგულირების ამბავში: “ამბავი გამომიტანეს და რაც მე ადრე პუტინმა მითხრა, იგივე უთხრა პატრიარქსო?!” არადა, მოსკოვის შეხვედრაზე, პუტინის, ილია მეორის და რუსეთის პატრიარქის გარდა იქ არავინ მჯდარა?! (შესაძლოა, მეგობარ “კაგებეს” გულისხმობდა, რომელიც ამ საუბარს აუცილებლად მოუსმენდა?!) საყოველთაო ტყუილებისა და “თავზე ლაფის დასხმის” ფონზე, სააკაშვილს თავის მოსაწყლებაც არ დაავიწყდა. “ერთი კარიდან გავდივარ და შემოვდივარ ამდენი ხანია და აგერ ჩემთან მოსული ბაქრაძეც ერთი საათი იყო “გაჭედილი კარებშიო”. ესეც წამოცდენა იყო. “გაიჭედა ჩვენი მიშიკო” მთელი ნაცბანდიანად, უკვე მაგრად გაიჭედა. აკი ამიტომაც იყო, რომ მეორე დღეს, წინა დღის ტყუილებისა და სისულელეების კორიანტელის შემდეგ, ლამის საპირფარეშოდან, “გუგულებივით” გამოსულმა ცოლ-ქმარმა, (ვითომ “მზე და მთვარე ამოსდიოდეთ” ერთმანეთზე?!) დილიდან, „რუსთავი-2”-ის კამერის თანხლებით, “დაჩაგრული მიშიკოს” კიდევ ერთი შოუ რომ დაუგეს ქართულ საზოგადოებას. ესაო და “დაცვის გარეშე დატოვებული” მიშიკო თავად მართავს მანქანასო?! არადა, “გუგულების” ტრაპზე ასვლის შემდეგ, ოცამდე კაცის თვითმფრინავში შესვლაც დაფიქსირდა ობიექტივით. რომელთაგან ნახევარი სწორედაც რომ დაცვა იყო. ნარჩენი კი ზოგი “ჩამოლაბორანტებული” და ზოგიც ამჟამინდელი “ოპოზიციონერი” ნაცი. ქალბატონ გიულის კი მინდა მივმართო: “მოკლულია”, ქალბატონო გიული, თქვენი შვილი, უკვე დიდი ხნის “მოკლულია” და სანამ საბოლოოდ “გაიხრწნებოდეს”, პრეზიდენტის შესაბამისად, მისი “დაკრძალვისა და დატირების” უფლება მაინც მოგვეცით ქართველ ხალხს. თორემ, ის “ვისი შიშიც” თქვენა გაქვთ, ისინი მიშიკოს კი არ დაკრძალავენ, არამედ, თავიანთი წესისამებრ, “სამუდამო კრემაცია” შესაძლოა კასტრაციაც გაუკეთონ“ საქართველოს განადგურების პროექტის ჩაგდებისთვის”, და მერე კი ნამდვილად ახდება “პუტინის ოცნება”!

**ბაია ამაშუკელი**

gagrZeleba. dasawyisi ix.
`saerTo gazeTi~ #05

# ლუციფერის ეფექტი

## სკანდალური ფაქტები მთელ მსოფლიოში დაფანტული აშშ-ს საიდუმლო ციხეების შესახებ

„პატიმრებს“ დათქმულ დღეს ნამდვილმა პოლიციამ მიაკითხა, შეუცვივდნენ სახლში, დაადანაშაულეს, გაჩხრიკეს, ხელბორკილები დაადეს, გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, გადაუღეს ფოტოები, დაქტილოსკოპია, აუხვიეს თვალები და მიიყვანეს სტენფორდის უნივერსიტეტის „ციხეში“ (ვიდეოჩანაწერში ამის შესახებ ერთ-ერთი ცდისპირი ყვება). ყველაფერი ვიდეოკონტროლით იყო აღჭურვილი, თუმცა არანაირი მინიშნება არ იყო, რომ ექსპერიმენტი დაიწყო.

პატიმრებს ჩააცვეს უფორმო ტანსაცმელი საცვლების გარეშე, თავზე ნეილონის წინდა ჩამოაცვეს, ჩამოართვეს სახელები და მიაკუთვნეს მხოლოდ ნომრები. „პატიმრები“, ცხადია, მთელი დრო „ციხეში“ უნდა ყოფილიყვნენ, „დაცვას“ კი 8- საათიან ცვლაში უნდა ემუშავა, თუმცა არასამუშაო დღესაც დაიწყეს მოსვლა. გაუთავებლად „პატიმრების“ სიის წაკითხვა ნომრებით, მოგონილი იმისთვის, რომ „პატიმრები“ თავიანთ ნომრებს ადვილად მიეჩვეოდნენ, მუდმივ ეგზეკუციად გადაიქცა. „დაცვამ“ მოუმატა სადისტურ გამოვლინებებს, გახშირდა „პატიმრების“ მასხრად აგდება, განსაკუთრებით ღამით, რადგან ფიქრობდნენ, რომ ვიდეოკონტროლი გამორთული იყო. აღსანიშნავია, რომ ამ სახიფათო ექსპერიმენტმა ექსპერიმენტატორებიც ჩაითრია. ზიმბარდომ „დირექტორმა“ შეიტყო, რომ „ციხეში“ გაქცევა მზადდებოდა და ექსპერიმენტის ნამდვილ ციხეში გადატანა მოითხოვა, როდესაც უარი მიიღო, ძალიან გამწარდა.

ექსპერიმენტი მე-6 დღეს შეწყდა ოფიციალური ფორმულირებით „მონაწილეთა პათოლოგიური რეაქციების გამო“. „ზედამხედველები“ სერიოზულად აღშფოდნენ. როდესაც ზიმბარდომ „ზედამხედველები“ დაიბარა თავის ოთახში, მათ თავის გასამართლებელი უამრავი არგუმენტი აღმოაჩნდათ: „პატიმარმა შეურაცხყოფა მომაყენა“, „ეს ჩემი მოვალეობაა, ამაში მიხდიან ფულს“, „ეს ექსპერიმენტისთვისაა საჭირო“ და ა.შ უმთავრესი — როდესაც ექსპერიმენტი დროზე ადრე შეწყდა, ზიმბარდო იძულებული გახდა შტაბიდან გამოეძახა სამხედროები მათ შესაჩერებლად. ერთი კვირა საკმარისი აღმოჩნდა, რომ ნორმალური ადამიანები სასტიკ ადამიანებად ქცეულიყვნენ...

**1971 წელი. კვირა.**
**14 აგვისტო**

წინა საღამოს ზიმბარდო „ზედამხედველებს“ მითითებას აძლევს, რომ შეინარჩუნონ წესრიგი ფიზიკური ძალადობის გარეშე, მაგრამ იმოქმედონ მაქსიმალურად ბუნებრივად. დილას მზად არიან პატიმრები ზემოთ აღნიშნულ „ფორმებში“ — ასე „ზედამხედველებმა“ გადაწყვიტეს. (საცვალი ჩამოართვა პატიმარს — ვის უნდა მოუვიდეს აზრად?) „პატიმრებს“ ფეხზე ჯაჭვიც აქვთ მობმული. — ესეც „ზედამხედველის“ იდეა. რაც შეეხება „ზედამხედველებს“, ვიზუალურად არაფრით განსხვავდებიან ნამდვილი ზედამხედველებისგან.



**15 აგვისტო**

„მცველებმა“ დაიწყეს „პატიმრების“ დასჯა — ღამით უმიზეზოდ წამოყარეს საწოლებიდან, 30-30 აზიდვა გააკეთებინეს და ისევ მისცეს დაწოლის უფლება, თუმცა ნახევარ საათში ისევ წამოყარეს და ამჯერად უსაცვლებო „პატიმრებს“ „ვირობანა“ ათამაშეს. რომელიღაცას აზრად მოუვიდა სურათების გადაღებაც. სიტუაცია დაიძაბა. „პატიმრებმა“ ბარიკადები აღმართეს. საპასუხოდ, „პატიმრები“ „ზედამხეველებმა“ ჯაჭვებით დააბეს, ცეცხლსაქრობით გაწუწეს და „კარცერებში“ შეყარეს საღამომდე. ერთი პატიმარი უკვე ღრიალებს და ექსპერიმენტიდან გასვლას ითხოვს. გმოვლენების ამგვარი სწრაფი განვითარებით გაოგნებული ზიმბარდო (ექსპერიმენტატორთა ჯგუფი) გადაწყვეტს, რომ №8612-მა დატოვოს ექსპერიმენტი.

**16 აგვისტო**

საკანი საღორეს ჰგავს, რადგან „ზედამხედველებმა“ დასაჯეს აჯანყებულები და საპირფარეშოში მოსაქმება აუკრძალეს, მათ შორის №8612-ის შემცვლელსაც. „პატიმრები“ დათრგუნულნი არიან. თავის მხრივ, „ზედამხედველებმა“ ზიმბარდო დაარწმუნეს, რომ განთავისუფლებული „პატიმარი“ შეეცდება გააპაროს მეგობრები და ჩაშალოს ექსპერიმენტი, ამიტომ ზიმბარდომ ის სასწრაფოდ უნდა დააბრუნოს „ციხეში“ და „კარცერში“ (უნივერსიტეტის სარდაფის ტუალეტი)ჩაამწყვდიოს. შექმნილი ატმოსფერო პარანოიდულია.

**17 აგვისტო**

„ზედამხედველები“ უფრო ამჟღავნებენ ფანტაზიებს, უკვე შიშვლად აიძულებენ „ვირობანას“ თამაშს. მათ თავზე გადაჭრილი ტომრები აქვთ წამოცმული, რათა ერთმანეთი არ დაინახონ. იმის გამო, რომ ზიმბარდომ „მცველებს“ სამონტაჟოში შესვლა აუკრძალა (წინა დღეს ორ მცველს შეუსწრო, რომლებიც ჩანაწერებს უკან ახვევდნენ და რაღაცაზე ხარხარებდნენ), მათ თვითონ მოაქვთ კამერები და პატიმრებს უღებენ. ახალ პატიმარს №127 საშინელი ნერვული შეტევა ემართება და მთელ სხეულზე გამონაყარი უჩნდება. მას ათავისუფლებენ, მაგრამ... ორი წარუმატებლობა სამ დღეში! — ზიმბარდო მაინც შემართულია, აინტერესებს, სადამდე მივლენ ექსპერიმენტის მონაწილეები, რომლებიც მან, საუკეთესო პროფესორმა, პირადად შეარჩია სწორედ კეთილშობილური თვისებების მიხედვით.

## ადამიანთა წამების ვირტუალური ინსტრუქტაჟი საქართველოს ციხეებისთვის სტენფორდის ექსპერიმენტის მიხედვით



**18 აგვისტო**

მრავალჯერადი უსამართლო დასჯის შემდეგ ორი პატიმარი უკიდურესად განერვიულებულია და გაშვებას ითხოვს, მაგრამ ზიმბარდო არ ფიქრობს ექსპერიმენტის შეწყვეტას, სანამ „ზედამხედველების“ ახალი ფანტაზიის შესახებ არ გაიგებს. ისინი აიძულებენ „პატიმარებს“ მიბაძონ ცხოველებს შეწყვილებაში. „პატიმრები“ არ ასრულებენ ბრძანებას. ამიტომ ერთს აწვენენ მუცელზე და მეორეს აიძულებენ „შეუდგეს საქმეს“. „პატიმარმა“ ამის გამო „მცველზე“ გაიწია. საპასუხოდ იგი წამოაქციეს და მეორე პატიმარს აიძულებდნენ იატაკის საწმენდი ჯოხით გაეუპატიურებინა იგი, ამჯერად უკვე ინსცენირების გარეშე — ძალადობა ზღვარს გადავიდა.

ეს ყველაფერი ხდებოდა ერთ ადგილას, სამხედრო დაზვერვის ცენტრში, **1 A** სექციაში, ღამე, სადაც ტარდებოდა დაკითხვები, აქ იყო **CIA**, გამომძიებლები **Titan Corporation**-იდან და მათ ვერ მიიღეს ინფორმაცია ამბოხებულებზე, ასე რომ, გადაწყვიტეს ზეწოლა, მისცეს უფლება, რომ ზღვარს გადასულიყვნენ, რათა დაკითხვისთვის მოემზადებინათ, დაესუსტებინათ პატიმრები, ანუ მისცეს უფლება „ხელთათმანები გაეხადათ. ეს ყველაფერი ევფემიზმებია და აი, როგორ გაიგეს მათ — ჩავიდეთ დილეგში.“

უმნიშვნელო განსხვავების გარდა აბსოლუტური იდენტურობაა „სტენფორდის ექსპერიმენტს“, აბუ-ღრეიბის ციხეს, აშშ-ის საიდუმლო ციხეებისა და საქართველოს, გამოკვეთილად გლდანის მე-8 საპყრობილეს (არა მხოლოდ) შორის აშკარაა — დამცირება, წამება, შეურაცხყოფა, არაადამიანური მოპყრობა...

ზიმბარდო: — „პატიმარი იყო სულიერად ავადმყოფი, ყოველდღე ისვამდა განავალს, ამერიკელი ჯარისკაცები კი მას აიძულებდნენ ჭუჭყში ეგორავა, რომ სუნი არ ჰქონოდა. მცველები მას „განავლის ბიჭს“ ეძახდნენ. რატომ იყო ის ამ ციხეში, რატომ არ იყო ფსიქიატრიულ საავადმყოფოში? ნებისმიერ შემთხვევაში აშშ-ის თავდაცვის ყოფილი მდივანი რამსფელდი მოდის და კითხულობს: — „მინდა ვიცოდე, ვინაა პასუხისმგებელი?“ „რომლები არიან დამპალი ვაშლები?“ — ეს ცუდი კითხვაა. უნდა იკითხოთ: „რა არის დამნაშავე?“ რადგან „რა“ შეიძლება, იყოს „ვინ“, ადამიანები და ასევე შეიძლება „რა“ — სიტუაცია.

ჩვენ მივიჩნევთ, რომ ისინი კარგი ჯარისკაცები იყვნენ სანამ მიწის ქვეშ ჩავიდოდნენ...

როდესაც ექსპერტი ვიყავი აბუ-ღრეიბის საქმეში, აღმოვაჩინე, რომ ძალაუფლება სისტემაშია; სისტემა ქმნის სიტუაციას, რომელიც აფუჭებს ინდივიდს და ესაა კანონი — პოლიტიკური, ეკონომიკური სისტემა და კულტურა, სწორედ ეს ქმნის ცუდ გარემოს. ასე რომ, თუ გსურთ შეცვალოთ პიროვნება, უნდა შეცვალოთ სიტუაცია; თუ გსურთ შეცვალოთ სიტუაცია, უნდა იცოდეთ, სად არის ძალაუფლება. ძალაუფლება არის სისტემაში.

თქვენ ნახეთ აბუ-ღრეიბში ფელათიოს (ორალური სექსი) სიმულირება — „ჩემმა ზედამხედველებმა“ ეს ხუთ დღეში გააკეთეს. სტრესული რეაქცია იყო იმდენად დიდი, რომ ჩვენს მიერ არჩეული ჯანმრთელი, ნორმალური ბავშვები 36 საათში გატყდნენ. ექსპერიმენტი დასრულდა 6 დღის შემდეგ, რადგან ის კონტროლს აღარ ექვემდებარებოდა. ხუთ ბიჭს ნერვული შეტევა ჰქონდა...

აქვს თუ არა მნიშვნელობა იმას, რომ მეომრები ომში წასვლისას იცვლიან გარეგნობას? აქვს თუ არა გავლენა მათ ანონიმურობას იმაზე, თუ როგორ ექცევიან ისინი საკუთარ მსხვერპლს?

ჩვენ ვიცით, რომ ზოგ კულტურაში მეომრები არ იცვლიან გარეგნობას, ზოგში იღებებიან, ზოგში იკეთებენ ნიღბებს. მრავალ კულტურაში ჯარისკაცებს უნიფორმა ხდის ანონიმურს. ანთროპოლოგმა ჯონ ვატსონმა აღმოაჩინა 23 კულტურა, რომელსაც ორი მაჩვენებელი ჰქონდა, იცვლიან გარეგნობას ბრძოლის წინ — 15, კლავენ, აწამებენ, ასახიჩრებენ — 13, თუ არ იცვლიან გარეგნობას, 8-იდან მხოლოდ ერთი კლავს, აწამებს. თუ ისინი იცვლიან გარეგნობას, 13-იდან 12 ანუ 90% კლავს, აწამებს ან ასახიჩრებს — სწორედ ეს არის ანონიმურობის ძალაუფლება. (მოდი და კიდევ ერთხელ ნუ გაგახსენდება ქართული რეალობა. — მ.ჭ)

მიუხედავად იმისა, რომ ჩემი წიგნის თემა ბოროტებაა, რეალურად, ესაა დიდება გონების შეუზღუდავი შესაძლებლობებისა, რომელიც ჩვენ კეთილად და სასტიკად, მზრუნველად ან უდარდელად, შემოქმედად ან დამანგრველად, ზოგიერთ ჩვენგანს კი ბოროტმოქმედად გვაქცევს, ზოგიერთი კი გმირი ხდება.“

ქალმა შეაჩერა სტენფორდის ციხის ექსპერიმენტი, როცა ვთქვი, რომ ის კონტროლს აღარ ემორჩილებოდა. მე ვიყავი „ციხის ზედამხედველი“, მე არ ვიცოდი, რომ კონტროლი დავკარგე, ჩემთვის სულ ერთი იყო... მან დაინახა, რა სიგიჟე ხდებოდა და თქვა: — „ეს საშინელებაა! რას უშვებით ამ ბავშვებს! ისინი არც პატიმრები არიან და არც ზედამხედველები, ისინი ბავშვები არიან და ბრალი მხოლოდ თქვენ მიგიძღვით!“ — მომდევნო დღეს მე შევწყვიტე ექსპერიმენტი...

კარგი ამბავი — ერთი წლის შემდეგ ვიქორწინე ამ ქალზე...

გმირობა ბოროტების შხამსაწინააღმდეგო საშუალებაა. გმირობის ბანალურობა იმაშია, რომ გმირულად იქცევიან ჩვეულებრივი ადამიანები, ხოლო გმირობა არა-ჩვეულებრივია...

ადამიანთა უმეტესობა დამნაშავეა უმოქმედობის გამო!...“



**მაია ჭელიძე**
593 32 49 71

# მიშას ზონდერები - ვინ არიან ისინი?

სააკაშვილი და მისი გუნდი „მეორედ მოსვლისთვის“ ემზადება და რეპეტიციებს გადის. რა შანსები აქვთ ამისთვის, ეს ცალკე საკითხია, მაგრამ ცდა ბედის მონახევრეა. ქვეყანაში არეულობის გამოწვევაც ბევრს ნიშნავს, რომ მერე სააკაშვილი გამოხტეს და აწიოკდეს, ახალი ხელისუფლება უსუსურია, პრობლემებს თავს ვერ ართმევს, საგანგებო მდგომარეობა უნდა გამოვაცხადოთო. მართალია, ნაციონალებმა ოქტომბრის გაყალბებული არჩევნებითაც ხმების მხოლოდ 40%-ის მოგროვება შეძლეს, მაგრამ აშკარაა დანებებას არ აპირებენ. მათ კარგად იციან, რომ მოსახლეობის მხარდაჭერის იმედი არ უნდა ჰქონდეთ, ხელახალი არჩევნების შემთხვევაში, შეიძლება, ბარიერიც ვერ გადალახონ, მაგრამ წყლის ამღვრევას ხომ მაინც მოახერხებენ? პირველი მცირე სარეპეტიციო გამოსვლა 8 თებერვალს ვიხილეთ, თუმცა სასურველ შედეგს მაინც ვერ მიაღწიეს. რა მოხდება წინასწარ დაანონსებულ 19 აპრილს ამას მომავალი გვიჩვენებს.

ახლა კი იმის შესახებ, თუ რა შანსები აქვთ ნაციონალებს დესტაბილაზაციის მოსაწყობად. ვფიქრობთ, ხელისუფლებას მშვიდად ყოფნის უფლება არ აქვს. ნაცხელისუფლების ძირითადი დასაყრდენი ძალოვანი სტრუქტურები და ზონდერდაჯგუფებები იყო, რომლებიც ყველა სახელისუფლებო სტრუქტურაში მრავლად ჰყავდათ. ის სპეცრაზმები, რომლებიც შსს-ს, მათ შორის საპატრულო პოლიციას, თავდაცვის სამინისტროს, სასჯელარსრულების უწყებას ჰყავდა, სხვა არაფერი იყო თუ არა ზონდერბრიგადები. მათ, ძირითადად, მშვიდობიანი მოსახლეობის დასარბევად იყენებდნენ. ამას გარდა იყვნენ ე.წ. დამოუკიდებელი ზონდერჯგუფებიც. მართალია, დღეს ჯარი და პოლიცია ვადაგასულ, პრეზიდენტად წოდებულ მიხეილ სააკაშვილს აღარ ემორჩილება, მაგრამ ნაციონალების კუდები ამ სტრუქტურების საშუალო და დაბალ რგოლებში დღესაც საკმაოდ არიან. არსად წასულან ის ზონდერებიც, რომლებიც ფულის გულისთვის ყველაფერს იკადრებენ, ფინანსები კი ნაციონალებს ნამდვილად არ უჭირთ. ასევე არსად წასულან ნაციონალების აქტივისტებიც, რომლებიც შესაფერის დროს ელოდებიან, სამზეოზე რომ გამოვიდნენ. მოსახლეობაში რომ უამრავი იარაღია, არც ეს არის საიდუმლო. შეიარაღებულ, ნამუსგარეცხილ ადამიანებს ერთ ღამეში შეუძლიათ ქვეყნის პარალიზება. სააკაშვილს სწორედ მათი იმედი აქვს და იმიტომაც გვედიდგულება. ახალი მთავრობა კი, რატომღაც არ ინტერესდება ზონდერების საკითხით. ეს ათასი სიბინძურის ჩამდენი ხალხი დღესაც დაუსჯელია, არადა მათი ვინაობა, ვფიქრობთ, სამართალდამცავებმა კარგად იციან. არ არის გამორიცხული ყოფილი პოლიტპატიმარი მელორ ვაჩნაძე სწორედ ასეთმა ზონდერმა დაჭრა.

მოგეხსენებათ, ერთი პერიოდი დედაქალაქის მერი გიგი უგულავა, რომელიც ახლა უკვალოდაა გამქრალი, პრეტენზიას გამოთქვამდა, რომ თბილისის პოლიცია მას დაქვემდებარებოდა. რა იმალებოდა უგულავას ამ ინიციატივის უკან - მაშინვე გაიშიფრა. უმუშევრად დარჩენილ ზონდერებს უგულავა სწორედ თბილისის პოლიციაში უპირებდა დასაქმებას, რომლებიც, ცხადია, მხოლოდ ბატონ მერს დაემორჩილებოდნენ. მართალია, ეს იდეა იდეის დონეზე დარჩა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ უგულავამ ეს კონტინგენტი მერიის სამსახურებში დაასაქმა და ხელფასს ჩვენი ჯიბიდან უხდის. ისე ზონდერები მას მანამდეც მრავლად ჰყავდა, თუნდაც დასუფთავების სამსახურში დასაქმებული. მოსალოდნელი არეულობის შემთხვევაში, ნაციონალები ამ ხალხს „ნაყოფიერად“ გამოიყენებენ. სხვათა შორის, ზონდერები გამსახურდიას მმართველობის პერიოდშიც იყვნენ, ოღონდ მათ მაშინ საძმოები ერქვათ და რა დამართეს ხალხის არჩეულ ხელისუფლებას თითზე ჩამოსათვლელმა შეიარაღებულმა ბანდიტებმა, ესეც კარგად გვახსოვს. ამ საძმოების წარმომადგენლები ნაციონალების რიგებში მრავლად არიან. ისინი იყვნენ სახელისუფლო შტოებშიც და „დიდი“ ბიზნესმენებიც გახდნენ, თუნდაც „ზარალები“, გიორგი და დიმა რამიშვილები, ძმები გეგენავები, მაგრამ, რატომღაც, მათი კრიმინალური წარსული, ისევე როგორც ძმები რურუების, ახალ ხელისუფლებასაც არ ახსენდება. ხშირად მოგვისმენია, რომ კულტურის ექსმინისტრ ნიკა რურუას საკუთარი „ზონდერკამანდა“ ჰყავსო. ასე რომ, ნაციონალებს არც ფული აკლიათ და არც „გამოცდილება“ არეულობის გამოსაწვევად.

„საერთო გაზეთი“ ადრეც წერდა, რომ ზონდერთა დიდი კონტიგენტი დევნილთა ჩასახლებებში ცხოვრობს. წეროვანისა და თეთრიწყაროს რაიონის სოფელ კოდაში მდებარე ჩასახლებებში უამრავი ზონდერია, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ, როგორც 26 მაისის, ისე „ქართული ოცნების“ აქციების დარბევაში. წეროვანელ ზონდერებს ნაცხელისუფლებამ 400-ლარიანი ხელფასები დაუნიშნა, აქციის დარბევის შემთხვევაში კი ამავე ოდენობის პრემიებსაც აძლევდნენ. გორში, „ვერხვების“ დევნილთა ჩასახლებაში, მოსახლეობასთან შესახვედრად მისულ კახი კალაძეს სწორედ წეროვნიდან წაყვანილი ზონდერები დახვდნენ და შეხვედრა ჩაუშალეს. ერთ-ერთ დამრბევს, რომელიც დევნილი არ არის, გორელია, მაგრამ რატომღაც წეროვანის გეტოში ცხოვრობს, მცხეთელები ხშირად ხედავენ თავისუფლად მოსიარულეს, მაგრამ პოლიცია მისი პერსონით, თურმე, არ ინტერესდება. ეს ახალგაზრდა თურმე თავს „სახალხო კრების“ წევრად ასაღებს, მცხეთელებს ის არაერთხელ უნახავთ „ქართული ოცნების“ აქციებზეც. სავარაუდოდ, ეს „მარბიელი“ ინფორმაციის მოსაპოვებლად და „არასაიმედო“ პირების დასაფიქსირებლად იყო მისული, მერე პოლიციაში რომ დაებეზღებინა. წეროვანის გეტოში მცხოვრები ზონდერების უშუალო ხელმძღვანელი თავის დროზე ახალგორის მაშინდელი გამგებელი ზურაბ ფიცხელაური ყოფილა, თუმცა ვერ გავარკვიეთ, დღესაც თუ იკავებს ბატონი ფიცხელაური ამ პოსტს.

მცხეთაში, თურმე, ზონდერჯგუფის ფუნქციებს სამხარეო სამაშველო სამსახური ითავსებს, რომელსაც გია აბუაშვილი ხელმძღვანელობს. როგორც კი დაიწყო ზონდერჯგუფების შექმნა, აბუაშვილი იმ პერიოდიდანაა ამ საქმეში ჩართული. იგი ჩოჩელის გუბერნატორის პოსტზე დანიშვნისთანავე გამხდარა ხსენებული სამსახურის უფროსი და დღესაც „ბრწყინვალედ“ ასრულებს ამ მოვალეობას. აბუაშვილმა კუნთმაგარი ბიჭები აიყვანა სამსახურში და დედაქალაქში (ალბათ, სხვაგანაც) გამართული ყველა აქციის დარბევაში მათთან ერთად მონაწილეობდა. ახალ ხელისუფლებას კი უნდოდა მისი თანამდებობიდან გაშვება, მაგრამ ეს სამსახური გუბერნატორის უშუალო დაქვემდებარებაშია და მის „დამსახურებულ“ უფროსს ქალბატონი ოჩიაური ასე ადვილად არ შეელევა. აბუაშვილი და მისი „კამანდა“ ახლა კი არიან გაყურსულები, მაგრამ, ალბათ, ხელსაყრელ დროს ელოდებიან, როდის იყო, მგელი მგლობას იშლიდაო.

სამაჩაბლოდან დევნილი ზონდერების უსტაბაში ბადრი ბასიშვილიც დღემდე ხელშეუხებელია. არადა, „ვერხვებსა“ და გორის რაიონის სოფელ მერეთში მოწყობილ დარბევებში მისი ხელქვეითები განსაკუთრებით აქტიურობდნენ. ეს ზონდერები მერეთში მარტო მამაკაცებს კი არა, ქალებს, ბავშვებს და მოხუცებსაც სასტიკად გაუსწორდნენ.

ბასიშვილს თავის „კამანდაში“ ქალებიც ჰყოლია. ეტყობა, მათი წევრია მედლოლისა და შეთავსებით პარლამენტარის გოგა ხაჩიძის სიდედრიც. გორელების თქმით, „ვერხვების“ აქციის დარბევის დროს, როცა კალაძესა და მის თანმხლებთ ქვები დაუშინეს და ლურსმნიანი ფიცრებით გაუსწორდნენ, ყველაზე აქტიურად „მებრძოლი“ ქალბატონი ხაჩიძის სიდედრი იყო. სხვათა შორის, ამ ინციდენტში მონაწილე ზონდერების ვინაობა, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა დაასახელეს. ბასიშვილთან ერთად იქ გიგლა გოჩაშვილი, ვანო მიდოდაშვილი, ბესო კახნიაური და ლევან მაისურაძეც იყვნენო. რა ბედი ეწია შემდგომ ამ ხალხს არავინ იცის, სავარაუდოდ, არც ისინი დაუსჯიათ. ბასიშვილის ზონდერებს აქტიური მონაწილეობა 7 ნოემბრის აქციების დარბევაშიც მიუღიათ. იმ პერიოდში ბადრი ბასიშვილი, მეტსახელად „ნარკუშა“, ლიახვის ხეობის მაჟორიტარი დეპუტატი გახლდათ. ამ საეჭვო რეპუტაციის მქონე ადამიანს ნაციონალებმა პარლამენტარის მანდატი უბოძეს და ცხადია, მას ვალი უნდა გადაეხადა. მაშინ ბასიშვილი მცირე კალიბრის „ატამანი“ იყო, მის ზონდერდაჯგუფებას გაცილებით ორგანიზებული სახე აგვისტოს ომის შემდეგ მიუღია. ეს არც არის გასაკვირი, საკუთარი მიწა-წყლიდან აყრილი, ულუკმაპუროდ დარჩენილი ადამიანები უფრო ადვილი სამართავები არიან.

გავრცელებული ინფორმაციით, ბასიშვილს ვანო მერაბიშვილმა და ახალაიებმა დაავალეს ცხინვალის რეგიონიდან დევნილი კუნთმაგარი ბიჭების შემადგენლობით ზონდერბრიგადები შეექმნა, რასაც მან პირნათლად გაართვა თავი. ამ დაჯგუფების წევრები, 8 თებერვალს საჯარო ბიბლიოთეკასთანაც ყოფილან მობილიზებული არეულობის მოსაწყობად, მაგრამ მაშინ პოლიციამ იმარჯვა და ზრახვები ჩაუშალა. კუნთმაგარი ბიჭები მრავლად იყვნენ ფინანსური პოლიციის შენობასთანაც იმ დროს, როცა ამ უწყებას დედაქალაქის მერისთვის ბრალდება უნდა წაეყენებინა. ოღონდ ისინი უგულავას მხარდამჭერებს არ შეერთებიან, უნივერსიტეტის ქუჩაზე იდგნენ ძვირადღირებულ ავტომანქანებთან. სიტუაციას შორიდან აკვირდებოდნენ და ეტყობა, მოწოდებას ელოდნენ, მაგრამ პოლიციელთა სიმრავლემ და მობილიზებულობამ გუნება წაუხდინა. რომელ დაჯგუფებას ეკუთვნოდა ეს ხალხი, ვერ გეტყვით, მაგრამ „რიგითი მოკვდავნი“ რომ არ იყვნენ, აშკარად ეტყობოდათ.

მერეთის სისხლიან ინციდენტში ზონდერების გარდა გორის საგანგებო სიტუაციების სამსახურის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. ეს სამსახური, ამ ინციდენტამდე არცთუ ისე დიდი ხნის წინ გადასულა შსს-ს დაქვემდებარებაში. ზონდერებმა იფიქრეს, რომ საკუთარი ძალებით ვერ გაუმკლავდებოდნენ აქციის მონაწილეებს, ამიტომ დახმარება შსს-სგან ითხოვესო. ამ დარბევის დროს განსაკუთრებით აქტიურობდა გორის საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსი კახა ლომიძე. რჩება თუ არა, ისევ ლომიძე თანამდებობაზე, ან თუ დადგა მისი სისხლის სამართლებრივი პასუხიმგებლობის საკითხი, ვერაფერს გეტყვით. ამ სასტიკ ანგარიშსწორებაში ასევე მონაწილეობდნენ ყოფილი მოჭიდავე, შემდგომში გორის გამგეობის თანამშრომელი ბაჩო პავლიაშვილი, ნაცმოძრაობის კოორდინატორი ლევან ბიძინაშვილი, ყოფილი პოლიციელი და იმხანად სამაშველო სამსახურის თანამშრომელი ელდარ ელბაქიძე, მოკრივე სოლომონ გაბომე და ა.შ. საერთოდ, აქციების დარბევაში აქტიურად მონაწილეობდნენ ყოფილი და მოქმედი სპორტსმენები. მერეთის ინციდენტისას ისინი კახა ლომიძისგან იღებდნენ მითითებებს. ასეთი მითითების მიმცემები ნაციონალებს მრავლად მოეძევებოდათ და ალბათ, ახლაც ეყოლებათ.

სანდო წყაროს განცხადებით, ეს ზონდერბრიგადები ძირითადად, ახალაიებისა და მეგის ქარდავას დაქვემდებარებაში იყვნენ, ხელფასს ისინი უხდიდნენ. სააკაშვილი, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, პოლიციას აღარ ენდობოდა და ბინძური საქმეების საკეთებლად ზონდერებს აგზავნიდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ დაჯგუფებებში ყოფილი და მოქმედი სპორტსმენები მრავლად იყვნენ, ოღონდ უფრო ძალისმიერი სპორტის წარმომადგენლები, თუმცა მოჭიდავეები ნაკლებად ყოფილან. უფრო კიკბოქსინგელები, წესების გარეშე მებრძოლები და შტანგისტები იყვნენო და ალბათ, დღესაც არიან. ზოგი მათგანი იძულებით იყო იქ მისული და დარბევების დროსაც არ აქტიურობდნენ, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც სიამოვნებით ღებულობდნენ მონაწილეობას ხალხის ცემა-ტყეპაში. ამ კატეგორიის ხალხი შეიძლება, რეგიონებშიც ჰყავდათ, მაგრამ ძირითადად, დედაქალაქში იყვნენ თავმოყრილი, რადგან ყველაზე მაღალი პოლიტიკური აქტივობა ყოველთვის აქ იყო. ამ სპორტსმენთა დიდი ნაწილი წარმოშობით რაიონებიდანაა. ყველა მათგანს უნდოდა დედაქალაქში ბინა, ძვირადღირებული ავტომანქანები და კარგი ცხოვრება, ამით ისარგებლეს ნაციონალებმა და ასე გარყვნეს და ყოველგვარ სიბინძურეზე წამსვლელად აქციეს სუსტი ნებისყოფის სპორტსმენებიო. წყაროს თქმით, ეს ხალხი ახლა არსად ჩანს. დღეს თუ არაფერს აშავებენ, პოლიცია მათ ვერ შეედავება, მაგრამ თუ იგივე გააგრძელეს, სამართალდამცავებს ნამდვილად შესწევთ იმის უნარი, რომ წესრიგი დაამყარონ, დამნაშავეებს კი საკადრისი მიუზღონ. პოლიცია ახლა სრულიად აპოლიტიკურია, ნურავის ეგონება, რომ ვინმე ნაციონალებს მისტირის, პოლიციელები დანაშაულის ჩადენას არავის აპატიებენ. სანქცირებული აქციის დარბევას არავინ აპირებს, მაგრამ თუ ვინმე არეულობას გეგმავს, კანონის ფარგლებში ყველაფერს გააკეთებს, ქაოსის აღსაკვეთად.


ბადრი ბასიშვილი





კახა ლომიძე



ბაჩო პავლიაშვილი



ლევან ბიძინაშვილი

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

უცხოური პრესის მიხედვით

# 2012 წლის კავკასიური პოლიტიკის გაკვეთილები

**შესაძლებელია კი, შეაკეთო სახლი, რომლის საძირკველს ხალხი გამუდმებით არყევს? ამ კითხვაზე პასუხი მოსაძებნი აქვთ პუტინის რუსეთს და სამხრეთ კავკასიის სამ რესპუბლიკას – საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს. თითოეულ მათგანში მმართველმა რეჟიმებმა თითქოს გაიმყარეს თავიანთი პოზიციები, მაგრამ ხალხის საპროტესტო განწყობილებებს კვლავ აწყდებიან.**



1990-იან წლებში სამივე ქვეყანამ გადაიტანა მასობრივი პოლიტიკური უწესრიგობანი და რყევები. ბოლო პერიოდში შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ხალხმა კოლექტიური საზოგადოებრივი ძალისხმევის მიმართ რწმენა დაკარგა და უმნიშვნელო სტაბილურობის გამო იძულებული იყო, ნებისმიერ მმართველს შეჰგუებოდა.

საქართველოს პრეზიდენტმა სააკაშვილმა დათმო თავისი უფლებამოსილებების უმეტესობა, როცა შარშანდელი ოქტომბრის არჩევნები მისთვის მოულოდნელი შედეგებით დასრულდა. ახლა იგი პოლიტიკურ ბრძოლას სისტემის შიგნით აგრძელებს.

სომხეთში 18 თებერვალს გამართულ არჩევნებში მოქმედმა პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა ხმათა 59 პროცენტით გაიმარჯვა, 37 პროცენტი დააგროვა ოპოზიციურმა კანდიდატმა რაფი ოვანისიანმა, სომხეთის პირველმა საგარეო საქმეთა მინისტრმა.

ხალხის უკმაყოფილებამ დააგვიანა, ვერ მოახდინა ზეგავლენა არჩევნების შედეგებზე, თორემ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურიც შეიძლებოდა დანიშნულიყო. ამასთან, ახალარჩეულ პრეზიდენტს გამარჯვება ამერიკის პრეზიდენტმაც მიულოცა.

სომხეთში არაერთი პრობლემაა, რომლებიც ხელს უშლის ქვეყნის დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას. მაგალითად, მასმედიას სახელმწიფო სრულად და მკაცრად აკონტროლებს, ადგილობრივი მოხელეები არა სახელმწიფოს, არამედ მცირერიცხოვან მმართველ ელიტას ემსახურებიან. ეუთოს მისიის წარმომადგენლობა აცხადებს, რომ სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის სხვაობა წაშლილია.

შარშანდელი წლის კავკასიური პოლიტიკის გაკვეთილი ის არის, რომ საზოგადოებრივი აზრი ტალღისებურად ვლინდება ხოლმე და მას მონოლითურობა აკლია. ქვეყნის მოქმედი ხელისუფალი ლოიალურობითა და თითქოს ავტორიტეტითაც სარგებლობს, მაგრამ როგორც კი ძალაუფლება რყევას იწყებს, ამ ტალღას მისი წალეკვა შეუძლია. სწორედ ასე მოხდა შარშან შემოდგომაზე საქართველოში, მაგრამ იგივე არ განმეორებულა სომხეთსა და რუსეთში.

აზერბაიჯანი სამხრეთ კავკასიის ყველაზე მდიდარი და იმავდროულად, ყველაზე ნაკლებად დემოკრატიული სახელმწიფოა: ბოლო ათწლეულში, ილჰამ ალიევის პრეზიდენტობისას სისტემური ოპოზიცია ფაქტობრივად გაქრა. მართალია, არსებული ოპოზიციური პარტიები ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე ზეგავლენას ვერ ახდენენ, მაგრამ ალიევს ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომი, ანუ მესამე საპრეზიდენტო ვადა მშვიდი ნამდვილად არ ექნება.

საქართველოს შემხედვარე ბევრ სომეხი, აზერბაიჯანელი და რუსი დემოკრატიის ცუდ რეკლამას ხედავენ. შარშან ოქტომბერში ქართველებმა ისტორიული არჩევნები ჩაატარეს, რომლის დროსაც მმართველი პარტია პირველად დამარცხდა და მართვის სადავეები ოპოზიციას გადაეცა. მას შემდეგ ქვეყანა ძალაუფლების ავადმყოფური სიმბიოზის მდგომარეობაშია. ერთ მხარეს ივანიშვილის მთავრობაა, მეორე მხარეს – პრეზიდენტი სააკაშვილი, რომლის უფლებამოსილების ვადა ოქტომბერში იწურება. ყოველდღიურად ესა თუ ის პოლიტიკური მელოდრამა თამაშდება, რომლებიც ეხება კონსტიტუციას, ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავებას და პრეზიდენტის გამოსვლამდე ქუჩაში შეხლა-შემოხლას.

ქვეყანაში განწყობა არც ისეთი ტურბულენტურია, როგორიც ერთი შეხედვით ჩანს. ხელისუფლების დაბალ დონეზე ბევრი რამ ძველებურად არის. იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა, რომელიც კარგ შთაბეჭდილებას ახდენს, მითხრა, რომ თანამშრომელთა 98 პროცენტი შეინარჩუნა. სააკაშვილის პარტიის ელიტა ქედმაღალი იყო, არავის წინაშე ვალდებულებას არ გრძნობდა და თავის უფლებამოსილებას სულ უფრო ხშირად ბოროტად იყენებდა. სწორედ ამიტომაც ქართველები ცვლილებებისთვის მზად აღმოჩნდნენ. ახალმა მთავრობამ ჯერჯერობით თავი ვერ გაართვა დახვავებულ პრობლემებს, ეკონომიკაც სუსტად ვითარდება, მაგრამ ხელისუფლების ცვლილება შესაძლებელს ხდის, მოაგვაროს უამრავი პრობლემა, როგორებიცაა სადამსჯელო სასამართლო სისტემა, დაფარული მონოპოლიები, აგრეთვე სოფლის მეურნების სავალალო მდგომარეობა.

საქართველოშიც ისეთივე ნაკლოვანებებია, როგორებიც პოსტსაბჭოთა სამეზობლოში: ეს არის შეკავებისა და გაწონასწორების (დაბალანსების) სისტემის უქონლობა. ამ დარგში ივანიშვილს შეუძლია სადავეების მართვა, შეცდომების თავიდან აცილება... საქართველო ახალ გზაზე წარმატებებს მიაღწევს.

ივანიშვილს ურჩევნია, ზოგიერთ საკითხს საერთოდ არ შეეხოს. მაგალითად, კარგი იქნება, თუკი არ ჩაერევა ქართული ტელეარხების მუშაობაში. არჩევნების შემდეგ ისინი მაყურებელს მრავალფეროვან პროგრამებს სთავაზობენ. თუ ივანIივილი თავის გეგმებს ხორცს შეასხამს და ადგილობრივი ხელისუფლების გარდაქმნას მოახერხებს, ჩამოაყალიბებს 300 მუნიციპალიტეტს და ადგილებზე მართლაც ნამდვილ დემოკრატიას დაამყარებს, ეს იქნება მძლავრი შეტევა ცენტრალურ ხელისუფლებაზე თბილისში, სადაც პატრიარქალური წესები მეფობს.

ჯერ კიდევ მყიფე ქართულ დემოკრატიას ყველაზე დიდი გამოცდის ჩაბარება მოუწევს ოქტომბერში – საპრეზიდენტო არჩევნების დროს. ახალი პრეზიდენტი იქნება ქვეყნის მეთაური, მაგრამ შეზღუდული უფლებებით. შესაძლოა, იგი პრემიერ-მინისტრის საპირწონეც გახდეს. ვის აირჩევს კანდიდატად ივანიშვილი – ძლიერსა და დამოუკიდებელს თუ ხალხისთვის ნაკლებად ცნობილს – ეს კიდევ ერთი მაჩვენებელი იქნება იმისა, თუ რამდენად ჯანსაღია ქართული დემოკრატია.

საქართველო ცდილობს ფეხი აუწყოს გარდაქმნებს. მეზობელი ქვეყნების ლიდერები, სავარაუდოდ, მყარ დასაყრდენს ეძებენ; ამიტომაც უჯობთ, დაფიქრდნენ იმაზე, რომ საქართველოს პრობლემების დიდი ნაწილი მათ მომავალში გადასალახი ექნებათ.

**თომას დე ვაალი**
**(იბეჭდება შემოკლებით)**
**inosmi.ru**

**საქართველოს პარლამენტმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია „საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ“, რომლითაც დაადასტურა ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანების კურსის მემკვიდრეობითობა. უფრო მეტიც – დოკუმენტში არის მუხლი, რომელიც არსობრივად საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას გამორიცხავს.**

ამ რეზოლუციას კენჭი გასულ კვირაში უყარეს და მას მხარი სხდომაზე დამსწრე 96-ივე დეპუტატმა დაუჭირა. ეს იყო გამონაკლისი ერთსულოვნება, რაც პრემიერ-მინისტრის კოალიცია „ქართულ ოცნებასა“ და პრეზიდენტის „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ადრე არ გამოსდიოდათ.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის ამოცანად სახელდება „მისი უსაფრთხოების შექმნა; დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვა; ტერიტორიის დეოკუპაცია და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში“. რეზოლუციაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული საქართველოს სწრაფვა, გახდეს ნატო-ს და ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი.

რეზოლუციაში ამერიკის შეერთებული შტატები მოხსენიებულია „სტრატეგიულ პარტნიორად“, რომელთანაც „ურთიერთობა სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის (2008 წ.) შესაბამისად განვითარდება“. ეს თანამშრომლობა მოიცავს „თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებს – საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას და ნატო-ში შესასვლელად მომზადებას.

19-პუნქტიან დოკუმენტში რუსეთი პირდაპირ თუ ირიბად სამჯერ არის ნახსენები. თბილისი მოსკოვთან დიალოგს გამართავს „კონფლიქტის მოგვარების მიზნით, კეთილმეზობლური ურთიერთობების დასამყარებლად და განსავითარებლად“. დოკუმენტის თანახმად, ეს პროცესი, სავარაუდოდ, „ჟენევის საერთაშორისო მექანიზმებისა და ორმხრივი ფორმატის“ ფარგლებში წარიმართება. რეზოლუციაში არის ჩანაწერი, რომლის თანახმადაც, „საქართველო, ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერსებისა და ჰელსინკის შეთანხმების პრინციპების შესაბამისად, ხელს შეუწყობს აშშ-ს, ევროკავშირისა და რუსეთის პოზიციების დაახლოებას სამხრეთ კავკასიაში“.



# განაჩენი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისთვის თუ შუალედური რეზოლუცია?

ყველაზე მთავარი – რეზოლუცია, ფაქტობრივად, კრძალავს დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას რუსეთთან და იმ სამხედრო-პოლიტიკურ ან საბაჟო გაერთიანებებში შესვლას, რომლის წევრებმაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარეს.

ექსპერტთა დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ რეზოლუციამ განაჩენი გამოუტანა რუსულ-ქართული ურთიერთობის მოგვარების პერსპექტივას, რაც ბიძინა ივანიშვილმა თავის ერთ-ერთ პრიორიტეტად აღიარა.

მმართველი კოალიცია ურჩევს ექსპერტებს, ამ დოკუმენტს მაინცდამაინც დიდ ყურადღებას ნუ მიაქცევენ. იგი ხელს ვერ შეუშლის რუსეთთან კულტურული და ეკონომიკური კავშირების აღდგენას, დღესდღეობით კი, ახლანდელი პოლიტიკური და სამხედრო პირობების გათვალისწინებით, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა ისედაც შეუძლებელია.

**rosbalt.ru**

# ქართულ არმიას ჯავშანჟილეტები და საწვავი აღარ აქვს

**თბილისის სიახლოვეს, ვაზიანში, რუსეთის ყოფილ სამხედრო ბაზაზე, გუშინ დაიწყო და 5 აპრილამდე გასტანს ამერიკის შეერთებული შტატების 400 ფეხოსნისა და საქართველოს სამხედროების ერთობლივი სწავლება, რომელიც ხელისუფლების ცვლის შემდეგ პირველად იმართება.**



ამერიკელებთან სწავლების დაწყებამდე გაირკვა, რომ ქართველ სამხედროებს არ გააჩნიათ ჯავშანჟილეტები და საწვავი. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, არმიამ 35 ათასი ლიტრი ბენზინი და დიზელის საწვავი 2012 წლის ოქტომბრის წინასაარჩევნო პერიოდში მიხეილ სააკაშვილის პარტიას „საჩუქრად გადასცა“ თავისი მომხრეების მიტინგებზე მისაყვანად. ბრძანებებს იძლეოდა გაერთიანებული შტაბი. თავდაცვის ყოფილი მინისტრი, რომელიც არჩევნების შემდეგ საქართველოდან წავიდა, ამ დღეებში დაბრუნდა და მზად არის, გამოძიებას ამ აფერის შესახებ დაწვრილებით უამბოს.

პროკურატურა უკვე იძიებს 2009 წელს უკრაინაში 1.65 მილიონ დოლარად შეძენილი სამი ათასი უხარისხო ჯავშანჟილეტის (პისტოლეტისა და ავტომატის ტყვიებს ატარებს) ყიდვის ფაქტსაც. იმ დროს სამხედრო უწყებას ხელმძღვანელობდა ბაჩო ახალაია, რომლის წინააღმდეგაც არსებული ბრალდებები ჯამში 23 წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გრძელდება გამოძიება აგრეთვე „კალაშნიკოვის“ ავტომატების დიდი პარტიის შესყიდვის ფაქტზე – კონტრაქტით გადახდილია 25 მილიონი დოლარი, რაც ათჯერ აჭარბებს მის რეალურ ღირებულებას.

ქვეყნის მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის განცხადებით, გაფლანგულია „ასობით მილიონი“, რომლებიც სააკაშვილის მმართველობის დროს სამხედრო საჭიროებისთვის იყო გამოყოფილი.

ვიდრე გამოძიება დასრულდება, იმართება სამხედრო სწავლება სახელწოდებით „მებრძოლი სული“, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს სამხედრო ძალების ნატოს სტანდარტებთან შესაბამისობას.

**izvestia.ru**

**მიმოხილვა მოამზადა**
**გ. ჭავჭავაძემ.**



# რატომ იყო დაინტერესებული ჰიტლერი საქართველოთი და რა საიდუმლოება ეგულებოდა მას ჩვენი ქვეყნის მიწისქვეშეთში?

ჰიტლერის მისტიკით გატაცება ცნობილია, — იგი ბუნების იდუმალ ძალებთან კავშირს ესწრაფვოდა და არ იშურებდა არაფერს, ოღონდ მიეღწია ამ კავშირისთვის, მარადიული ახალგაზრდობის ელექსირისთვის და ა. შ მას გარს ეხვია მაგთა დასტა, რომლებიც მისტიკურ სფეროებზე მუშაობდნენ. ისტორიული ფაქტებია, რომ იგი ისეთი ალტყინებით ყვებოდა რაღაც იდუმალ ქალაქზე, რომელიც მიწისქვეშეთში ქვეყნის უზენაესი მბრძანებლის გამგებლობის ქვეშ, რომ დუჟმომდგარს გონება ეკარგებოდა. იგი კონკრეტულად ვერ ან არ ასახელებდა იდუმალი ქალაქის ადგილს, მაგრამ, სავარაუდოდ, კავკასიას ახსენებდა, ჰიმალაის მთებს და ტიბეტის მთიანეთს, მაგრამ ყველა შემთხვევაში მიწისქვეშეთს მთებში.

ამას იმდენად დადასტურებულად კარნახობდნენ მაგები, რომ „ღრუ დედამიწის“ თეორიაც კი შეიქმნა და ჰიტლერის თანამედროვე ასტროლოგები სიკვდილის მუქარით აიძულებდნენ პროფესორებს ამ ახალი „თეორიის“ გაზიარებას. ჰიტლერს იმდენად სჯეროდა მისტიკური ამბების, რომ „ფაუ-2-ის“ წარმოებაც კი შეაჩერა დროებით, რათა „მარადიული ყინულის სამეფოს“ განრისხება არ გამოეწვია.

ბაქოს ნავთობისკენ გეზმიმართული ჰიტლერი გენერალური კომისრის რეზიდენციად, ისევე როგორც კავკასიის რაიჰსკომისრისა (ოტო ოლენდორფი) თბილისს ასახელებდა, ბაქო მხოლოდ ნავთობის ვებერთელა რეზერვუარად მოიაზრებოდა, თბილისი, ანუ საქართველო? — ისევ პასუხგაუცემელი დარჩა საქართველოსადმი ინტერესი.

თვით ნიურნბერგის პროცესზეც კი წამოტივტივდა ცალკე საკითხად კავკასია, — გერინგის დამცველმა დოქტორმა შტაიმერმა სულ ისტორიული საარქივო მასალები აფრიალა ინგლისელი და ფრანგი მოსამართლეების ცხვირწინ, ჩვენზე ადრე თქვენ გქონდათ კავკასიის დაპყრობის გეგმაო. ნამდვილად არ ცრუობდა შტაიმერი...

ისტორიული დოკუმენტია როზენბერგის მიწერილი წერილიც ჰიტლერისადმი, ბრიტანელებისთვის კავკასიის ზონას ბევრად მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მთელ უკრაინასო.

ფიურერი ყოველთვის ხაზს უსვამდა, რომ იარაღის ტარების უფლება მხოლოდ გერმანელს უნდა ჰქონოდა, თუმცა არნო შიკედანცის (ის იყო დანიშნული ჩვენს „უფროსად“) ანგარიშში გამოკვეთილად ეწერა, რომ, სხვა ხალხებისგან განსხვავებით, კავკასიელებისთვის, პირველ ხანებში მაინც, უფლება უნდა მიეცათ ცივი იარაღის ტარების, რადგან ეს (ხმალი, ხანჯალი) თავისუფლების სიმბოლოდ მიაჩნიათო; ასევე, ნება უნდა მივცეთ, რომ ეროვნული სამოსიც ჩაიცვან, თავიანთი წეს-ჩვეულებები შეასრულონ, შეინარჩუნონ საკუთარი ენა და ეროვნული სიმღერებიო (ვინაიდან, ქართული ენა კოდირებულია და მასში ჩადებულია საიდუმლოების გასაღებიო). ამას თავის შუამდგომლობასაც ურთავდა პოლიციისთვის ეროვნული ფორმის შენარჩუნების თაობაზე და უმთავრესი, კონკრეტულად თბილისში ერთი უმაღლესი სასწავლებლის დატოვებაზე. შიკედანცი წერდა, როგორმე შევაგნებინოთ კავკასიელებს, რომ მათთან ისე არ მოვიქცევით, როგორც რუსეთსა და უკრაინაშიო. მოდი და, გაიგე, ახლა, რა იქნებოდა, საბჭოთა კავშირს რომ არ გაემარჯვა სამამულო ომში, მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს ამგვარი დამოკიდებულება ფაშისტების მხრიდან ზოგადად კავკასიის კი არა, კონკრეტულად, საქართველოს მიმართ?

რაგინდ ვიძახოთ კანარისის დივიზიის ფარგლებში შემავალი სამხედრო ტყვეებით შექმნილი „თამარ-1“, „თამარ-2“, „მთიელი“ და „ბულბული“, ფაქტი ფაქტად დარჩა, საქართველო 1917 წელს გერმანიამ იხსნა თურქეთისგან, მერე კი თითქმის მთელი ევროპის გადამბუგველი ლამის აღთქმას დებდა საქართველოს ხელუხლებლობის შესახებ. (ამასვე იმეორებდნენ ემიგრაციაში მყოფი ფაშისტურ წრეებთან დაახლოებული ქართველი მენშევიკები. ამისი სჯეროდათ იმ ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრებსაც, რომლებიც საქართველოში სხვადასხვა ორგანიზაციებში წევრიანდებოდნენ საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ).



მოკლედ, ეჭვი გამიჩნდა, რომ საქართველოს სიღრმისეულ გეოგრაფიულ ტერიტორიაში ჩადებულია უდიდესი საიდუმლო და ეს იცოდა ჰიტლერმა. იქნებ ეს იყო გერმანელების ინტერესი და ეს საიდუმლო იცის საქართველოს ყველა ისტორიულმა მტერმა? იქნებ ეს არის ახალდროების „ოქროს საწმისი?“

მე არც ჩინელების საქართველოთი დაინტერესება მიმაჩნია შემთხვევითობად, — უძველესი ერია, თავიანთი ბევრი საიდუმლო აქვთ და იციან სხვებზეც. მეორედ მოსვლა ახლოვდება და იქნებ იმ ადგილისკენ მოდიან, რომელიც უნდა გადარჩეს; ისიც მახსოვს, სუხიშვილების ანსამბლს იაპონიაში რომ ჰქონდა გასტროლები, რომელიღაც ქართულმა ცეკვამ აღაშფოთა დარბაზში დამსწრე სწავლული იაპონელი, ეს საკრალური მოძრაობებია, ამის საქვეყნოდ ჩვენება როგორ შეიძლებაო; მსოფლიოს ხალხთა ზღაპრებში სადმე თუ შეგხვედრიათ ის უცვლელი სიუჟეტი, რომ მიწისქვეშეთში მიჰყავს ფასკუნჯს უფლისწული... მოკლედ, ბევრი რამ გამახსენდა ჰიტლერის „ღრუ დედამიწის“ გადამკიდეს და უპირველესად ჩვენი ნუნისი, ბალნეოლოგიური კურორტი ხარაგაულის მთებში — ვეშაპის მუცელში. ჰიტლერს მასხრად იგდებდნენ „ღრუ დედამიწის თეორიის“ გამო, მაგრამ მერე მილიონობით მიმდევარი გამოუჩნდა მსოფლიოში.

ნუნისში ასულმა ადგილობრივ მცხოვრებლებთან საუბრისას გავიგე, რომ გადმოცემის მიხედვით, იქ, მთებში, პატარა ქვაბულში 12 ბერი სახლობდა, რომელთაც არანაირი კონტაქტი არ ჰქონდა მოსახლეობასთან. გადმოცემამ არ შემოინახა ინფორმაცია, საიდან გაჩნდნენ ბერები იქ, მაგრამ ერთ დღეს მწყემსმა აღმოაჩინა, რომ ბერებმა ცოცხლად დაიმარხეს თავი ქვაბულში და თავი ამოიგმანეს იმ ლოდით, რომელზეც მოგახსენეთ. მას შემდეგ იმ დღემდე (20 წლის წინანდელ დღეზე ვამბობ), ღამით, არცთუ იშვიათად, თუ ლოდზე ყურს მიადებ, მიწის სიღრმიდან მხიარულების ხმა მოისმის, ლოდის მიღმიდან მამაკაცები მღერიან...

ნუნისი კიდევ ერთხელ მაშინ გამახსენდა, როცა გავიგე, რომ ედუარდ შევარდნაძეს („ვარდების რევოლუციამდე“ ცოტა ხნით ადრე, „ახალგაზრდა რეფორმატორები“ ძალას რომ იკრებდნენ, დაახლოებით 1997-1998 წლები იქნებოდა) იჯარით გადაუცია ის ტერიტორია ბუნების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციისთვის. ორგანიზაცია გერმანული იყო ისევ გერმანია!

საქართველოში არაერთი ქვაბულია, რომლის პირდაპირი დანიშნულება დღეს უცნობია, მხოლოდ ვვარაუდობთ რაღაცებს, მაგრამ იქნებ ეს ჩვენმა გონიერმა წინაპარმა იმ დროს გამოთხარა, როცა ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე დავიწყებული კოსმიური ცოდნა-თქო ვფიქრობ ხოლმე ნუნისის ნახვის შემდეგ. ამ ეჭვს ისიც მიძლიერებს, რომ კლდეში „გამოთლილ“ ყველა ქვაბულს თუ გამოქვაბულს სასმელი წყლის საკითხი „მოგვარებული“ აქვს, არადა, „გამოცხადებაში“ წერია, რომ ციდან ჩამოვარდნილი დიდი ვარსკვლავი დავარდება მდინარეების მესამედ ნაწილზე და დიდძალი ხალხი დაიხოცება წყლებისგან, რადგან ისინი დამწარდებიან და სასმელად უვარგისი გახდებიან. თუ ჩვენმა წინაპარმა შთამომავლობისთვის არ გამოთხარა ამდენი ქვაბული და ის არ იყო საიდუმლო ცოდნის მფლობელი, რანაირად უნდა გაეთვალა, რომ წყალს აღმა დაეწყო დინება ქვაბულში? როგორ ადის ვარძიაში წყალი ქვემოდან ზემოთ? ნუნისში, ქვის ვეშაპის ზემოთ ჰაერია, ქვემოთ — სიცარიელე, შიგ ვეშაპში კი სასმელი წყალი ჟონავს. საიდან? — ალბათ, წარსულიდან...

ნუნისის ბალნეოლოგიურ სამკურნალო დაწესებულებაში ახლა რა ხდება, არ ვიცი, მაგრამ საბჭოთა პერიოდში გამართულად მუშაობდა და მისწრება იყო კანის დაავადებებით შეწუხებული ადამიანებისთვის. ნუნისის ზეციური ველით დამუხტული წყალი შველოდა პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებებსა და სისხლნაკლულობასაც.

ზეციური ველით დამუხტული წყალი ძალზე უგემურია, მაგრამ, ნახეთ, პირველი წამალია დაწყლულებული კანისა, რაც უპირველესი თანმდევია რადიაციული დასხივებისა. იგივე თვისებების წყალი, ნუნისის გარდა, საქართველოში სხვაგანაც არის და მრავლად (რადგან არ ვიცი, შეიძლება თუ არა მათი დასახელება ამ ეტაპზე, თავს შევიკავებ) ისევ ქართული ზღაპრები მახსნედება, კვლავ წყალთან დაკავშირებული. ქართულ ზღაპრებში ხომ უკვდავების წყალს დაეძებენ ზღაპრის გმირები...

ვიცით, რომ ბიბლიური წინაპრები, წინასწარმეტყველები ათას წელზე მეტ ხანსაც ცოცხლობდნენ. იქნებ მათ სწორედ ზეციური ველით დამუხტული წყლების ადგილმდებარეობა და მათი საიდუმლო თვისებები იცოდნენ, მისით იხანგრძლივებდნენ სიცოცხლეს?

ისევ გერმანია და ჰიტლერს დავუბრუნდეთ, საიდან მოიგონეს მისმა ასტროლოგებმა „ღრუ დედამიწის თეორია“, რა მიწისქვეშა ქალაქის შესახებ „ბოდავდა“ ბნედამორეული ფიურერი, რატომ სჯეროდა ასე მტკიცედ მისი არსებობა მიწისქვეშეთში და არა ზეცაში, ქალაქისა, რომელსაც უზენაესი მართავს?

**მაია ჭელიძე**

**593 32 49 71**

## ნოდარ ხადური: ბიუჯეტში არანაირი პრობლემა არ არის

**საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა მთავრობის ახალი პროექტის „საქართველოს მთავრობა ღია მმართველობისთვის“ ფარგლებში ჟურნალისტებთა შეხვედრა გამართა და მათ სამინისტროს თებერვლის ანგარიში წარუდგინა.**



როგორც ნოდარ ხადურმა განაცხადა, ქვეყნის ბიუჯეტში პრობლემა არ არის და იანვარ–თებერვლის ნაერთი და სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები გადაჭარბებით სრულდება.

მინისტრის განმარტებით, იანვარ–თებერვალში ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებმა 780,1 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, 22,1 მილიონი ლარით აღემატება.

„იანვარ–თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების კუთხით მობილიზებულმა თანხამ 844 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 19,3 მილიონი ლარით აღემატება 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

2013 წლის თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებმა 395 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 10,9 მილიონი ლარით მეტია გასული წლის თებერვლის მაჩვენებელთან.

„იმედი მაქვს, რომ ჩვენი გეგმა, რომელის შესახებაც ნოემბრის არჩევნების შემდეგ ვსაუბრობდით, რომ 2013 წელს მშპ–ს ზრდა იქნებოდა 6 პროცენტი, წლის ბოლოს აღმოჩნდება პესიმისტური და ზრდა იქნება გაცილებით მაღალი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის, რაც იძლევა იმის გარანტიას, რომ ყველა დაპირება, რაც ბიუჯეტმა გაითვალისწინა, წლის ბოლოს იქნება შესრულებული“, — განაცხადა მინისტრმა.

მისივე თქმით, 2013 წლის თებერვალში საკონტროლო — სალარო აპარატებით ამორტყმული ჩეკების რაოდენობამ თითქმის 2 მილიონით გადააჭარბა გასული წლის თებერვლის მონაცემებს, ხოლო აღნიშნული ჩეკებით გადახდილი თანხის მოცულობა დაახლოებით, 150 მილიონი ლარით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ჯემალ დავლიანიძე

## „ცნობადი სახეები" და ევროამერიკული აზროვნება

# mwaregakveTilebi

## evroamerika, ruseTi da saqarTvelo

## ციკლიდან: ომი ბნელეთთან — რიცხვი მისი 666

დიახთ!

შუქი ავანთე, გზები გავიყვანე, შადრევნები ჩავადუღაბე, ანტენა გავაბრდღვიალე, ვინც ჩემსკენაა დიდი ხელფასები მივეცი, აბა მაშ, როგორ გინდათ?

ჰკივის სააკაშვილი და მისი მომხრეები ტაშფანდურს აჩაღებენ!

მასში ჰხედავენ მესიას! განა შემთხვევით მოხდა ვარდების რევოლუცია 23 ნოემბერს, - გიორგობა დღეს?

განა შემთხვევით ჩავიდა ქუთაისში და გელათის ტაძარში შემთხვევით დადო ფიცი? იქ ხომ დავით აღმაშენებლის საფლავთან მოხდა ყოველივე!

მერედა რა, რომ სააკაშვილმა არ იცის რა წააწერა დიდმა არსენ იყალთოელმა დავითის საფლავის ქვაზე?

სააკაშვილმა ფიციც დადო დავითის წინაშე, რომ აფხაზეთ-სამაჩაბლოს ძლევამოსილად დაიბრუნებდა! რომ იგი მეორე დიდგორს მოუწყობდა მტერს და ა.შ.

არც თუ დიდ მუშტებს იქნევდა! მტერს ემუქრებოდა და... მთელმა მსოფლიომ ნახა... 2008 წელს, მთელმა მსოფლიომ ნახა მასში ჩაბუდებული, ბალღობიდან გამოყოლილი სილაჩრე, მაგრამ... ქართველობის ტვინწყალწყალა ნაწილმა იგი ისევე გაამართლა, როგორც სოხუმში მუხლებზე დავარდნილი შევარდნაძე, რომელმაც მაშინ იყვირა: საქართველომ დაიჩოქაო!

აქაც ალოკეს ფურთხი! იქაც ალოკეს და ენთუზიაზმით იყვირეს: გავიმარჯვეთო! ერთდღიან ომში სააკაშვილს გაუმარჯვნია და ზოგიერთ ქართველს ეს ვერასგზით ვერ დაუნახავს!

ქართველობამ კიდეც დაიჯერა, რომ რუსეთმა რა იარაღიც გინდა გვესროლოს, ღმერთის შეწევნით, არაფერიც არ აფეთქდება და ჩვენ შეგვიძლია დაუბრკოლებლად შევებრძოლოთ, იერიშზე გადავიდეთ და გავიაროთ სოხუმი, გაგრა, ლესელიძე, ტუაფსე, ჯუბგა, კრასნოდარი, არმავირი და თქვენ წარმოიდგინეთ — როსტოვშიც კი მოვკალათდეთ! ეს აზრი ბატონებო, ჩემი საკუთარი ფანტაზიის ნაყოფი არ გეგონოთ. აგერ წყაროსაც მიგითითებთ: სამხედრო პირი (ან პოლკოვნიკი ან გენერალი) გიორგი თავდგირიძე (სამხედრო აკადემიის ყოფილი რექტორი), კახა კაციტაძე, - სამხედრო ექსპერტი და... აბა, ვინ არის მესამე? ოო! მესამეა ტელეკავკასიის მხედართუფროსი დავით აქუბარდია. ვისაც ყოველ ცისმარე დღეს დამშეული და მოტყუებული ქართველობა სატელევიზიო აჯა-ბარათებით სთხოვს: შენ უნდა იყო საქართველოს პრეზიდენტი, ერთადერთი შენ თუ გვიშველიო! მოფერებით „აქუ"საც უხმობენ და იგი, თავმდაბლობით „გაჟღენთილი" მოკრძალებით უარობს პრეზიდენტობას — ღმერთო დამიფარე, აქაც ჩინებულად ვგრძნობ თავსო.

ვისაც აინტერესებს, როდის და სად მოხდა ეს ამბავი, დაატრიალოს ტელეპროგრამა „კავკასიას" 2009 წლის 20 ნოემბრის გადაცემა, სადაც აქუბარდია, თავდგირიძე და კაციტაძე საუბრობენ ქართველთა უძლეველობაზე, სიმამაცეზე, თვით სამხედრო ძლიერებაზე, უამრავ მოგებულ ომებზე და ბოლოს ძალიან იამაყეს 2008 წლის 8 აგვისტოს რუსეთთან მოგებულ ომზე... თურმე, ქართველთა ჯარს უმოწყალოდ ჩაუხოცავს, გაუქცევია და დღეს, სხვათა შორის: საინტერესოცაა და აუცილებელიცაა, ქართველთა თავდაცვის ძალებმა, ხალხთან ერთად შეიმუშაოს საომარ მოქმედებათა გენერალური გეგმა, რითაც დაისახება აფხაზეთის, სოჭის, ტუაფსეს, კრასნოდარის გავლით როსტოვზე თავდასხმა და აღებაც... საამისოდ საჭიროა ერთბაშად შევუტიოთ რუსეთის ძალიან სუსტ, მშიერ, მოძველებული ტექნიკით და საომარი ინვენტარით აღჭურვილ არმიას და მთლიანად ავაწიოკოთ...

ერთდროულად, ჭკუათამყოფელი ქართველისათვის, ეს ამბავი საოცარიცაა და სატირალიც!

სააკაშვილმა მართლაც მოახერხა და დანერგა ევროამერიკელებისთვის სანუკვარი განათლების სისტემაც, სპეცმწერლობაც და სპეცჟურნალისტიკაც... უფრო ზუსტად — სააკაშვილმა ყველაფერს შეჰყარა თითქმის უკურნებელი სენი, ყველაფერი გაამრუდა: საქართველოს ისტორიიდან მოყოლებული, ჩვენი ტრადიციები თუ ადათ-წესებით დამთავრებული.

ადამიანთა გახრწნა-გადაგვარებაზე, ჩვენში, საქართველოში, როგორც შინ, ისე გარეთ მყოფი სპეცსამსახურები, სპეცფსიქოლოგები, სპეცინსტიტუტები, სპეცფონდები და სპეცბანკები მუშაობენ.

მოსახლეობა თავისივე ნებით გაფეტიშებულ საზოგადოების ე.წ. ცნობად სახეების (საძაგელი ტერმინია, მაგრამ ხომ არის ჩვენში დამკვიდრებულ-დანერგილი?!) ამარაა დარჩენილი. ეს უკანასკნელნი კი (მცირეოდენის გამოკლებით!) უზნეობის წუმპეში ნებივრობენ. მათი მთავარი საზრუნავი სიმყრალის ორმოდან თავის დაღწევა კი არა, არამედ ამ ნაგვის მორევში პირველობა გამხდარა!

პირველობაა მთავარი და ამ პირველობისათვის გაიწირა ყველაფერი! მათ შორის ყველაზე უძვირფასესი: მამული, ენა, სარწმუნოება!

სხვათა შორის, უნდა ვთქვა, რომ გაზეთ „ასავალ-დასავალის" ერთი თვალში მოსახვედრი რუბრიკა აქვს, რომელსაც „კვირგვინოსნები" ჰქვია!

ჩემდა და თქვენდა და იქნებ სხვათა თუ მრავალთა სამწუხაროდ, უნდა მოგახსენოთ, რომ ამ რუბრიკაში გამოჭიმული ადამიანების ფოტოები და მათი აზრები, პირადად მე, უხშირესად, ძალიან რბილად რომ ვთქვა — ირონიულ ღიმილს მგვრის...

რატომ? — ჩამესმის ყვირილი, თანაც მყისიერი (ეს სააკაშვილის სახელისუფლებო სიტყვაა, უფრო სპეცსიტყვაა და სათანადოდ გაჟღერებასთან ერთად, პარლამენტში დიდად გამოსაყენებელია!) ყვირილია!

რატომ ძმაო და, თითოეულ მათგანს ვიცნობ... ნეტამც არ ვიცნობდე, მაგრამ... კვლავ, ჩემდა სამწუხაროდ, ვიცი მათი ავან-ჩავანი (მცირეოდენის გამოკლებით!).

აწ გარდაცვლილ მუხრანს აქვს ერთი ლექსი, რომელიც ამ ე.წ. „კვირგვინოსნების" დანახვაზე მომაგონდება ხოლმე. ლექსის სათაურია „ვაჰმე": „ზოგმა დამკარგა! ზოგი მომიკვდა! მეგობართაგან შემრჩა ორიღა! — სად ხარ?! — არ ჩანხარ! სხვა, — როგორა ხარ?! — მესმის ხანდახან — ცალყბად შორიდან!... ვაჰმე! — რა ხალხმა (ყველამ ჰა და ჰა!!) — ვაჰმე! — რა ხალხმა იჩონჩორიკა!"

ახლა უკვე მე ვეკითხები საკმაოდ ხმამაღლა იმას, ვინც წეღან ყვირილით მკითხა: რატომ გეღიმება რუბრიკა „კვირგვინოსნებში" გამოჭიმულ ადამიანების შემხედვარესო:

-რაო, ღრიალავ და მართლა „ჩონჩორიკო", რამ აღგაშფოთა, მე ხომ ვთქვი: მცირეოდენის გამოკლებითმეთქი, რაც იმას ნიშნავს, რომ იმ „კვირგვინოსნებში" აქა-იქა, როგორც ყაყაჩო ყანაში, პატიოსანი ადამიანებიც ბრძანდებიან!

მაინც, რა ადარდებდა დიდ პოეტს? რატომ დაწერა ამგვარი ლექსი და რა დრო იდგა ისეთი საქართველოში?

ოო! ეს ხანაა 1991-1992 წლები, როცა უამრავმა „კვირგვინოსანმა" მართლაც იჩონჩორიკა და სამხედრო გადატრიალება მოაწყო!

ვინ იარაღს მოჰკიდა ხელი!

ბევრმა კალამი მოიმარჯვა!

ზოგიერთმა ტელევიზია და რადიო გამოიყენა!



ვინ კიბეებზე დაჯდა და გაიფიცა!

უამრავმა — მიტინგზე, ეროვნული ხელისუფლების დამხობა მოითხოვა! და, მართლაც, იყვირეს, რომ სახალხო აჯანყება მოვაწყვეთო!

ამ „ცნობადი სახეების" ტრიალმა უკვე თავბრუ დაახვია ხალხს.

სწორედ ამგვარმა ადამიანებმა (იმ ცნობილი წუმპის ბინადრებმა!) თავის დროზე ილია ჭავჭავაძეს ესროლეს ტყვია და თან დასძახეს: „როცა ტყეს ჩეხავენ, ნაფოტები ცვივა, რას იზამ!"

შემდგომ, უმოკლეს ხანაში, როცა საუკუნის დასასრულამდე 7 წელიწადიღა რჩებოდა, ზვიად გამსახურდიას ამოხადეს სული და კვლავ დაიძახეს: „ესეც ასე — ყველას მინუს ერთი".

უნდა ითქვას, რომ ეს საშინელი, თითქმის ჩონჩორიკად ქცეული საზოგადოება (მცირეოდენის გამოკლებით!), დღეს კი არ გაჩნდა, არამედ უძველესია და თვით გუბაზ მეფის მოკვლაზე გაცილებით ადრე, უფრო კი — გამოქვაბულებში ცხოვრების პერიოდშია გაჩენილი.

ახლა, ჩვენს თავს მივხედოთ. დავსვათ კითხვა:

-სადღეისოდ რატომ ვერაფერს უხერხებენ სააკაშვილს, ამ თვითნება პაწაწა იმპერატორს, რომლის თავაშვებულობას და სიშლეგეს უკვე არავითარი საზღვარი აღარ გააჩნია?

იმიტომ, რომ მიშას ევროამერიკა მფარველობს, რაც ზვიადს ძალიან აკლდა! პირიქით: ზვიადს სწორედ ევროამერიკელი პოლიტიკოსები დაუპირისპირდნენ და დღესაც, მისი გარდაცვალებიდან მეჩვიდმეტე წელს, მათ თვალში ისევ პროვინციელი ფაშისტი და დიქტატორია!

აბა, ბიჭებო, ხედავთ როგორაა საქმე?

მიშა ცუდია, მშიშარაა, მაგრამ... მაინც კანონიერად არჩეული პრეზიდენტია!

ზვიად გამსახურდია კი კომუნისტების მიერ მოწყობილ საეჭვო არჩევნებში გამარჯვებული და, რაღა თქმა უნდა, ფაშისტი დიქტატორია!

ასე თუ ისე, სააკაშვილი გახლდათ პროექტი ევროამერიკელებისა და მოვლენილ იქნა საქართველოში, რათა ახალი ისრაელი შემდგარიყო, რაც გასაღები იქნებოდა მთელი ჩრდილო კავკასიის ხალხთა აჯანყებისა და რუსეთისგან გამოყოფისა.

მთავარია, რომ საქართველოში კიაფობდეს რუსეთის ლანძღვა-გინების ნაპერწკალი. კოცონი კი არა, არამედ ნაპერწკალი, რომელიც, საჭირო შემთხვევაში აბრიალდება მთელი ძალით!

მთავარია, რომ სადღაც შემოდგომაზე, საქართველოში დემოკრატიის დიდ გამოძახილს ექნება ადგილი — პედერასტ-ჰომოსექსუალები აღლუმს აპირებენ!

მთავარია, რომ საქართველოს პარლამენტში უკვე დაწყებულია სრულიად დემოკრატიული კანონის მისაღებად გაშლილი მუშაობა — მამაკაცის მამაკაცზე დაქორწინების უფლების მოპოვება!

დიახ! აი, ამგვარი დემოკრატიის საწყისების დანერგვის გამო, ჰილარი კლინტონი აქებს და ადიდებს სააკაშვილის ხელისუფლებას!

და, იცით, ჩემო კარგებო, მთავარი რა არის?

მთავარი კი არა, უმთავრესი რა გახლავთ?

უმთავრესია, ახლებური ანუ ევროამერიკული აზროვნება!

არა — ქართული!

არა — კავკასიური!

არამედ, ამერიკული აზროვნება.

ამერიკული სული!

ამერიკული კუბო!

ხომ გახსოვთ, ჩემო მეგობრებო, ამ წიგნის პირველი სტრიქონები როგორ დავიწყე?

ქართველები გაჭირვების გამო გარბიან საქართველოდან?

დიახ! ხელი უნდა შევუწყოთ! მსოფლიოს ყველა ქვეყანას უნდა ვთხოვოთ, რომ ქართველ ემიგრანტებს გაუადვილდეთ სხვაგან ფეხის მოკიდება!

დაე, წავიდნენ!

დაე, დაცარიელდეს ქვეყანა!

შემდგომად, ისინი იქ მიიღებენ ევროამერიკულ სწავლა-განათლებას და დაგვიბრუნდებიან ხელდამშვენებულნი!

დაე, წავიდნენ!

ამ გაჭირვების ჟამს, შესანახიც ნაკლები გვეყოლება და თანაც, ჩვენს ბიუჯეტს, საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი დოლარებით ვახეირებთ!

დაე, გაემგზავრონ!

პენსიებიც ნაკლები გვექნება გასაცემი!

დაე, დემოკრატიას, თანაც ევროამერიკულს ეზიარონ!

დაე, ჩვენში გავხსნათ, რაც შეიძლება მეტი ქართულ-ინგლისური, ქართულ-ამერიკული სკოლები!

დაე, გაიხსნას!

დაე, ინგლისური ვასწავლოთ აკვანში!

დაე, სამი წლის ბავშვი მივიყვანოთ სკოლაში!

აბა, აბა, ნახეთ რამდენი სიკეთე მოგვიტანა და მოგვიტანს ამერიკული აზროვნება!

თანდათან, უფრო ნაკლები ადამიანი დაიხრჩობს თავს მტკვარში.

უფრო ნაკლები დედა აღარ ჩასვამს ახალშობილს ცელოფანში, არ გაგუდავს და არ გადააგდებს სანაგვეზე!

უფრო მეტი ქართველი ქალბატონი მოინახულებს თურქეთს, საბერძნეთს და თავის ქვეყანას, თუნდაც ოჯახს, მოუტანს დიდ მატერიალურ მოგებას!

აი, ბატონებო, ჯერ კიდევ რომ არ იცით, რა არის ამერიკული აზროვნება!

მართლაც, ამ დემონებს აყოლილი კაცობრიობა, არ გაინტერესებთ, საით მიჰქრის?

ამას ვეკითხები აზერბაიჯანელს, სომეხს, თურქმენს, უზბეკს, ყაზახს, ყირგიზს, თათარს, ბაშკირს, უდმურტს, ბელორუსს, უკრაინელს, მოლდაველს, ჩერქეზს, ყაბარდოელს, ყარაჩაელს, ბალყარელს, ოსს, ინგუშს, ჩეჩენს, დაღესტნელს, ყალმუხს!

უფრო ხმამაღლა ვეკითხები: ერაყელს, სირიელს, თურქს, არაბს, ავღანელს, ირანელს, პაკისტანელს, ინდოელს, ჩინელს, იაპონელს, ვიეტნამელს, ზელანდიელს, ავსტრიელს, მთელ სამხრეთ ამერიკას, კუბას, ევროკავშირს!

ვითომ, გსურთ ეს ჯოჯოხეთი, რაც საქართველოშია, თქვენს ქვეყნებშიც იხილოთ?

ვითომ არგუმენტირებული არ არის აქ მოთხრობილი ამბები?

განა აუცილებელია, საკუთარ ტყავზე გამოსცადოთ ის, რაც ქართველებმა უკვე ვიწვნიეთ?

ძალიან გსურთ ევროამერიკული აზროვნება?

აღსაშფოთებელი არ არის ურწმუნოთა საზოგადოების და ერთი რაღაც საშინელი მსოფლიო კავშირის შექმნა, სადაც მხოლოდ მოქალაქე გერქმევათ?

ქართველებს უთუოდ დაგვცინის ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთი ხელისუფალი.

მაინც რატომ და რისთვის?

ბატონებო, ჩამოვლენ სტუმრად ამერიკის მმართველობის მაღალი რანგის თანამდებობის პირნი და ყურებში გვიკივიან: თქვენში დემოკრატია აღმავლობის გზაზეა, ნატოში დღეს თუ არა, ხვალ შეზიმზიმდებით, ეკონომიკურად ჩვენს სახელმწიფოებსაც კი უსწრებთო და ამავე დროს, პარალელურად, აქვეყნებენ საკუთარი, ამერიკის დეპარტამენტის ვრცელ ანგარიშს, სადაც საქართველოზე საშინელებები სწერია.

ამჟამად საქართველოს ე.წ. პარლამენტში შექმნილია ზვიად გამსახურდიას მკვლელობის მიზეზთა დამდგენი კომისია და შევარდნაძე დაცინვით ამბობს — მოვიდნენ ჩემთან და ყველა კითხვაზე ვუპასუხებ. მე არაფერ შუაში ვარ, მისმა გარემოცვამ და პირადმა დაცვამ მოკლა ეგ კაციო.

ყველამ იცის — შევარდნაძე ვინც არის.

იგი ურწმუნოა და ამიტომ განგების და ცოდვების მას არ ეშინია!

და ამაში, რომ ეს საქართველოს დამღუპველი არსება გაუსამართლებლად, დაუსჯელად მიდის იმ ქვეყნისკენ, უპირველესი დამნაშავეა მისი ევროამერიკული დიდი და ბნელი საძმო!

რას გვერჩოდა ქართველთა უმეტეს ნაწილს ამერიკის კონგრესი, რომელმაც 1999 წელს საერთა-შორისო ტერორისტებად შეგვრაცხა?

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

gagrZeleba. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #02

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი







# თავსატეხი

ჰორიზონტალურად: აკორა, ბაჭია, ელიბო, ეპიკა, ეროვა, ვიშა, ზოზია, იახვა, ლუისი, მისია, ფურიე, ღვინო, შორტი, ძეგრი, წყალი, პენტო.

ვერტიკალურად: აკენა, ამწლი, აქილა, აწმყო, გენია, ზერნი, თელია, ინდრა, კეზვი, მეავა, ოლიოთა, პაჯრე, სანდო, ტაქსი, ფაშვი, ქერნი, ღინტე, ჩარჩე, ცელქი, ჭაკლა, ხარკი.

# სამიდან ერთი

ჰორიზონტალურად: 1. გაბუეზი, ჯაკუზი, მურენა. 2. დარაჯი, ბეგარი, ჯიბუტი. 3. სილაჟი, გელოდი, კოკორი. 4. ბარდი, ჯერსი, ხიდი. 5. ქაბხი, დაისი, პორ-ში. 6. კურსი, პურაი, ლანცი, 11. კორსეტი, თამბაქო, ყარაულეში. 12. პარკუ-ჭი, ნიკელინი, ჯანდაბა. 13. კოვერი, პანიკა, დასები. 14. სავანე, საკაცე, სიძალი. 15. რაგული, ბატონი, ვარანი. 16. ბაწარი, ფიზიკა, ჭორონი.

ვერტიკალურად: 3. კაკაბათი, სასადილო, გოზინაყი. 7. ქაცვები, ჯულიეტა, მოლუშლი. 8. ლამბადინი, კონსერვი, კარტოფილი. 9. პოდიუმი, პეპელა, სალორე. 10. ქვითინი, ტრაპეზი, კრამიტი. 13. ხარაჩო, ჩექმები, პასიკი. 17. კარტეჩი, კორნერი, ტამბური. 18. ნავარა, ჯოჯოლა, მერიდე. 19. სტიქარი, პრომეთე, პლატონი. 20. სუფრა, კანონი, ტუშერი. 21. საწყალი, ტუტუცი, მინიკა.

# შიფრვორდი

ა-4, ბ, გ, დ, ე-10, ვ, ზ, თ, ი 7, კ 29, ლ, მ, ნ, ო-16, პ, ჟ, რ 1, ს-3, ტ, უ 5, ფ, ქ, ღ-11, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ-24, ჭ, ხ, ჯ, ჰ

**გვესაუბრება საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი**

**— ბატონო ლევან, როდესაც თქვენ დაინიშნეთ ამ თანამდებობაზე, ქართულ სპორტში მძიმე ვითარება დაგხვდათ. რას აპირებთ მომავალში?**

— დიახ, მძიმე ვითარება დაგვხვდა. მთლიანად სისტემაა შესაცვლელი. დღეს ისიც ართულებს მდგომარეობას, რომ ყველა სახეობა დოტაციურია, ეს კიდევ რამდენიმე წელი გაგრძელდება, გვინდა თუ არა. ამიტომ უნდა მოვამზადოთ ისეთი საკანონმდებლო ბაზა, სადაც იქნება გამოყოფილი, პრიორიტეტული, პროგრამული დაფინანსებები და ხელი



# ლევან ყიფიანი: სპორტის კანონს შევცვლით!

შეეწყობა სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარებას.

**— პარლამენტში განსახილველად როდის შეიტანთ თქვენს პროექტებს?**

— პირველ რიგში, ჩვენ მთლიანად სპორტის კანონის ცვლილებაზე ვფიქრობთ, როგორც ვიცით, ეს კანონი 1996 წელს არის მიღებული და დღევანდელობის მოთხოვნებს არ შეესაბამება, მასში ცვლილებები მხოლოდ რამდენჯერმე განხორციელდა, ისიც მხოლოდ შიდაუწყებრივი, ამიტომ ვამბობ, ჩვენ შეგვრჩა მხოლოდ ფარატინა ქაღალდი, რომელიც რეალობაში არ მუშაობს. მნიშვნელოვანია, წლევანდელი წელი გამოვიყენოთ, რომ შევქმნათ სპორტის განვითარების ნორმალური საკანონმდებლო ბაზა.

არის სპორტის სახეობები, რომლებიც მასიურობით არ გამოირჩევა, მაგრამ მთლიანობაში სახელმწიფომ უარი არ უნდა თქვას. ჩვენ, პირველ რიგში, ოლიმპიურ, საქართველოში ტრადიციულ სპორტულ სახეობებს უნდა მივხედოთ, თუ გვექნება საშუალება, სხვებსაც. დამოუკიდებლობაში ფინანსური მხარეც იგულისხმება, მაგრამ, პირველ რიგში, ყველამ გვინდა კარგად იცოდეს, რომ არანაირად არ ვართ მოწადინებული, ჩავერიოთ რომელიმე ფედერაციის საქმიანობაში, იგივე კადრების შერჩევაში, პრეზიდენტების დანიშვნაში და კიდევ სხვა. ეს სამინისტროში მოსვლისთანავე განვაცხადეთ. შეიძლება, გვქონდა რაღაც ხარვეზები, მაგრამ ამ პრინციპს ვიცავთ და ბოლომდე დავიცავთ.

**— ბატონო ლევან, რამდენიმე დღეში ჩვენს დედაქალაქში ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონატი გაიმართება. როგორ მიდის მზადება, როგორ ვუმასპინძლებთ ასეთ დიდ სპორტულ ფორუმს?**

— მზადების პროცესში ჩართული ვართ ჭიდაობის ფედერაციასთან ერთად. ვმუშაობთ მაქსიმალურ კოორდინაციაში, რომ რაიმე დეტალი არ გამოგვეპაროს. ორმოცზე მეტი ქვეყნის მოჭიდავე ჩამოვა, აქვე გაიმართება ევროპის ჭიდაობის ფედერაციის კონგრესი, მსაჯთა კონფერენცია. მოკლედ, დიდი სტუმრიანობა გველოდება, რაც დაძაბულ მუშაობას მოითხოვს. აქვე გეტყვით, რომ გვინდა ჩვენი ლეგენდარული ვეტერანი მოჭიდავეები დავაფასოთ. ორ მათგანს ლევან თედიაშვილს და გურამ საღარაძეს ევროპის ჩემპიონატის პერიოდში აქვთ დაბადების დღეები. გვინდა ეს მასშტაბური გავხადოთ.

**— როგორც ვიცით, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არასრულწლოვანები მოინახულეთ. რა იყო თქვენი ვიზიტის მიზანი?**

— ეს პირველი ვიზიტი არ ყოფილა. ჩვენი უწყება, მოგეხსენებათ, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროა და ამიტომ ჩვენი აქტიურობა გასაგებია. ერთ-ერთ პრიორიტეტად გვაქვს იმ ადამიანების რესოციალიზაცია და ნორმალურ პირობებში ჩართვა, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება. სასჯელის მოხდის შემდეგ უნდა შეძლონ ქვეყნის ცხოვრებაში სრულფასოვნად ჩართვა. მწვრთნელებიც მივავლინეთ იქ, გავუგზავნეთ ტრენაჟორები, კრივის ატრიბუტიკა, გავუგზავნეთ წიგნები, ხეზე მხატვრული ჭრის კომპლექტები. მოკლედ რომ გითხრათ, აქტიურად ვმუშაობთ მათთან. მადლობელი ვარ ჩემი კოლეგის სოზარ სუბარის ამ საქმეში მხარდაჭერისთვის.

**— წეღან ახსენეთ ვეტერანი სპორტსმენები. დასამალი არ არის, იყო პერიოდი, როდესაც ძალიან გაუჭირდათ ჩვენს ღვაწლმოსილ ადამიანებს. ხომ ექნებათ მათ ღირსეული დაფასება?**

— ვცდილობთ, ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში ვეტერან სპორტსმენებს მაქსიმალურად მოვეფეროთ, დავეხმაროთ. მათი ღვაწლი განუზომელია, აუცილებლად უნდა დავაფასოთ, რადგან მათ გარეშე ღირსეული მომავალი თაობა არ გვეყოლება. შევქმენით მრჩეველთა საბჭო, სადაც ვეტერანი სპორტსმენები არიან. მათგან ვიღებთ რჩევებს. დალაგებული, ადამიანური ურთიერთობები გვაქვს. მომავალშიც ვიქნებით ამ ადამიანების გვერდით.

**გია ბურდული**

## შსს-მ ნარკორეალიზატორთა ჯგუფი დააკავა



**თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს მე-4 განყოფილების თანამშრომლებმა, მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ნარკოტიკის რეალიზაციისთვის, წარსულში ნასამართლევი ალექსანდრე დ. დააკავეს.**

**ნარკოდანაშაულისთვის ასევე დაკავებულები არიან გიორგი ქ, ირაკლი ლ. და ოთარ გ.**

**ძიებით გაირკვა, რომ დაკავებულებმა ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა" ნარკორეალიზატორ ალექსანდრე დ-სგან შეიძინეს.**

**თბილისსა და ბორჯომში ერთდროულად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დაკავებულების პირადი და საცხოვრებელი ბინების ჩხრეკისას**

**2 კილოგრამამდე ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა", ხოლო ალექსანდრე დ-ს ბინიდან – ოთარ გ-სგან ნარკოტიკის შესაძენად გადაცემული ფულიც ამოიღეს.**

**ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ოთხივე დაკავებული, დაკავების მომენტში, ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.**

**დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ.**

**გამოძიება ალექსანდრე დ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე–3 ნაწილით, ოთარ გ–ს მიმართ 260–ე მუხლის მე–2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, ხოლო დანარჩენი დაკავებულების მიმართ კი 260-ე მუხლის 1–ლი ნაწილით მიმდინარეობს.**

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის" მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*
***მთვარისა კევლიშვილი.***
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**- რა არის განზრახი დანაშაული?**

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, განზრახ დანაშაულად ითვლება ქმედება, რომელიც ჩადენილია პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვით.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი ან ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას.

ამავე მუხლის მე -3 ნაწილის მიხედვით, ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას (ევენტუალური განზრახვა).

* * *

**-რას ნიშნავს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება?**

-დანასაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება ნიშნავს, როდესაც პირს აქვს შესაძლებლობა, ბოლომდე მიიყვანოს თავისი დანაშაულებრივი განზრახვა, მაგრამ საბოლოოდ და ნებაყოფლობით იღებს ხელს მის ჩადენაზე, თუნდაც ეს გამოწვეული იყოს მართლმსაჯულების შიშით და ა.შ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, პირს, რომელმაც ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის დამთავრებაზე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება სხვა დანაშაულს წარმოადგენს.

* * *

**- ჩემი შვილი დაკავებულია ყაჩაღობისთვის. მასთან ერთად იმყოფებოდა კიდევ ორი პირი. ერთ-ერთმა მათგანმა მოკლა სახლის პატრონი. წარედგინება თუ არა ჩემს შვილს მკვლელობის ბრალდება?**

- თქვენს შვილს მკვლელობის ბრალდება წარედგინება იმ შემთხვევაში, თუ ყაჩაღობისა და მკვლელობის ერთობლივი განზრახვა არსებობდა თანამონაწილეებს შორის. მაგრამ თუ პირთა ჯგუფის მიერ დაგეგმილი იყო მხოლოდ ყაჩაღობა, თქვენს შვილს მკვლელობის ბრალდება, წესით, არ უნდა წარედგინოს.

მოცემულ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ადგილი აქვს ამსრულებლის ექსცესს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ამსრულებლის ექსცესი ნიშნავს ამსრულებლის მიერ ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას, რომელსაც არ მოიცავდა სხვა თანაამსრულებლის ან თანამონაწილის განზრახვა.

ამავე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ამსრულებლის ექსცესისათვის სხვა თანაამსრულებელს ან თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

* * *

**-ჩემი შვილი გასამართლდა ქურდობის ბრალდებით. მას შეეფარდა სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით. ასევე, შეეფარდა ჯარიმის გადახდა 5000 ლარის ოდენობით. რამდენად სწორია მისთვის ჯარიმის შეფარდება?**

-მოცემულ შემთხვევაში სასჯელის სიმკაცრის შესახებ ვერ ვიმსჯელებ, რადგან არ ვიცნობ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის მასალებს. რაც შეეხება ჯარიმის



შეფარდების საკითხს, აღნიშნულთან დაკავშირებით მოგახსენებთ შემდეგს:

როგორც შეკითხვის შინაარსიდან ჩანს, თქვენს შვილს ძირითადი სასჯელის სახით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა, ანუ საპატიმრო სასჯელი, ხოლო ჯარიმის გადახდა დაეკისრა დამატებითი სასჯელის სახით. მოცემულ შემთხვევაში კანონის ნორმის დარღვევას ადგილი არ აქვს, რადგან სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, ჯარიმა დამატებით სასჯელად შეიძლება დაინიშნოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დამატებით სასჯელად გათვალისწინებული არ არის. როგორც ჩანს, თქვენი შვილის მიმართ სასამართლოს მიერ კანონის ხსენებული ნორმაა გამოყენებული.

## როგორ სუნთქავენ თევზები წყალქვეშ?

ჟანგბადი ყველა ცოცხალ არსებას სჭირდება, თევზი კი ჟანგბადს ასე ღებულობს: პირში წყალს იგუბებს, მერე კი ლაყუჩების საშუალებით უშვებს. წყალში გახსნილი ჟანგბადი ლაყუჩებითვე აღწევს თევზის სისხლში და მასთან ერთად ვრცელდება მთელ



სხეულში. აფრიკის, სამხრეთ ამერიკისა და ავსტრალიის წყლებში ბინადრობენ თევზები, რომლებიც ორგვარად სუნთქავენ: როდესაც წყალსატევები შრება, ისინი საცურავი ბუშტის საშუალებით სუნთქავენ და ჟანგბადს ჰაერიდან იღებენ.

## სად ცხოვრობს ყველაზე მეტი ცისფერთვალება ადამიანი?

თვალი არის გარსი, რომლის უჯრედებიც შეიცავს პიგმენტ მელანინს, რომელიც თვალს მზის სხივებისგან იცავს. ღია ფერის თვალებში ნაკლები მელანინია. რაც უფრო ახლოსაა ეკვატორთან, მით უფრო ნაკლებია ცისფერთვალა ადამიანები. უკიდურესი ჩრდილოეთის მცხოვრებლებსაც მუქი ფერის თვალები აქვთ, თოვლიდან არეკლილი დამაბრმავებელი სინათლისგან თავის დასაცავად. ადა-



მიანთა უმრავლესობას მუქი თვალები აქვს, ყველაზე მეტი ცისფერთვალება ადამიანი კი ევროპაში ცხოვრობს, განსაკუთრებით მრავლად ისინი ფინეთში არიან.

## აღმოაჩინეს მეცნიერებისთვის დღემდე უცნობი ცხოველი, რომელიც ძალიან ჰგავს „ვარსკვლავური ომების“ პერსონაჟს

არაჩვეულებრივი ჯიშის ფრთიანი, თეთრკუდიანი თაგვი, ყვითელი ბაყაყი და კიდევ 200 სახეობის ცხოველი და მცენარე აღმოაჩინეს პაპუა — ახალ გვინეაში.

პაპუა — ახალი გვინეის ბიოლოგიის მკვლევარებმა მეცნიერული ექსპედიციების კვალდაკვალ ადრე უცნობი არსებები აღმოაჩინეს, რომლებსაც მილისებური ცხვირი აღენიშნებათ.

ფრთიანი თაგვი ტროპიკულ ტყეებში იპოვეს, და მისთვის ჯერ სახელი არ დაურქმევიათ. ბიოლოგები აღნიშნავენ, რომ იგი ძალიან ჰგავს „ვარსკვლავური ომების“ პერსონაჟს.

პაპუა-ახალი გვინეის ძნელად მისადგომ მთიან რეგიონებში ბი-



ოლოგებმა მიაკვლიეს კიდევ 200 სახეობის ცხოველსა და მცენარეს. მათ შორის ფორთოხლისფერ ობობასა და ყვითელ ბაყაყს მწვანე ლაქებით. 2-თვიანი მუშაობისა და კვლევის შემდეგ შეისწავლეს 24 სახის ბაყაყი, 100 მწერი და ობობა, ათეულობით მცენარე, რომელსაც აქამდე არ იცნობდა ბიოლოგიური მეცნიერება.

ყველაზე საინტერესო თაგვი აღმოჩნდა თეთრი ფერით კუდის ბოლოში. იგი ზღვის დონიდან 1590 მ. დაიჭირეს.

## რატომ არის ასე პოპულარული „ძაღლების ვალსი?“

საყოველთაოდ ცნობილი ამ მუსიკალური ნაწარმოების პოპულარობა ადვილი ასახსნელია. შეგახსენებთ, რომ „ძაღლების ვალსს“ მხოლოდ შავ კლავიშებზე უკრავენ და მისი შესრულება იმასაც კი შეუძლია, ვისაც მუსიკალურ სკოლაში არასდროს უვლია. უცნობი ავტორის მიერ დაწერილი ეს უკვდავი ნაწარმოები ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში „ძაღლების ვალსად“ მოინათლა, სხვაგან ის მარშად მიიჩნიეს, შესაბამისად ბულგარეთში მას კატების მარში ჰქვია, უნგრეთში ვირების. ფრანგები კი ამ რიტმულ პიესას რატომღაც დაბეგვილ კატლეტს უწოდებენ.

## ვახუშტი რომელაშვილის ნამუშევრების გამოფენა



4 და 5 მარტს საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიმართა მხატვარ ვახუშტი რომელაშვილის ნამუშევრების გამოფენა. წარმოდგენილი იყო საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანების პორტრეტები. გუაშით და პასტელით შესრულებულმა 50 ნამუშევარმა დამთვალიერებელთა დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურება. გამოფენის დასრულების შემდეგ მხატვარმა თავისი ნამუშევრები ნახატებზე წარმოდგენილ პიროვნებებს უსახსოვრა.





## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** — ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა თქვენს კარიერაზე დადებით ზეგავლენას მოახდენს. კარგი იქნება, თუ ამ პერიოდში პროფილაქტიკურ მკურნალობას ჩაიტარებთ.

**კურო** — ეს პერიოდი, საერთო ჯამში, პოზიტიური მოვლენებით ხასიათდება. იყავით ინიციატივიანი, რათა სასურველ შედეგებს ადვილად მიაღწიოთ.

**ტყუპები** — თქვენს ცხოვრებაში საუკეთესო პერიოდი დადგა. წარმატება გელით როგორც საქმიან, ასევე პირად ცხოვრებაში. პარტნიორებთან მოლაპარაკებები თქვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება.

**კირჩხიბი** — საქმიან პარტნიორებთან და ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებები თქვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება.

**ლომი** — წარმატება გელით ყველგან და ყველაფერში. პირად ცხოვრებაში რომანტიკული თავგადასავლებია მოსალოდნელი. თავს იღბლიან შეყვარებულად იგრძნობთ.

**ქალწული** — პლანეტათა განლაგება მნიშვნელოვანს არაფერს გპირდებათ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას. კარგი იქნება, თუ პროფილაქტიკურ მკურნალობას ჩაიტარებთ. წარმატება გელით ფინანსურ ოპერაციებში.

**სასწორი** — ადვილად ნურავის ენდობით. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და კოლეგებთან ურთიერთობისას. თქვენი მოტყუების ალბათობა დიდია.

**მორიელი** — იღბალი თქვენს მხარესაა, წარმატებას მიაღწევთ როგორც საქმიან, ასევე პირად ცხოვრებაში. გელით რომანტიკული თავგადასავლები. ფინანსური ოპერაციებიდან მნიშვნელოვან მოგებას მიიღებთ.

**მშვილდოსანი** — საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობა თქვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება. სიფრთხილე გამოიჩინეთ ახალ ნაცნობებთან ურთიერთობისას. ადვილად ნურავის ენდობით.

**თხის რქა** — ეს პერიოდი კარგი პირადი ურთიერთობების მოსაგვარებლად. შესაძლოა, წვეულებაზე შეხვდეთ ადამიანს, რომელიც თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს.

**მერწყული** — გაგიმართლებთ ფინანსურ ოპერაციებში. კარიერაში მნიშვნელოვანი წინსვლა გელით. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას. იყავით ინიციატივიანი და აქტიური.

**თევზები** — თქვენს ცხოვრებაში წარმატებული პერიოდი დადგა. გამოიჩინეთ მაქსიმალური შრომისუნარიანობა, რათა სასურველ შედეგს მიაღწიოთ. გელით რომანტიკული თავგადასავლები.

### სკანვორდის პასუხები:

1.ჩონგური. 2. გაბროვო. 3. გრინვიჩი. 4. ბელადონა. 5. ველვეტი. 6. პარასოლი. 7. ეტაპი. 8. ფანასკერტელი. 9. ჟაკეტი. 10. გუნდარევა. 11. დიტერ. 12. პრინცი. 13. ჩაიკა. 14. პოლიგრაფი. 15. ხიხანი. 16. სოლი. 17. ხორვატია. 18. ხამსა. 19. ნავტილუსი. 20. ჯამი. 21, მერმისი. 22. ოვალი. 23. ვალი. 24. მერხი. 25. ჯანაშია. 26. ოლე. 27. ტიგრი. 28. შუშანია. 29. ულისე. 30. რედიკული. 31. გაბელია. 32. შუშაკი. 33. ტასო. 34. იაშინი. 35. ალბერ. 36. ხონი. 37. ინტერნი. 38. ჟელე. 39. შოშია. 40. კვალი. 41. შოკოლადი. 42. კარამაზოვები. 43. ვახტი. 44. ლამპიონი. 45. პიტი. 46. კიდმანი. 47. ატენური. 48. ილინჭა. 49. ეგეოსი. 50. კოპიტი. 51. ბაზელი. 52. გვანცა. 53. სანდრო. 54. პესო. 55. ხმიადი. 56. მადლი. 57. მაცა. 58. დარი. 59. პაროლი. 60. ბაია. 61. სკოჩი. 62. ჩახმახი. 63. პასი. 64. კლა. 65. კამელინი. 66. ბახმარო. 67. სურა. 68. სუთი. 69. ხალტურა. 70. დუნგა. 71. ანუკ. 72. ავთანდილი.